


ლიტერატურული გაზეთი

№12(172) 17 - 30 ივნისი 2016

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი



ბეჯა ქურხული

რატი ამდლობელი

პაატა ბერიკაშვილი

ნინო სადლობელაშვილი

როსტომ ჩხეიძე

ნანა ექვთიმიშვილი

იკა ქადაგიძე

„დღეს 2014 წლის 6 ოქტომბერია. 40 წლის გავხდები. ჩადენილი შეცდომები ბევრია, ახლა უკვე დაფიქრების დროა!“

ეს ბლოკნოტი მარიაშვილმა მარჯა დაბადების დღეზე, თვითონ კი სხვა ბლოკნოტი ამახია. ძალიან უყვარს ბლოკნოტები. ხატავს და ეჭვი მაქვს, ჩუმჩუმად წერს კიდევ.

გადაწყვეტილი მქონდა, რომ ჩანანერებს აღარ გავაკეთებდი. საერთოდ, ვგრძნობ, რომ ბოლო დროს წერა მომეზარდა და ეს, პირველ რიგში, ჩანანერებს დაეტყო. თითქოს სათქმელი ამოვწურე, მაქვს შეგრძნება, რომ ვმორიდები...

პირველი ჩანანერები 1993-1994 წლებს მოიცავს, მერე 2004 წელს, მერე 2008-2011 წლებს. 2013 წელს გამოცემილი „საუნჯემ“ ჩანანერების სრული კრებულიც გამოცემა — „ჩანანერები 1993-2011 წწ.“ — რომელიც მომდევნო წელს ჩემს მეორე წიგნთან ერთად — „ქალაქი თოვლში“ — ლიტერატურული პრემია „საბას“ ნომინანტი გახდა...

ეს ჩანანერი აქ წყდება. მაგ წელს გამოცემილი „ინტელექტმა“ ჩემი ესეების კრებული — „ღია კარის ქვეყანა“ — გამოცემა. ზუსტად ერთი წლის წინ კი, 2014 წლის 31 დეკემბერს, დედაჩემის აგარაკზე მარტყოფში, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნის — „სამოთხიდან გაქცეულები“ — წერა დავიწყე. თავიდანვე ვიცოდი, რომ დიდი რომანი გამოვიდოდა, თემაც ვრცელი და სერიოზული იყო, მაგრამ როცა ბოლოს, 2015 წლის 27 ნოემბერს წიგნი დავასრულე და ხელთ 600 გვერდიანი მონსტრი შემეჩა, მე თვითონ მეცვალა ფერი. მთელი ამ ხნის განმავლობაში ძალიან ველავდი — წერის დაწყებამდე, წერის დროს და წერის დასრულების შემდეგაც. თუმცა თანდათან მღელვარებამ გადამიარა. ახლაც არ ვიცი, რა გამოვიდა, მაგრამ ამ წიგნმა ერთი რამ უკვე მომცა: ზუსტად ვიცი, რომ აღარასდროს ვიღვევებ წერის გამო და თუ რამე არ გამოვიდა, გაცილებით მშვიდად შევხვდები, ვიდრე აქამდე შევხვდებოდი. და კიდევ ერთი — წერის დროს ვიმუქრებოდი, ვიფიცებოდი და ვიგინებოდი, ოღონდ ეს დედააფეთქებული წიგნი დამამთავრებინა და კიდევ რამეს დავწერ კი არა, ხელსაც აღარ მოვანერ, ჯვარს დავსვამ-მეთქი. თუმცა ერთი თვეც არ იყო გასული, როგორც არასდროს, ისე გამიჩნდა წერის ჟილკა. მსგავსი დილიხორი მხოლოდ 16-17 წლისას მქონდა, მაშინ, როცა მზეც უფრო სხვანაირად, უფრო მკვეთრად და ცოცხლად ანათებდა.

იმ რომანის წერის დროს, აპრილის ბოლოს, დედაჩემს ავთვისებიანი სიმსივნე აღმოაჩნდა — კიბო, როგორც ხალხში ვეძახით ამ საშინელ დაავადებას. მესამე სტადია. 6 ქიმია დასჭირდა, სექტემბერში ოპერაცია. მერე დასხივებები. სექტემბერშივე გადავედი სახლიდან სახლში — ხილიანიდან წყნეთის ქუჩაზე.

მოკლედ... მაგარი ვარ რა, ძმაო, და ჰა, რა ვქნა ახლა?!

და 27 ნოემბერს ეს რომანიც დავამთავრე — „სამოთხიდან გაქცეულები“ — და ზვიად კვარაცხელიას ჩავაბარე — მწერალს და გამომცემლობა „ინტელექტის“ შეფს, რომელიც ვაჟკაცურად მელოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში. დროდადრო მირეკავდა და მეგრულად, შორიდან მოიარებოდა მეკითხებოდა: „აბა, როგორ ხარ?“

ჯვარი სწერია, დედაც კარგად არის. ფუ, ფუ, ფუ ეშმაკსა და არული კუდიანებს, სახლიც დგას, წიგნიც დავასრულე და ახლა ჰა, აბა, რა? რაღა გავაკეთო? აი, ეს არის ყველაზე საშიში პერიოდი და ასეთ დროს ვხდები ყველაზე სახიფათო...

ამ წერის დროს კი მოვყვები ხოლმე დროის, თარიღებისა და ციფრების მისტიკას — 1993, 1995, 1999, 2004, 2008, 2014, 2015, 2016, 2025 — რაღაცას ვგრძნობ, სიღრმეებს ვეძებ, უსასრულობას, ჩემო ბატონო, და ლირიულ-რომანტიულად ვწუნუნებ, მაგრამ ქუჩაში გამოსულმა ხომ ყველაზე კარგად ვიცი, ყოველგვარი კალენდრის მიუხედავად, ჩემს ვეხქვემ დედამინა ზუსტად ისევე ფეთქავს, როგორც ათასწლეულების წინ ფეთქავდა და ჩემს თავზე გადმოფარებული ჯანლიანი, ნაცრისფერი ზეცაც ზუსტად ისევე მიმიძღვის წინ. და მერე ძალიან საშიში არის ევა?! ძალიან სახიფათო!..

2016 წელი...


2 იანვარი

ბედობაა. ყინავს, ქარი ქრის. ხვალ პაკოს დაბადების დღეა. პაკო სვიმონიშვილის. 42 წლის გავხდებოდა. 2014 წლის თებერვალში გარდაიცვალა, 5 თებერვალს. ბოლო წამამდე ლადაობდა — დედას ვუტირებ, მაინც გავხდები 40 წლისაო და გახდა კიდევ. უკვე ორი წელი გავიდა გარდაცვალებიდან. მართლა სულ უფრო და უფრო სწრაფად გადის დრო. ამკარად უფრო გამალებით დაბზრიალდა ეს ჩვენი მშობლიური დედამინა, როგორც საკუთარი ღერძის, ასევე მზის გარშემო.

მახსოვს, პაპაჩემ ალექსანდრეზე რომ ამბობდნენ, სულ ახალგაზრდა გარდაიცვალა 31 წლისო, სულ მიკვირდა, რა ახალგაზრდა-მეთქი?

ახლა მე და პაკო 41 წლისანი ვართ — ხვალ პაკო 42 წლის ხდება და მართლა ძალიან ახალგაზრდები ვართ. მართლა. ჭკუა ხომ ჩვენ არ მოგვმატებია და თითქოს არც დავვლილვართ. ყოველ შემთხვევაში, ისე, როგორც შეიძლება, დავვლილიყავით. რაღაცნაირი ძარღვიანი ბრიგადა გამოვდექით. სულ სხვანაირი შკოლა გვაქვს რა გავლილი.

ხვალ დილაადრიანად გავუვლი მცხ-



ეთაში, სამთავრო მონასტერში, ჩამოვუჯდები საფლავთან, ვკითხავ, რას შეება, როგორ არის, რა ხდება საიქიოში? გაელიმება, თავისებურად ეშმაკურად შემომხედავს და ჭროლა თვალები ონავრული ნაპერწკლებით ავესება. თან თითქმის ორი თვეა, აღარ დავდგომივარ.

მე და ზაზა თოთლაძე სულ ვგვგვავთ, მარა დაგვგვილის დედა ვატირე. თუ მიდიხარ, უნდა მოხიო, ნახვიდე და მორჩა. დანარჩენი ტუფტაა...

დღეს ბედობაა. მაგრად ცივა. ყინავს და ქარია. არ არის რა, ზამთარი და სიცვიე ჩემი. არც ჩემი, არც თბილისის.

უნდა დავიბარო და სადღაც ზაფხულისკენ დავიბრიდო.

სადღაც — მაისიდან ოქტომბრის შუა რიცხვებამდე. 14 ოქტომბრამდე — სექტიცხოვლობას თუ გადავცდი, მერე აღდგომებამდე, კვირაცხოვლობამდე, ფეხის მომცვლედი აღარა ვარ...

ბრრ! ცივა, იუზგარ, თქვენ ხო არ გაგიუბუბულხართ. როგორც გინდათ, ისე ამიტანეთ.

არა. ზამთარში სიკვდილზე მე პას!..

4 იანვარი

დღეს ჩემი პირველი გოგოს, ხათუნას დაბადების დღეა. მე 16 წლის ვიყავი, ის ოცის. ჩემს რამდენიმე ნაწერში ცხოვრობს: „ხათუნა“, „ორი მთვარის ამბავი“. კიდევ უნდა იყოს სადღაც-სადღაც. ვეღარ ვიხსენებ...

ხვალ კი, 5 იანვარს, ჩემი პირველი შეყვარებულის დაბადების დღეა. ისიც რამდენიმე მოთხრობაშია და „სამოთხიდან გაქცეულებშიც“... და კიდევ ჩემს გულში, რომელიც ჯერ კიდევ ჯიუტად ფეთქავს... ეგრე მოხდა, ჩემი ცხოვრების ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ქალი ერთმანეთის

მიყოლებით დღეებში არიან დაბადებულები.

ორივე გერმანიაში ცხოვრობს. ნეტავ როგორ არიან? თუ ვახსენებდი? ხანდახან, იშვიათად მაინც...

და ზუსტად ვიცი, რომ ორივეს შევხვდები. აი, ეგრე, შემთხვევით, ქუჩაში. ერთ მშვენიერ დღეს. ვიცი რა... ალბის შთამომავალი არა ვარ?.. ჩემი დიდი „ვექმა“ ბეზია მკარნახობს ხოლმე ეგეთ რამეებს. შეხვდებიო...


ძალიან მინდა, ისევე ისეთი მაგარი გოგოები იყვნენ. ისევე ისე გავჩერდე დენდარტყმულივით, ხმის ამოღება ვეღარ მოვახერხო და მხოლოდ გუნებაში გამიაროს: „შეევენიი!“

და მერე იმ ღამეს მთელ თბილისს თავზე დავიმოხბო...

7 იანვარი

ქრისტეშობაა...

40 გრადუსი სიციხით ვწევარ 2 თვის განმავლობაში — ნოემბრიდან. აქამდე უკვე მეორედ ავიკიდე ვირუსი. არადა, ეგეთი ჭირიანი ნაღდად არა ვარ. როგორც ჩანს, ჩემმა განთქმულმა გამძლეობამ დამალაღატა. ძალიან გადავიღალე და გამოვიფიტე. ვწევარ ლოგინში, მთელი სხეული



დალენილი მაქვს და რამდენჯერაც დავახველებ, იმდენჯერ ვფეთქდები აუტანელი ტკივილისგან.

ვწევარ ჩეფჩიკამოფხატული და ძალიან მინდა, ვინმემ ზღაპრები მომიყვოს. ქართულ-ხარხული ზღაპრები, როგორც ზურუკო ამბობს „თუ მეცხვარეში.“ შარტ პერო, ანდრესენი და ძმები გრიმებიც ნავა. მახსოვს, ტოო — „ნითელქუდა“, „ჩექქებიანი კატა“, „ლურჯწვერა“, „ყინულის დედოფალი“, „ზარმაცა ჰანსი“... რა კარგია, რომ მახსოვს. შეიძლება, არც ისე ბოლომოდებული ვარ... და არავინაც არაფერს არ მიყვება. არ მიყვებიან ზღაპრებს. ამხელა კაცი თვითონ ხომ არ მოვიტხოვ? ვერ უნდა მიხვდნენ?..

მოიცა, ავდგე... ქრისტეშობას გილოცავთ!

12 იანვარი

დათბა. თუმცა გაზაფხულამდე ჯერ კიდევ შორია.

სიმორე, სიახლოვე, ცუდი, კარგი, ლამაზი, მახინჯი, სიკეთე, ბოროტება, სიამაცე, ლაჩრობა, ღირსება, ღალატი — ამ სიტყვებმა თითქოს აზრი და ფერი დაკარგა; პირობით, არაფრისმთქმელ სიტყვიერედ იქცა...

თუმცა, ამის მიუხედავად, მზე მაინც ამოდის და გაზაფხულიც მოვა, ზაფხულიც, შემოდგომაც, ზამთარიც, ახალი წელიც, მაგრამ მაინც არაფერი შეიცვლება. ეს ამ ეპოქის მთავარი ნიშანია. უცვლელია და უმნიშვნელობა. როცა რაიმე იცვლება, თუნდაც ძალიან მთავარი, მაშინაც კი არ იცვლება არაფერი. სიკვდილსაც კი აღარა აქვს მნიშვნელობა.

სამყარო დაპატარავდა, თითქოს დაილია და ამით ძალიან, ძალიან სახიფათო

გახდა. თითქოს მთელი სამყარო საყოველთაო ფსიქოზმა და ნევროზმა მოიცვა და აქ მხოლოდ რეალურ საფრთხეებზე: ომზე, სტიქიურ კატაკლიზმებზე და კატასტროფებზე არ არის ლაპარაკი. სულიერი ცვეთა, სასონარკვეთილება, აპათია, გაუცხოება გაცილებით მძიმე და საშიშელი განსაცდელია...

მზიანი დღეა. თუმცა გაზაფხულამდე ჯერ კიდევ შორია.

დღეს ციციის დაბადების დღეა... 67 წლის გახდა.

თვალსადახელშუა, უცბად, ერთბაშად და ერთად დაგებრდით მე და დედაჩემი.

15 იანვარი

ჭაფჭაფადის პროსპექტზე მოვდიოდი ისე, როცა მხოლოდ იმისთვის მოდიხარ და მოძრაობ, რომ მეტი გზა არა გაქვს. წინა დღეს ციციის გულის სტენდირება გავუკეთეთ ჟვანის კლინიკაში. ცალკე ლექსო დარბოდა, ცალკე ლადო კილასონია — ცალკე გოგოები გვეხმარებოდნენ. ყველაფერი გადავიხადეთ, მხოლოდ ორი ლარი დამრჩა, ისიც სანდრიკას, ფეფოს და მარიამს უნდა გავატანო, რომ ხვალ სკოლაში წავიდნენ.

უნივერსიტეტის მეორე კორპუსის გადმოღმა ლურჯურტიკიანი, მოსკუპული გოგონა გადმომიდგა წინ და რაღაც მითხრა. ვერ გავიგე. თითქოს რაღაც მინიატურული პლეადა წამოვიდა, ბიჭებიან-გოგოებიანად. პატარები.

ჯერ ვერ გავიგე, რა მითხრა...

— ძალიან მრცხვენია!.. მაგრამ ფული დავკარგე... გორში უნდა წავიდე, იქ ვცხოვრობ, აქ ვერავისთან დავრჩები... ძალიან მრცხვენია!.. — თითქმის ჩურჩულდა.

ამ „ძალიან მრცხვენიას“ იმეორებდა — ფული რომ მივეცი, მას შემდეგაც. სახელი ვკითხე, თვალი ჩავუკარი, ასეთი რამ ყველას ემართება, საბოლოო არაფერია-მეთქი და წამოვედი...

კარგად რომ გამოვცდი, უკან მოვიხიდე, ეგ ორი ლარი რას ეყოფოდა, ნეტავი კიდევ ვინმემ მისცეს ფული-მეთქი, მაგრამ იქ აღარ იდგა.

„მოუნვეთ ხვალ სკოლაში ფეხით წასვლა...“ — გავიფიქრე და მიუხედავად იმისა, რომ ასეთი გადაღლილი და საშინელ ხასიათზე ვიყავი, ეგრევე საკაიფოდ ავვარდი და დავიგრძელე ნაბიჯი, როგორც გურამ რჩულიშვილმა ვერის დაღმართზე. მოვედი სახლში. ხო მევასება ეს მოყოლები და ბალამუტი, მაგრამ არაფერიც არ მომიყოლია, ჩემთვის მოვყოლე ეს ამბავი.

იმ ღამეს მარიამი მაგიდას ალაგებდა. გადასაფარებელი ახადა და იქ ორი ერთ-ლარიანი, ერთი ორ ლარიანი და ერთი ცორმოცდაათეთერიანი აღმოჩნდა.

მთელი განძი, ტოო!..

21 იანვარი

„როცა ხალხი უცხოელ დამპყრობლებს ებრძვის სამშობლოს გასათავისუფლებლად და როცა იცი, როგორ ვერაგულად დაესხნენ მას თავს, როცა ეს ადამიანები შენი ძველი და ზოგი მათგანი ახალი მეგობარია, როცა იცი, როგორ იბრძოდნენ და იბრძვიან ისინი, თანაც, თავიდან, თითქმის შიშველი ხელებით, უიარაღოდ, მაშინ ხვდები, რომ ყველაზე საშინელ ომზე უფრო ამაზრზენი რამეც არსებობს: ლაჩრობა ომზე უფრო ამაზრზენი, ღალატი უფრო ამაზრზენი და ეგოიზმი უფრო უარესი!..“

ეს შავპერანგია, რეიზანებიანი, ნაძველიჭარი, მორფინისტი და ნაომარი ვერელის, საბურთალოელის ან სანზონელის დაწერილი არ არის, არც ჰელმანდელი ან ბუინაქსელი მოჯაჰედის, არც „ალ-ქაიდას“ ან „ალ ჯამათ ალ ისლამიას“ ტერორისტის...

ეს ამერიკელი ნობელიანტის ერნესტ ჰემინგუეის დაწერილი და ნათქვამია.

27 იანვარი

გუშინ ლექსოს დაბადების დღე იყო. ჩემი ოჯახის წევრების დაბადების დღეები უმეტეს შემთხვევაში იანვარშია.

მეორე დღეა, გოგია ნაბიაშვილის ალადასტურსა ვსვამთ.

უნდა გადავრეკო-გადმოვრეკო, გავიგო, ვინ ცოცხლები ვართ, ვინ ნაკლებად, ვის მივეშველოთ.

ლექსო 31 წლის გახდა. ამ ბოლო დროს

სულ ვუზურებ — ქეიფს მოუკელი, წერე და ცოლი მოიყვანე-მეთქი. მგონი, ვეღარ მიტანს.

და პირად მაგალითსაც ვაძლევ. მეორე დღეა, გალენილი მთვრალი დავთარეშობ, აღარც ცოლი მომყავს, აღარც ვწერ.

აჰა, გოგა ჭყონია და მახო მეძმარიაშვილი „ალაში“ სხედან...

წავედი! ლექსომ გამოიძინოს. რა უცნაურია 31 წლის უმცროსი ძმა...

1 თებერვალი

მინას ვთხრიდი. წერაქვით. მინას ძვლები მოჰყვეოდა. ადამიანის ძვლები. ნეკნები...

გამეღვიძა. მაგრად გავბრაზდი საკუთარ თავზეც და საკუთარ სიზმრებზეც.

რა გვაგჩნდა მართლა ამ ჩემი მისტიკური, პარაფსიქოლოგიური და სიურრეალისტური სიზმრებით? ჩორტები, რაღაც უცნაურად მურტალი, იდუმალი, შავ-ბნელი სახლები, კედლის ძირში ჩამარხული მკვდრები...

„ორი მთვარის ამბავშიც“ მაქვს ეგ ამბები, „ყოველთვის როცაშიც“ და სხვაგანაც. რავი... რაც განუხებს, იმაზე წერ, ხო?..

მერე გამახსენდა, რომ წყნეთის ქუჩაზე და ვაკის პარკის მიდამოებში, სადაც ყოველ დღით სანდროს და ფეფოს ვასეინებ, მე-20 საუკუნის 20-იან, 30-იან, 40-იან წლებში კომუნისტებმა უამრავი ადამიანი დახვრიტეს! ძალიან ადვილი შესაძლებელია, აქვე დახვრიტეს ჩემი დიდი პაპის, ისიდორე მღვდლის ბიჭებიც... ერეკლე, არჩილ და ელენე თურხულები. სულ უმცროსმა დავითმა თურქეთში გადააღწია და გადაიკარგა. მისი აღარავის აღარაფერი გაუგია.

პორტოსისა არ იყო, მეც მხოლოდ იმის მჯერა, რასაც საკუთარი თვალით ვხედავ, მაგრამ დროდადრო, აშკარად, რაღაც მურტალი უბედურება ხდება, რაღაც ირეალური და ამოუხსნელი.

ბოლოსდაბოლოს, ამ სიზმრებსაც ხომ საკუთარი თვალით ვხედავ?..

3 თებერვალი

2015 წლის აპრილის ბოლოდან მოყოლებული, რაც ციციას ავადმყოფობა გავიგეთ, ამ სირბილში, ბრძოლასა და სტრესში, ერთადერთი, რაც მშველოდა, რომანზე — „სამოთხიდან გაქცეულები“ — მუშაობა იყო. მხოლოდ წერის დროს მქონდა შედარებითი სიმშვიდის შეგრძობა, თითქოს სუნთქვითაც უფრო თავისუფლად ვსუნთქავდი. მას შემდეგ, რაც რომანი დაავასრულეთ და ზვიად კვარაცხელიას თავანოიჩი ჩავაბარე, მსგავსი სიმშვიდე და შევება მხოლოდ კითხვა მანიჭებს. დროს ვიხელთებ თუ არა, ეგრევე ჩემს ბიბლიოთეკაში ვძებრებ და გიჟივით ვიწყებ კითხვას. ვკითხულობ არეულად, მერამდენედ ვდებ და ვიღაც სრულიად სხვადასხვა, თითქოს ერთმანეთთან დაუკავშირებელ წიგნს: ჯორჯ ორუელის „1984“-ს და ვასილი შუკშინის, პერუელ ინდიელს, ანდელ შამან მანუელ სკორსას და ნორვეგიელ კნუტ ჰამსუნს, სერგეი დოვლატოვის ჩანანერებს და ბლაჟბეკოვის „ადილელებს“, მაგარი ქართული ებრაელის ნოდარ ჯინის-ჯინიხაშვილის ძალიან ოხრულ წიგნს სტალინზე და პუშკინის „პუტეშესტივი ვ არზრუმ“-ს, ჯეკ კერუაქის „On the Road“-ს და „ათას ერთ ღამეს“... ფაქტურა არა — ერთი მაგის გრაფომანი...

და უცებ დამარტყა: როგორ ჰგავდნენ 70-იანი წლების ლენინგრაძელი დისიდენტი მწერლები — ევგენი რეინი, ანატოლი ნაიმანი, იოსებ ბროდსკი, ვლადიმერ მარამზინი (ვლადიმერ კაცნელსონი), ბორის ვახტინი, იგორ ეფიმოვი, სერგეი დოვლატოვი, სერგეი ვოლოვი, ვლადიმირ გუბინი მათზე ათი წლით ადრე ამბობებულ და აწრიალებულ ამერიკელ ბიტნიკებს — ჯეკ კერუაქს, უილიამ ბეროუზს, კენ კიზის, ალან გინსბერგს, ნელ კესიდის... იგივე გაუცხოება, პროტესტი, დამკვიდრებული ნესტიანობა და საზოგადოებისადმი ზიზილი და სრული ურთიერთმიუღებლობა, ხშირად ფიზიკურ სისუსტესა და უმწიბრობასთან საბედისწეროდ გადაჯაჭვული ინტელექტუალური სიღრმე და გენიალობამდე მისული ტალანტი, მემარცხენეობა, აგრესიული ჰომოსექსუალიზმი (An Aggressive Homosexual — უილიამ ბეროუზი), სრულიად განსხვავებული ბიოგრაფიები,

ხასიათები, დაუნდობელი ურთიერთდაპირისპირება და სისასტიკე, ნარკოტიკები, ბენზედრინი, პეიტოლი, მორფინი, ფანჯრებიდან ნასროლი საათები, კანონისადმი სრული უპატივცემულობა და დაუმორჩილებლობის მცდელობა, ციხე და დაპატიმრებები, მკვლელობა და თვითმკვლელობა, იატაკქვეშა ლიტერატურული კლუბები და გაერთიანებები — „Six Gallery“, „Горожане“, „Семёрка“, „Cafe Mediterranean“, „Эхо“... გამოუქვეყნებელი, მაგრამ თავად ავტორების და თანამოაზრეებისაგან გენიალურად აღიარებული ტექსტები, შემთხვევით თითო ცალად დაბეჭდილი, ცენზურას სასწაულებად გაპარული ნაწარმოებები „Howl“, „Илларион и карлик“, „Naked Lunch“, „Смешнее чем прежде“, სიგიჟე, ურთიერთგამომრიცხავი იდეოლოგიები, იდეები, აკვიატებული აზროვნება, ქრისტიანი ებრაელები, ბროდსკი... ნაიმანი, რომელმაც რუსეთის იმპერიაში, რიგაში დაბადებულ ბრიტანელ დიპლომატ ისაია ბერლინთან ანა ახმატოვაზე და ბორის პასტერნაკზე საუბრისას დაუფარავად გამოხატა თავისი: „ნედაუმენიე, სომენიე, დაჟე რასტერიანოსსტი, ონ ნე მოჟეტ პანიატ, კაკიმ ობრაზამ ტაკოი უმნი, სერდერჩნა ბოგატი, და-



სტიონი, ტალანტილი ჩელოვეკ მოგ ნავსუ ჟიზნ ოსტატსა ატიესტამ?...“ რაზეც „სერდერჩნა ბოგატი“ ისაია ბერლინი ძლიერი ადამიანებისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით პასუხობს: „ია ნე ატიესტი! ატიესტი ჩელოვეკ კატორიი ზნაეტი, მტო ბოგ აზნაჩაეტი, ჩტო სამა ეტო სლოვა აზნაჩაეტი ი ნე ვერიტი, ჩტო იესტ ტაკოი ბოგ. აია ნე პანიმაჟუ, ჩტო ეტო სლოვო გავაროტი!“

გაოგნებული ანატოლი ნაიმანი მაინც ვერ ისვენებს: „ნო ვ კაკომ ვვიდე ლუდი სუშესტეუიუტი ნა ტომ სვეტი — დეტი, სტარიკი, ლიუდი სრედნიხ ლეტი? ისაია ბერლინ სპაკოინა ატევეტილ: ანი ვკაკომ! ტავო სვეტა ნეტი! ნეტი ნიკაკოვა ტამ!“

აი, ეგრე ნადი ეხლა და ირიკავე! „ნა ნეტი სპროსა ნეტი!“ როგორც ამბობდნენ მაშინ არანაკლებ დისიდენტურად და პოეტურად განწყობილი განაბები.

თუმცა ერთ დროს ცნობილი ჩეკისტის, ავანტიურისტის და მკვლელის, სერგეი ესენინის მეგობრის იაკობ ბლიუმკინის კოლეგამ და შემდეგ მისმა სასიკვდილოდ გამწირავმა „გულაგ“-ის დამაარსებელმა და „ენკავედამ“ ყოფილმა შეფმა ენობ გერმევიჩ იეგუდამ, იგივე ჰენრიხ იაკობამ, დახვრეტის წინ საინტერესო რამ თქვა: „ვიდიმო ბოგ ვსიო ტაკი იესტი. ია ვსუ ჟიზნ სლუჟილ სტალინი! ვეროი ი პრავდოი ი ბაროლსა ს ბოგომ ი ვოტ რეზულტატ, ონ კარაეტი მენია!“

და ეს კულტურული ამბოხი იწყება თითქმის ერთდროულად, ორ, ერთმანეთთან სამკედრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულ იმპერიებში, რომლებსაც 9 ზღვა და ერთი ოკეანე ჰყოფდა. ამერიკელ ბიტნიკებს მემარცხენეობისაკენ, სოციალიზმისაკენ და კონუმიზმისაკენ ჰქონდათ სიმპატიები. საბჭოთა საპრობილემო მოყოლილ დისიდენტებს კი ამერიკა და დასავ-

ლეთი ალტქმულ ქვეყანად, თავისუფლების ოაზისად და სამოთხედ მიაჩნდათ („ია დოლოგო ნე მოგ პრედესტავიტ სებეი ნე ვეროილ შტო პო ანგლისკი მოჟნო სკაზატ გლუპოსტი“ — იოსებ ბროდსკი).

მართლა ძალიან საინტერესოა ეს ყველაფერი. ასევე საინტერესოა, ამერიკაში ემიგრაციის შემდეგ იგივე ბროდსკის, ეფიმოვის, დოვლატოვის ჰქონდათ თუ არა რამე ურთიერთობა ცნობილ ამერიკელ ბიტნიკებთან? სამწუხაროდ, ამაზე არაფერი მსმენია...

და სამწუხაროდ არაფერი მსმენია კი არა, დავტყვი ახლა ქუჩაში, ვიდრე ამდენი არეული კითხვისგან ლამანჩელი ჰიდალგოსავით არ გამირეკნია, თანაც საამისოდ მშვენიერი მონაცემები მაქვს, სანჩო პანსაც მომეძვეება და ერთ თეთრ ბებერ ჯგავლასაც ვიშოვი როგორმე, მითუმეტეს, რომ ალაღად ვიტყვი, მართლა სულ მარცხენა ბეჭე მახატთან ამერიკელი ბიტნიკებიცა და საბჭოთა დისიდენტებიც თავისი ათეიზმით, კომპლექსებით, სულიერი სტრესებით, ჭეშმარიტების ძიებით და ეგზისტენციალური ორგაზმით...

მე ვიცი, ძმაო, ძველი წარმართული ფხოველური სამომარი ღვთაებები: ვაც და გამი, დიდი არმაზი, ხადის და საგარეჯოს

ლამის სიბნელეში ჩაძირულ და უცებ, მოულოდნელად, სრულიად გაუცხოებულ ქალაქს. ვიდექი და ვცდილობდი, არ მეფიქრა რეანიმაციაში გარდაცვლილ დედაჩემზე, საიდანაც ვერაფრით გამომაგლო ექიმმა, რომელსაც მგონი ხათუნა ერქვა, ვიდრე ციცი ხელოვნურ აპარატზე არ შეაერთეს. ბოლო წამამდე თვალეში ვუყურებდი და ვატყუებდი დედაჩემს: „ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, დრო გვინდა, ფილტვების მუშაობა რომ აღდგეს, დრო გვჭირდება, ხელოვნური სუნთქვის აპარატი მაგისთვის გვჭირდება, რომ ჰაერის უკმარისობამ არ შეგანუხოს, რა გაშინებს ქურხულების დედა არა ხარ-მეთქი“... „არ წახვიდე, არ დამტოვო“... „არა-მეთქი, დე, სად წავალ.“

ვატყუებდი, ვიცოდი, რომ ყველაფერი დამთავრებული იყო, იმასაც ვატყუებდი, რომ არ წავიდოდი და არ დავტოვებდი, იმიტომ, რომ თვითონ მიდიოდა და მტოვებდა. ვიდექი ფანჯარასთან, ლამის ქალაქს გავყურებდი და აღარ ვიხსენებდი აპრილიდან მოყოლებული 11 თვიან სამხედრო ომს სიკვდილთან, რომელიც წავაგე. აღარ ვიხსენებდი არც იმას, როგორ ვეხვეწებოდი ციციას, კიდევ აღარ გაეკეთებინა ეს დედააფეთქებული დასხივებები, რამაც თავისი ძირითადი დაავადებისგან — სიმსივნისგან — ფაქტობრივად განკურნებულს ფილტვები დაუზიანა. ვიდექი ნაომარი, როგორც ყოველთვის დამარცხებული და სასონარკვეთილებისგან და იმის შეგრძნებისგან, რომ ყველაფერი დამთავრდა, საკუთარ სხეულს ვეღარ ვგრძნობდი. და უბედურად მეშინოდა. როგორც ყოველთვის, შეშინებულს თითები ისე მიკანკალედა, რომ დენდარტყმულივით მიხტოდა და ხმაც ჩამეხლიჩა. ისე საშინლად ვზრიალებდი, ვინმეს რომ დაველაპარაკებოდი, ადგილზე ხტებოდნენ და რომ არ გამქცევოდნენ, კეთილად და საწყლად ვიღიმებოდი.

ძალიან განვსხვავდებოდი ერთმანეთისგან და ვერასდროს ვრიგდებოდი. მე ლალი და დაუსტვინე, დედა მონყენილი და მელანქოლიური, მე მაგარი ფიცხი და აზარტული, დედა დეპრესიისადმი მიდრეკილი და შემოქმედებითი ნატურა, მე თავგადასავლები, ამბები და ხალხში ტრიული მიყვარდა, დედას მარტოობა, სულიერება, ფიქრი და დარდი... ჩემი სახლის კარი ყოველთვის ღიაა, ამ წუთშიც — წერისას, დედას ხმა კი ახლაც ყურში ჩამესმის: „არ გაალო, არ გაალო, ჯერ ჰკითხე, ვინ არის“... მას უშინოდა ადამიანების და სრულიად სამართლიანადაც. მთელი ცხოვრება თავშესაფარს და გამოსავალს ეძებდა და ისე წავიდა ცაში, რომ ვერაფრით მიხვდა, აქ, დედამიწაზე, თავშესაფარი და გამოსავალი უბრალოდ არ არსებობს. არ არის და მორჩა. არც არასოდეს ყოფილა და არც იქნება. დედა თეატრალი, ოპერის და კლასიკური მუსიკის მოყვარული და ესთეტი იყო, მე კი სტადიონები, ქუჩის ჯვარედინები, გადატრიალება და არეულობა მევახებოდა, ბუნტარული გამოსვლები.

მაგას მოუყვდი მე, მთელი ცხოვრება ოცნებობდა, რომ რაფინირებული და დახვეწილი ინტელიგენტი ვყოფილიყავი. სულ დავცინოდი მაგაზე. აი, ეგეთი ჩურჩუტი იყო, დამთხვეულ და გადარეულ მამაჩემ ჯემალს რომ მიყვებოდა, მე რაფინირებული და დახვეწილი ინტელიგენტი საიდან გამოვივიდოდი?

მთელი ცხოვრება ვეპრანჭებოდი. რაც გამირისკია და მიგიჟია, სულ იმის ეშხით, რომ დედაჩემს მოვწონებოდი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ჩემს წიგნზე — „ქალაქი თოვლში“ — ეგრეც მივანერე 2013 წლის 16 სექტემბერს, რაზეც დედამ უფრო მაგარი ჩანაწერი მიპასუხა. ახლა მისი წიგნი უნდა გამოვიცე და ეს ჩანაწერიც იქნება. თუმცა იმის მიუხედავად, რომ არ მოვწონდი, ყოველთვის საშინლად ეჭვიანობდა ჩემს გოგოებზე. როცა ერთ-ერთმა მათგანმა, როგორც ჩანს, ყველაზე ჭკვიანმა და ტაქტიანმა უთხრა: „ტყუილად წერვი-ულობთ, ციცი დედა, სინამდვილემ ერთადერთი ქალი, რომელიც ბექას უყვარს და მისთვის ძვირფასია, თქვენ ხართ“, ციცი სიხარულის ნაპერწკლებით აუციცმდა თვალეში და სიამოვნების ღიმილი ვერ დამალა.

ვიდექი ფანჯარასთან და გავყურებდი

21 თებერვალი

არჩევანი სიკვდილსა და... სიკვდილს შორის სიკვდილმა მაინც სიკვდილის სასარგებლოდ გააკეთა.

დაახლოებით ასეთი სიგიჟე მიტრიალებდა თავში, როდესაც 10 თებერვალს, 2 საათსა და 21 წუთზე დილომში, რკინიგზის საავადმყოფოს რეანიმაციაში დედაჩემი გარდაიცვალა.

დედა

ლამაზი იყო დედაჩემი,
ჩვენ ერთმანეთი
ისე გვიყვარდა —
მამაჩემი ეჭვიანობდა.

საბავშვო ბაღში წამდაუნუნე
ავად ვხდებოდი
და ამიტომაც ბაღის ნაცვლად
დედა თავისთან,
სამსახურში დამატარებდა.

თანამშრომლები კარგად მიცნობდნენ,
გადავდიოდი ხელიდან ხელში,
კალთიდან კალთაში
და უნებლიედ
არაერთი საუბრის მოწმე —
მე, სულ ხუთი წლის,
უნივერსიტეტს
შიგნიდან ვფლობდი.

მახსოვს ერთხელაც ნანამ თმები
მოკლედ შეიჭრა
და შეიღება.
ახლა რომ ვფიქრობ,
ჩემზე ბევრად პატარა იყო,
ვიდრე დღეს მე ვარ.
მე მიყვარს ჩემზე პატარა დედა.

იმ დღემდე, სანამ შეიჭრიდა —
მას ჰქონდა გრძელი, ნაბლისფერი
თმა და ნაწნავი,
ხანდახან პალტოს ჩაცმის დროს რომ
შიგნით რჩებოდა.

მას მერე თმა არ გაუზრდია,
სულ მოკლედ ჰქონდა.
მე მახსოვს დედა გრძელთმიანი,
მისი ხელჩანთა
ყავისფერი,
სუნით ნარევი;
ტყავის, პომადის,
რკინისა და ქალაღის ფულის.

როგორ მიყვარდა ამ ჩანთაში
ჩაძირვა, ყვინთვა,
ნივთების ძებნა, აღმოჩენა,
თვალთვლება.
ეს იყო კვლევა, ჭეშმარიტი მეცნიერება,
და დედაც, თუკი წამასწრებდა,
თავისი ჩვეული ირონიით მეტყვოდა:
„რატი,
შენ გამოხვალ არქეოლოგი“.

როდესაც მარტო ვრჩებოდი სახლში,
დედა ხმამაღლა ამბობდა ლექსებს:
გალაკტიონი, ახმატოვა,
პუშკინი, რილკე.
მას მერე, როცა მათ ვკითხულობ
ჩემით, მე თვითონ —
თვალწინ დედაა,
მისი ხმა მესმის,
და პოეზიაც დედაჩემს გაგს,
გავს კიარადა,
იგი სულ მთლად დედაჩემია.

სიცხის დროს შუბლზე
შენი ხელის შეხება, კოცნა —
მუზად დამაჩნდა
დედა.

მამა

მე ნავიკითხე წერილები,
თუ რას წერ შენს ცოლს,
ანუ დედაჩემს სამშობლოში,
როცა მე გავჩნდი:
„როგორ ხარ, ჩემო
ნანა,
გიგზავნი, რაც მოხვება...
რადგან გოგო გვინდობდა
და ბიჭის სახელზე არც გვიფიქრია,
წერილს ვურთავ ვაჟების სახელებს
და აქედან აარჩიე.
გკოცნი ბევრს, შენი...“

წითელი კალმით
ჩემი მომავალი სახელიც გეწერა
ჩამონათვალში,
რისთვისაც გმადლობ.

შენ,
გვიანობით ბრუნდებოდი
სამსახურიდან,
სალამოს შეიღებე, ან რვაზე,
დაღლილი.



ან წითელ ტახტზე წევბოდი, ანდა
მწვანეზე,
რომელიმეზე აუცილებლად
და მე მისვამდი გულზე,
ვინცებდით თამამს.
ამბობდი, რომ შენ ხარ გემი
დიდ ზღვებში მოცურავე,
მე კი მეზღვაური,
ხშირად კაპიტანიც.

და შენი დიდი სხეული უცებ
ჩემთვის ხდებოდა ხომალდი, ნავი,
ვეკროდი მე შენს გულმკერდს და მუცელს
და შენი ორი ვეება მკლავი

ხელში მეჭირა, როგორც ნიჩბები,
ნიჩბებს მოუსვი, რატი, იჩქარე,
მეუბნებოდი და ჩვენც ვცურავდით
შორს, ღია ზღვაში; მახსოვს სურათი.

ძილის წინ დედა მამანავებდა,
ზურგზე მომიკიდებდა,
რასაც რატომღაც აჩიკუდა ერქვა
და ასე გამოვყავდი აბაზანიდან.
ძილით კი,
რალაც დრომდე შენ მაძინებდი,
შენ მანვენდი ლოგინში ღამით,
მე საძინებლის ქალს ვუჭვრეტდი,
რომელიც მალე
უნდა ჩამქრალიყო
და მეც წინასწარ მეშინოდა.

შენ ორივე ხელს მიკოცნიდი
რიგრიგობით, რიტმულად და ბევრჯერ.
ეს მე მართობდა, მაცივებდა და
ძალას მაძლევდა
სიბნელესთან გასამკლავებლად.

ახლა კი, როცა არ ხართ, ორივე,
გემ-დამსხვერუდი მეზღვაური ვარ.

დავძრწინვარ ჩემი ხსოვნის სარდაფში,
ეხსნი ფარულ უჯრებს, სკივრებს, ზარდახშებს.

მტვერს სულს ვუბერავ, ვშლი და ვუნათებ
ნიგნად აკინძულ დღეთა სურათებს,

რომელთა შუქი, როგორც სიზმარი
მსურს მოგანვინო, გამოგიგზავნო.

ეს სიმარტოვეც რომ ვძლიო ჩემი
ალბათ შენსავით გავხდები გემი —
მამა.

სული

წარმოიდგინე თავის ნაცვლად,
ან გულის ნაცვლად
მზე გაქვს,
მთვარე კი
პლანეტები და ვარსკვლავები —
არიან შენი შინაგანი ორგანოები.
ღვიძლი, ფილტვები, თირკმელები,
სულაც თვალეები,
მოქსოვილია მათი შუქით,
ნისლოვანებით.

წარმოიდგინე, შენ ხარ მათი კონსტელაცია.
მარსი, ვენუსი, იუპიტერი, სატურნი, მერკური,
ისევე როგორც ორშაბათი, სამშაბათი
და ასე შემდეგ
კვირის შვიდი დღე
შენ ხარ.

შენ მთელი კვირის უფალი ხარ,
ხარ თვის უფალი, წლის უფალი,

შენი წილი დროის უფალი,
ლხინის თუ ჭირის,
გულის, ხელის,
თავის უფალი.

შენი სხეული ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცაა,
მიდი, ეცადე, ააცეკვე, აამოძრავე.

ხოლო შენი სული სულია, რომელიც სხვაში იხილე,
სხვათა სხეულთა გამჭოლ იხილე.
შენ ხარ, ვინც გიყვარს,
შენ ხარ, ვინც გახსოვს,
და თუ არ გიყვარს,
და თუ არ გახსოვს — გაკლია „შენ ხარ“,
გაკლია, როგორც ხელ-ფეხი, სმენა,
მხედველობა, შეგრძნება, ყნოსვა,
როგორც ჰუმორი, გაღიმების უნარი, ანდა
აღქმის, გაგების, შეცნობის ნიჭი.

ეს უნარები „სხვები არიან“,
ვინც კი ოდესმე მოგეწონა,
შეიყვარე, მიბაძე, აღიქვი, დაიმახსოვრე.

შენა ხარ ის, რაც შენამდე გარეთ იყო,
და რაც შენ გაიშენე, გაიშინაგანე.

შენი სამშვინველი ტყეებია უღრანი, ნათელი,
ლამეებია ჭრიჭინების ხმებით მცურავი.
მგრძნობიარეა, იმ ცხოველებივით, ვინც გიყვარს,
ვისაც მოუარე, მოეფერე.

შენი სამშვინველი ტკაცუნა კოცონია
ავვისტოს ღამით მწყემსების მიერ
მინდვრად დანთებული, როცა;

მონყდა ვარსკვლავი, როგორც მერცხალი,
შენში დაუფრთხო ძილი საღათას,
აზრი ფრთა-სუსტი, ფიქრი ფერ-მცხრალი
ამონაკვთა და ამოანათა.

შენი სამშვინველი სინათლეა,
უხილავად რომ ასხივებენ ყვავილები.
შენი სამშვინველი ყვავილია, რომლის სხეულიც დაჭკნა,
მაგრამ მშვენება მისი აირეკლე, შეინახე, გაითავისე.

შენ ხარ ხსოვნაში
შეგროვებულ ყვავილთა შუქი.
მათგან მკურნალი ნელსურნელის
მფრქვეველი ირგვლივ,
ის, რაც არ იღებს,
მხოლოდ უხვად გასცემს და ჩუქნის
გულს თანა-გრძობას,
შუბლს უმანკო ზრახვთა გვირგვინს.

შენ ხარ კლდეები, რომლებზეც ცოცავდი,
ზღვა ხარ, რომელშიც ცურავდი,
ცა, რომელსაც ზვერავდი, ჭვრეტდი.
და იმხელა ხარ — რაოდენითაც გაოცდი,
აღფრთოვანდი
სხვებით, სამყაროთი, ადამიანებით.

სალამო

სალამო — ნაკლები სინათლე
და მეტი განწყობა შიგნიდან.
სვლა შენი განცდების წინანდელ
დაბურულ ლაბირინთში გინდა.

სალამო — ფოთლების სიმწვანე,
ქუჩები — ჯადოქრის შეხვედრა
უეცრად სუნთქვას რომ გიმწვავებს —
შეხედავ და თავბრუ გეხვევა.

სალამო კანკალებს ჩრდილებით,
ციცინების მარცვლები დაცვივდა,
აივნებს მოუსხდნენ ჩიტები
მაცნენი სულთა გარდაცვლილთა.

ჩემი ქალაქის იასამნები...

— ვაჰ, ჩიტი მოკლეს რიყის ნაპირზე...
— ვინ ჩიტი იყო?
— გოგო პატარა...
დედა მკერავი, მამა მეთევზე...
დილის ღოცვაზე გადაატარეს...

— იმ ღოცვის გარდა რითი ჰკვებავდნენ?
— თევზის ცრემლით და იასამნებით...
და ზამთრის ცივ და უცეცხლო ზღაპარს
შეუფუთავდნენ ვარდის საბნებით...

— ვარდებიც ჰქონდათ?
— ვარდს არ სჭირდება
ორანჟერეა, დიდი ფულები...
ვარდებს მაისის წვიმები უყვართ
და უმეცობის გაზაფხულები.

— მე რა შუაში ვარ?
— შენზე უთქვამთ, რო
არაყს არა სვამს, ეგ გიშველისო...
მარხვასაც იცავს, პირფარასაც იწერს
და დარდიც ესმის ობოლ შველისა...

— ვარდი თუ მოკლეს იასამნების,
შენ რას შვრებოდი, ბიჭო, მერედა?!
სად იყო შენი შავი ნაგანი?
სად იყო ჩემი თეთრი ბერეტა?

— კაფეში ვანდე
სქელგავა ვანდას
გახსოვს, ნითელი ჰქონდა ფარდები...
თმებში რო ოქროს ოფოფი ჰყვანდა,
შინ წასაღები ვანდე დარდებიც...

მე რა ვიცოდი, თუ ჰკლავდნენ ჩიტებს?
ან ჩიტი ასე როდის კვებოდა?
დედა უქსოვდა ძველებურ ჩითებს,
სიცივისაგან როცა კრთებოდა.

— როგორ დაათვრეს?
— მოშივდა ალბათ...
თვალეები ჰქონდა ზამთრის შველების...
და შეიტყუეს მატრბაზებმა
სუფრაზე ობოლ ვერმიშელების...

— ნამცეცს პეშვიდან კენკავდა, მითხრეს...
— არაყსაც სვამდა?
— რა ვიცი, ალბათ...
მთვრალი ვიყავი, მივდევდი ფიქრებს...
და ჩამასმინეს წასაღებ ამბად.

— თეატრის წინ რო კაფეა ძველი...
ხანდახან იქაც მინთებენ რამპებს...
ტირიან, თხზავენ თვალებით სველით
ათეატრალურ ზღაპრებს და ამბებს.

— იქნებ ჩვენც მოგვკლეს და...
ჯერ არ ვიცით?
— არცა შეგვერგო, არც გვალეზინა...
იქნებ იმ გოგომ, ჩიტმა პატარამ,
არყოფნა ჩვენი გაგვაგებინა.

— და როცა კლავდნენ,
ზარები დაჰკრეს...
ზარიც საქმეა!
— ვაჰ... და მერედა?
— სად იყო შენი შავი ნაგანი...
სად იყო ჩემი თეთრი ბერეტა...

პორტრეტები ტილოს გარეშე

— ალბათ გიყვარდა...
— მერე რა მოხდა?
— აღარაფერი...
— ხანი გამოსდა...
როგორც სპარსული მინანქრის ფერი
გაიცრია და სული ამოხდა...

— რა ჩიტი იყო?
— ჩიტი არ იყო...
ქალს ჰგავდა
ქარის ჭავლებით ნაქსოვს,
ფრთებს ისწორებდა, ხმა რომ გაიღო,
თეთრი თითების ცახცახი მახსოვს...

ფარდით შემოსილთ უფრთხობდა ქარებს,
თვალეები ჰქონდა ლურჯი სავსებით...
გალიის ღია დავტოვე კარი,
ველოდებოდი მთვარის ავსებას...

— არც ტილო გქონდა და არც ფანქრები?
— ნუ დახატავო ავსებულ მთვარეს,
— მთხოვა — ავდგები და, სანამ ჩავა,
მთვარეს თვალზე მოგიმინანქრებ...

— ჩიტები იყვნენ და...
ქალებს ჰგავდნენ.

პაატა ბერიკაშვილი

— ქვიშასაც ჰგავდნენ ძლიერ... ესოდენ,
— რომ ჩემი სულის ნატამალს სვამდნენ,
მერე თითებში შეკარგებოდნენ.

— ეგ მტვერი რაა ჭრელი ფერების?
— ეს მათი ფრთების ნატამალია...
— ეს იისფერი?
— ნინო ხომ გახსოვს?
ლურჯი — მარიკა და ნატალია...

— არც ტილო გქონდა და არც ფანქრები,
ისე გავიდა მთელი ცხოვრება,
— ვხატავდი ფრთებს და ნოემბრის ქარებს.
არ მჭირდებოდა დამახსოვრება...

— ხომ შემომიშვებ?
— მოდი, მობრძანდი...
— ჩიტები, ვიცი, მალე კვდებიან,
ფარდების მიღმა გალიის კარი
იცი, არასდროს დამიკეტია...

მთვარეზე რა ვთქვა...
ჩემსავით ცხოვრობს —
სულში ხან ლამაზ ყვავილებს მოთოვს,
ხან იმახსოვრებს გაფრენილ ჩიტებს,
ხანაც იმ ფრთების ნატამალს მოგთხოვს.

დალაქები და ანგელოზები

რა ჰქენი, მორჩი, ჩიტო, გალუსტავ?
— ჩიტი რათა ვარ?
ფრთები მაჩუქეს...
ჩამომიკიდეს გალიის კართან,
დილით ვიცვამ და მივყვები ქუჩებს.

— სულ ახლებია და ხელუხლები,
მტრედის ღინღლები რო მორთავს ქუჩებს,
ეგ მოგვიქუჩეს...
ბებრის მუხლების
ტკივილზე აგვცრეს და გაგვაყუჩეს.

— თევზს რო დაიჭერს მტკვარზე თოლია...
— თოლია იცნობს თევზის ალაგებს!
— ჩვენზე არა — შენი ტოლია,
მოვა, გვაპურებს ბებერ დალაქებს.

— რათ არ მიფრინავ, ბარო, თათარო,
სოლანლულელო ჭროლა ყეინო?
— რავი, დილიდან დარდი ვატარე...
არ გინდა ღვინო დამალეინო?

— ღვინო რად გინდა თათარს და ოხერს?
— მიყვარს ღვინო,
იცის ალაჰმა...

აილო ჩემი ლაილას ფერი,
საფერავებში გადაალაგა.

— ლაილა ოვა?
— ჩემი ცოლია...
მოკვდა და ვიცი ამაღამ მოვა...
ერთი და ჰყვანდა, ერთიც თოლია,
ერთიც კაბა და პერანგი მოვის...

— რას ჰქვია მოვა?
— თოლიაც მოსდევს...
ვარდები მოაქვთ... ყოველდღე მოდის,
ხან მეფერება, ხანაც ზის ისე,
ათვალეირებს ჟურნალებს მოდის.

— ლაილა თურმე — ანგელოზია...
იმ დღეს გამიწყნრენ თვითონ და ღმერთიც:
— არც წყალი გისვამს, არც გილოცია...
სანთელიც მომცა კენტი და ერთი:

— მე მოვკვდი,
— ორი რაღად გინდაო?
— მამ ეგ ბალიშიც წაიღე-მეთქი!
— კრუხი დასვი და ჩიტებს დასთესამს...
ეგრე გვიბარებს ნინონმინდაო.

— გალუსტ, ლაილას იცნობდი, ალბათ...
— ვაჰ, როგორ არა!
სუფთა პავლინი!
— ეს ბარო კიდე — სოლანლულელი
შეყვარებული ჩარლი ჩაჰლინი.

— ლაილა ძლიერ სტიროდა მერე...
— რა ატირებდა?
— უყვარდა, რავი...
და მოვიტაცეთ მე და გალუსტამ.
ღამე დავკალით მტრედი და კრავი.

— კრავზე იტირა...
მტრედზეც ტიროდა
— მტრედიც შეჭამეთ?
— არა, გაფრინდა...
ლაილას თმებში ბუდე მოქსოვა,
იქ ჩაიკარგა და გაირინდა.

ყავა გაცივდა...
არაყი მორჩა...
გარეთ გოგონა ნაზი და ნორჩი...
იქით ლაილას იხსენებს ბარო,
აქეთ გალუსტას ნოველებს მოვრჩი...

ფრთები ძლივს დააქვთ ბავშვობის ჩიტებს,
რიყის სახინკლის ორთქლში ქრებიან,
ანგელოზები უქსოვენ ჩითებს,
მაგრამ ველარსად გაფრინდებიან...



დედის თვალეზში ცხოვრობდი ადრე...
რო დაიშრიტნენ ის თვალეზი,
ხო მოგაკითხეს?
სახლი გწყუროდა...
ის თვალეზი აკი წაგართევს...
მას მერე სიო ძველი სახლის ჩრდილში დაგათრევს.

სიო არ გიყვარს...
არც ჩავლილი უხმოდ დღეები,
დაღლილ ქალივით
სარეცელზე მინავლულები,
შენ ქარი გიყვარს — საფერავის სუნზე აცრილი
და ხის ტაბლეტზე დასანთლული სინანულები.

მერე...
ცხოვრობდი მეგობრების უნდო ლულებში,
სანამ ლულები შენს გუმბათებს არ დაუმიზნეს,
იმ გუმბათებში გადასახლდი...
იყავი მშვიდად,
სანამ ტაძრები წეროებად არ გადაიქცნენ...

მერე გაფრინდნენ...
გადიოდნენ თალხი დღეები,
ამ ქალაქს ძველი, ულახათო ედგა ემბლემა...
გაიქეცი და ის ნანატრი სამოთხეები
გადაგატარეს ჭრელა-ჭრულა მატარებლებმა...

იმ სამოთხის წინ ფარშევანგი დადის სარკეში...
და თეთრ არკებში
შენი ბალის რამზა ინთება...
თეთრი ეტლები,
საფერავის ძველი რითმები
გადაქცეულან გაუკვალავ ლაბირინთებად.

და ისევ მზისკენ გაიქეცი ფარდების მიღმა...
და სადაც მიხმე,
წამოგყევი მშვიდად და უხმოდ,
მახსენდებოდა — გინუნებდი უცხო ქალაქებს,
რადგან ვიცოდი, იმ ქალაქად
დრო — ქვიშის ბოთლში
ქალის და ღვინის მოზაიკად გადააღაგეს...

იასამნების დრო გიყვარდა — აპრილი მახსოვს...
და კიდევ მახსოვს, ცისკრისპირზე უმზერდი მთიებს,
დილის არაყი აივანზე...
ლურჯი ხალათი...
და გადაცვეთილ სამასრეში ითვლიდი ტყვიებს
და მახსოვს, არსად, არავესთვის გიღალატია...

ჩვენ მხოლოდ ქარის და წვიმისთვის
ვღალატობთ ხოლმე...
ფაიფურები, მურაბები, ჩრდილი საბნების...
ჩვენი არ არის...
ჩვენია მხოლოდ გამთანგავი წამი ყოველი
— დრო ახალ ღვინით დანინკლული იასამნების.

ისევ ბრუნდები
ლანდადქცეულ ძმების თვალეზში,
დარდით და მტვერით ამოქარგულს მონახავ ბინებს...
იმ ნუკრებს ეძებ,
დედის პეშვით გამოკვებილებს,
დილის არილზე სასთუმალთან რო ჩაირბინეს.

შორიდან იგრძნობ...
აღბათ ბევრი...
ბევრი ხნის მერე,
გასადვიებლად ანგელოზნი ხელს რო ახლებენ...
გაგადვიებენ,
ძლიერ მკრთალი გექნება ფერი
და დედის სიზმრის საფერებლად დაგიძახებენ...

ქარი დაღლილი ფიქრის ქალია...

ქარს თვისება აქვს — არ არის ქარი...
ქარი დაღლილი ფიქრის ქალია...
რო მიუხურეს ოდესღაც კარი
და გაუსროლეს ერთი ფალია...
არ უამბიათ ერთი ზღაპარიც,
არც სასთუმალში დაუმალიათ.

ქარი სხვა არის — ფარდის და დარდის,
სარკის და ვარდის დააქვს ეკლები...
სანამ წავა და იმ შენს სარკეზე
უკანასკნელად აირეკლება...

ქალი სულ სხვაა — ხან არ ჰგავს ქარებს,
ეტლი ვერ უძლებს გზათა ქვიანებს...
ქალი წავა და გახურავს კარებს,
სანამ მეეტლე შეაგვიანებს.

ქალი სულ სხვაა — არ არის ქარი.
თალხი სამოსი დააქვს ეკლებად
და ელოდება, ქარის ფარდებზე
ზეიმურად რომ აირეკლება.

P.S.
ნეტაი თქვენდა, ქარნო და ქალნო...
ღმერთმა დღეს საქმე გამოლიაო...
დილის სუფრა მაქვს, დილის არაყით,
თქვენთან რაღა მაქვს სალოლიაო....

ჰაატა ბერიკაშვილი

ბედნიერი ვარ, თვალს რომ გაახელ...
ცა, მაგ თვალეზის მიღმა რო ნათობს,
ჩემი სახლია...
მაგ სახლში მხოლოდ
შენი დაღლილი ღიმილი მართობს.

ბედნიერი ვარ — კონიაკს მისხამ,
წვეთები დაგდის დილის ხალათზე
და მახსენდება ყოველდღე სისხამ
უკანასკნელად რო გიღალატე.

მთვრალი ვიყავი...
თითქოს ქუჩებში
ოქროს ინვოდნენ მგონი არკები,
არ ილეოდნენ, მახსოვს, ქუჩები,
არც ეს წყეული კონიაკები.

ბედნიერი ვარ...
რო მახსოვს ისევ
ჭრელ ყვავილებით სავსე საბანი
და მიხარია, ისევ რო მოგწონს
ჩემი დაღლილი იასამანი.

ბედნიერი ვარ,
ლექსი რო გიყვარს
ჩემი ბიჭების და ენძელების,
გამიძნელებდა
ძმების მოქებნა
გადაკარგული ცის მძებნელების.

ბედნიერი ვარ...
თეთრი ფარდების...
ჩემი ბალის და ცის ალურების,
გადაფურჩები აღბათ ძველ დარდებს,
თუ უშენობას გადაფურჩები.

ბედნიერი ვარ...
გადაღმა ქუჩის
ვუფელი მაგ ბალის ვარდებს და შინდებს,
შინდს ვარდისფერი ჰქონია ტუჩი,
მხარზე გაკოცებს და დაგამშვიდებს.

„ლისიჩკა“

ვარდის მურაბა...
ჩაი...
ლამზაქი...
სოფო — ლამაზი, თეთრი ბეზია...
ეს ყვავილია?
არ გადამიგდო...
შუააზიიდან მიტარებია.

და სოფოს დააქვს სიმშვიდე შენი...
და შენი შვილის ავი შურები...
შენ დააქვს ჩემი ჭრელი სიზმრები
და ჩრდილი მწვანე აბაჟურების.

მე?
არაფერი,
ნატვრების გარდა...
ჩემო სოფო და ჩემო ნინიჩკა,
ეს გახეხილი დამაქვს ჯინსები,
და სიფრიფანა ძველი „ლისიჩკა.“

ყური დამიგდე:
ამ დანის პირზე
აგიგებ სახლს და აგიგებ საყდარს,
გაგივლებ ხნულს და ვარდებს დავეთესავ
შენი ბებიის ზღაპრების სადარს.

ამ დანის პირზე აშენდებიან
მერე დაბები და ქალაქები,
შენი ბებიაც და დაქალებიც
სულ სიყვარულზე ილაქლაქებენ...

მე?
არაფერი...
მაგ წამწამებში...
გამოვიძინებ — ბებიის ნებით...
შენც დაბერდიო, წამიჭურჩულა,
ცოტაც და თვალი დაენამება...

ბრაზდება თანაც:
— ეგ რა დაბები?!
შვილო, თუ ჩემი მოგწონს ნინიჩკა,
ან წაიყვანე, ან მე გაგყევი
ან დამიტოვე შენი „ლისიჩკა...“

სოფი გაგიჟდა...
ან გაუგიჟდნენ
შავ გიტარაზე თეთრი ბაფთები...
მურაბის როზეტს და ედიტ პიაფს
მოსდევს ხმლები და თეთრი აფთები:

— ვერ დასახლებ ქალს დანის პირზე...
— ვიცი — ქალი ვარ!
მარსელის პირსზე
ხელი ვუკარი მარშალ რეძინსკის,
და ის ღიმილი შევაშრე პირზე...

— მე ავუშენებ...
— ლისიჩკის პირზე?
— კი, ერთხელ უკვე მქონდა ქალაქი...
და ის ლამაზი აივანები
მერმე აქა-იქ გადამიღაგეს...

— მერე ნინიჩკა?
— ნინიჩკა მოკვდა...
აპრილი იყო, დღე იყო შვიდი...
— სოფო, ხომ გახსოვს...
გეყოფა ბოღვა...
შავი ღვინო და საღამო მშვიდი...

— მას მერე ვაგებ სიზმრად ქალაქებს...
იმ დანის პირზე ვუსმენ გიტარებს...
მას მერე ვნატრობ მზიან ალაგებს,
ვიცი აქ აღარ გამოიღარებს...

მე ხვალვე წავალ...
სანამ იტყვიან დილის ლოთები
ჭორსა და მართალს,
სანამ ნინიჩკას შეიცხადებენ
და დანის პირზე გათხრიან საფლავს.

მე მალე წავალ...
დამშვიდდი, სოფი —
ჩემი ტკივილის თეთრო ბეზია
იქ არც შურია, არც ტკივილები,
იქ სულ სხვაგვარი აივნებია.

დანა „აეაეა“

გამეღვიძება...
სიზმარს გიყვები...
ჩაი ადულდა...
ნუ მეფერები...
აგერ... შეხედე — ნაძვზე ციყვები!
იქით მთანმინდის ეიფელები...

ვდგები...
გარეცხილს მოვირგებ შარვალს...
ისევ ძველია და ცოტა სველია,
ეს რა წიგნია?
ანრი ბეილი...
რომი, ტოსკანა და სევილია...

აქ ისე ახლოს სახლოს სიკვდილი,
ღამე არ მყოფნის...
დილაა ბინდის...
ერთი წამია
შენს წამწამამდე...
დილა დაღლილი ქალივით მიდის.

ბინდში გაქრება
ფერი მაგ თმების
და შობის ღამის გირლიანდები,
მიგვიანდები...
კარებს აღებენ:
— ყავა?
— ჩაის ვსვამ...
რისი ნალები?!
ღმერთო, რარიგად მიგვიანდები...

— მე მეშინია შენი თითების...
შენი თითების ჩურჩული მახსოვს...
— სუფთა კოლომბა...
კაბას ბოლომდე,
კაბას სისხლისფერ ძაძებით ნაქსოვს
გასდევს გარდასულ ღამეთა წყება,
და რაც არ უნდა კარგად ვომობდე,
ის ღამეებიც დაგავიწყდება...

მხოლოდ ამ დანას,
ლამაზს და ცბიერს,
რომ უწუნებენ ფერსა და იერს,
რომელსაც დანის არცა აქვს ტანი,
არც ნატვრებს ეძებს,
და არცა ეტლებს,
ცნობს მატრაბაზებს და ქუჩის ბერებს
და როცა ერთხელ მოგეფერება,
შორეთში თეთრებს გაყვები პეპლებს...

— ნუ გეშინია...
ეს შენთან დარჩეს...
მივდივარ...
— რატომ?
— ბილიკებს ვარჩევ...
რომელსაც გაჰყენენ მერცხლის გუნდები
ხომ დაბრუნდები?
ჰო, გაზაფხულზე...
მთელი სიცოცხლე ამ გზას ვუნდები,
გზას შავი პეპლის დასასრულისას.

— ეს დანა რაა?
— დანა არ არის...
მე ხათრი დამაქვს ძმების ბებრების,
ნუ გეშინია, დანა არ არის,
ეგ აჩრდილია თეთრი პეპლების...

— მე მომწონს შენი ძველი ხალათი...
ამოქარგული ბზით და თელეებით...

— ოქროს კომპეტი?
— არა, სიცრუით...
რის კომპეტი და ეიფელეტი...

გამოცილება...
კარი და ქარი,
დარდი ნუხანდელ ღამის ვაების...
— ეს შენთან იყოს...
დრო მალე მოვა
თეთრი ქუჩის და მზის ტრამვაების...

პეპელა რაა...
ქრება და იცდის...
პეპლის სამი დღე ჩემი ტოლია...
უნდა ვიჩქარო, დილაა სანამ,
სანამ მტკვრის პირზე დაქრის თოლია...

პეპელაა რაა...
დანაა მხოლოდ,
ქალის ტანი და და ქალის გული აქვს...
თუ ძლიერ დაღლი, გაგყიდის ბოლოს,
არცა იდარდებს, არც გალოთდება,
თუ დაივიწყებ, თავს არ შეგანწყენს,
და არც შენსავით გაბოროტდება...

გამეღვიძება...
სიზმარს გიყვები...
ჩაი ადულდა...
ნუ მეფერები...
აგერ... შეხედე — ნაძვზე ციყვები!
იქით მთანმინდის ეიფელეტი...

დახლიდარი

ისე არ მტკივა ეს გაზაფხული,
როგორც აივნის გაყინულ ჩიტებს,
სპარსულ ფარდაებს, დიბებს და ჩითებს...
და ვერაფერი ვერ დამამშვიდებს,
სანამ აპრილის იქნება შვიდი...

მიყვარს აპრილი...
ღვინოს ვსვამ სანამ,
სანამ იმ ღვინის გაცვდები სამანს,
ჯერ დედის ლანდი მახურავს საბანს,
საბანს იისფერს...
და იასამანს
დავკოცნი ხოლმე ლოთი, ნასვამი...

დახლიდარი ვარ მიეთ-მოეთის...
ძველი დღეების სიყვარულისა...
შლაპაც მქონია ძველი პოეტის:
აგერ — აქამდე არ გაყიდულა...
აქვე, კარებთან ჩამოკიდული...

მოგყიდით დარდებს —
აივნის ვარდებს,
ფოტოს,
სადაც რო ვთამაშობ ლოტოს...
ვყიდი ლოტოში მოგებულ ქალებს
და ჩამოსახსნელს ქალებზე ფარდებს...

ჯერ ნუ ჩამოხსნით...
არ გაყიდულა!
ასე დგას...
გოგო დარდად და ობლად...
არც არაფერი სასიქადულო,
თალხი ობლობის ჩამოსდის ოფლი...

ყველაფერს ვყიდი, რაც მბაბია...
როგორც დახლიდარს შეეფერება,
ვის ვაპატიე, ვინც მაპატია,
ჩემთვის ერთი აქვთ ახლა ფერები...

დილის საარზე ვყიდი ყველაფერს
ღვინით გასისხლულ პერანგის ფასად...
ეგ არაფერი, ჩემო ღამაზო,
თუ დაუცვლელი დამირჩა თასი...

ნაესევიან იმ თასს ჩიტები,
საფერავს ძველი ზღაპრის ფერების,
მოიპარავენ და მიართმევენ
ჩვენი სიონის კრებას ბერების...

დახლიდარი ვარ მაგ საფერავის,
აგე, სად მოჩანს მოგვთა ალები...
საქონელი მაქვს?
ჯადო მკერავის...
უფლის კვართით დაჰკანკალევენ.

საქონელი მაქვს?
აურაცხელი...
გზები და შაჰის ფარშევანგები,
ღვინით და სისხლით გასვრილი ერთ დროს
თეთრი სუფრები და პერანგები.

საქონელი მაქვს?
ნამექცა მცხეთა...
რაც უზინიათ ბერებს ტიტანებს,
ის ნატამალი ნაომარ დღეთა
სულ ჩემს ქალაქში გადმოვიტანე...



ჰოდა, სულ ქია არაყში ვყიდი!
მუქთაა სიფთა...
სხვა ამინდია...
ჯერ სანამ მახსოვს — სად დავწვი ხიდი
სანამ ჩარჩები გადაგვიდია...

P.S.
ლექსსა ვწერ ძველი სახლის პარმალზე,
ძველი აივნის მხიბლავს რიკული,
ისე მომწყურდა დილის საარი,
„ა“-ც კი ვიხმარე ემფატიკური.

დაგვიღოჯაბა

ღამეა...
ცივა, ვალაგებ ჩანთას...
— ისევ მიდიხარ?
— ხომ დავბრუნდები?
იქ სადღაც ლურჯი ღრუბელი ჩანდა
და წეროების თეთრი გუნდები...

რომ დავრჩე, იქნებ უცრად მოვკვდე...
ასე დაღლილი, ასე შიშველი...
და იმ ღრუბლების მივანყდე კბოდეს...
შენ ვერ მიშველი...
შენ ვერ მიშველი...

შენ გამატანე წყალი და პური...
და ყვავილების ძველი საბანი...
და მომიყვი, წყალს რო აპკურებ,
რეებს გიყვება იასამანი...

მე მიყვარს, როცა დაღლილი გტოვებ,
სიმარტოვემდე რა მანძილია...
როგორ გაუძლო წვიმებს და თოვებს...
მაგ თეთრმა ფარდამ და მანტილიამ...

მაგრამ ჯერ არა...
მე თავად გეტყვი,
როცა სულს დაღლის ყინვის ეკლები,
როცა ნავალ და შენს თეთრ ფარდებზე
უკანასკნელად ავირეკლები.

ჰო, ჯერ ადრეა...
არ მიხარია
ბროლის ლარნაკის თეთრი ვარდები...
იქ სხვა მხარეა,
იქ სიბერეა,
იქ სულ სხვაგვარად შეგიყვარდება...

ღამეა...
ცივა, ვალაგებ ჩანთას...
— ისევ მიდიხარ?
— ხომ დავბრუნდები?
იქ სადღაც ლურჯი ღრუბელი ჩანდა
და წეროების თეთრი გუნდები...

ნინო სადლობელაშვილი

ირაკლი ჭინჭარაულს

რა შემზარავია ცარიელი ფურცელი,
რომელზეც შენი ტკივილი უნდა გავაჩინო,
რა შემზარავია სიტყვები,
რომლებშიც ეს ტკივილი უნდა გავახვიო,
მუცლის სისხლი მოვწმინდო და
არტახები გადავუჭირო.
რა შემზარავია სიყვარული,
რომელმაც 24 წლის ბიჭი
ცოცხალ ღმერთად გაქცია და
შეუხსნელი ჩემგან კარი —
მზის სიმაღლე გაგაღებინა!
ნაპერწკალო, რა სიზმრები ნახე ამისთანა,
ან რა წვიმამ დაგისვრიტა სულის ქერი,
ან რა მდინარის წყალს დაეხარბე,
სად იყო უფრო ღამაზი გაზაფხული,
ვიდრე აქ, ჩვენთან,
სადაც, ხეებს ბავშვის თვალები აქვთ და
გამონვდილი მუჭებიდან ვარდისფერი ცეცხლი
ამოსდით?..
ვინ არის უფრო დედაშენი,
ვიდრე ეს მინა —
შენი ფეხისგულეებით დაშიბული
ზეცის ნაჭრელა,
შენი გაზრდილი დედაშენი,
შენი სიცოცხლის პირბასრ საარზე
ჩითილივით შემოვლებული
უფრო დედაშენი სხვა სად ვინ არის?..
ან სად ნახე სხვა სიყვარული,
ან რა ჰქვია იმას, რასაც
მარტოობისას, უმწეობისას, სიცვიისას
სიყვარულს ვეძახით?
ეს რამხელა ფრთები შეგასხა,
ეს რა უცებ დაგიხეთქა
მინით სავსე ვერცხლის ბუშტები?..
ამ სიმღერებს,
გაჭვარტლული გულებიდან ამოშვებულ
ქარებს — სიმღერებს
სხვა რა ხმები ამჯობინე,
სად რას ვინ მღერის?
შენს სიკვდილს უნდა შევეფარო,
როგორც მღვიმეს — მშობიარე,
შენი სიკვდილის კედლებიდან
მონადენი წყალი ვწუნწო,
ამ წყლით გავიგრილო ჩემს მუცელში
ჩამწყვდეული ადამიანი,
ამ წყლით გამოვზარდო
ჩემი დიდი, შემზარავი
სიყვარული...

პრავის და მგლის სიმღერა

თენდება მთვარენაღეჭი ცა და
შენგან ნაჩქლეტი ღამის ფარდაგები
უნდა გავასწორო, ძნელია
შენს თავზე სიმშვიდის ქადაგება.
მხვდება სიყვარული აყირავებული,
ჰაერში ფართხალბენ სინათლის თევზები
და როგორც ლეკვები სამალავს —
ჩრდილები გეძებენ.
ვალაგებ სამყაროს — სახლს დილაგადაცმულს.
მთების კედლები სიჩუმით ზანზარებენ,
ქარს მიაქვს ჩამქრალი ღრუბლები —
მარეკი ხაზარები...
რა დამრჩა? — ის ზღურბლი ავლოკო,
სადაც მე ვინყები და შენ კი მთავრდები,
საზღვარი — მოლობილი
მლაშე და დაფლეთილ ვარდებით.
და ნერწყვი — შენ რომ
ზღურბლზე დამიტოვე,
ღვივდება ჩემს ტანში, ჩემს ტვინში
მარილის ბალახებად,
მაყმუვლებს ჩემი ცხვრობა
საშენო სიმღერებს, უშენო სიმღერებს
გალალებით...

ზურგზე ჩვილივით აკიდებული
მიმყავს საწყალი სიყვარული,
მივაძლძლულებ ბნელ ქუჩებში
გზები საათებს ახველებენ,
იქნებ როგორმე გავაპარო
მათხოვრის ჩველებში ჩაბეჭილი,
ძალივით ღრენით მოვიშორო
საწყალი სიყვარულის მნახველები...
მივრბივარ ჭაობის თავკომბალა,
ზურგზე სიყვარული მიხტუნავებს,
ცოტაც და მინდორი გამოჩნდება
ღრუბლის ნესტიანი სახვევებით,
იქნებ არ მომიკვდეს — გადავასწრო,
ჩვილი ბალახზე მოვიწვინო
და უშფოთველად ვიყიყინო
საწყალი სიყვარულის სახელი...

როდესაც ამ ყაიდის პირველ ნიმუშს შექმნიდა, ოთარ ჩხეიძე ისევე წაანერდა მიძღვნიდა, როგორც დადგენილიყო ეს ფორმულა:

— ერეკლე ტატიშვილის ხსოვნას. ეს იქნებოდა ნოველა „ნაკაკლნარი“ „ჩემი სოფლის ეტიუდების“ ციკლიდან. ასევე მოიქცეოდა მინანქრისას ნოველისა „იმ ერთ საღამოს“:

— ვუძღვნი ვახტანგ ქარსელაძის აღზრდილებს.

და შემდგომშიც ასევე გაგრძელდებოდა, რომ არ ეპოვნა ამ კონტექსტში მეტად მარჯვე სიტყვა: შესანდობარი, რომელიც, მოგეხსენებათ, გარდაცვლილის სულის მოსახსენებელ სადღეგრძელოს გულისხმობს.

ამომკითხველო, გვედრი შენდობასო, — მოფენილიყო ამ სტრიქონით სამარის ლოდები.

ვადღეგრძელებდეთ ცოცხალსა, მკვდრისა ვთქვათ შესანდობარი, — შეგვაგონებდა ვაჟა-ფშაველა.

და აი, ოთარ ჩხეიძე გადამწყვეტდა, რომ გარდაცვლილთა შესანდობარად ნოველები გამოეყენებინა, პერსონაჟებად გარდასახული გამოჩენილი მწერლები თუ მოღვაწენი თავთავიანთი გვარ-სახელითვე რომ შემოდოდნენ თხრობაში და ამკვეთებდნენ დოკუმენტურ ფონს.

აღმოჩნდებოდა, რომ საამისო ნიმუში არაერთი მოგროვდებოდა მისი ნოველების სამტომეულში, თავისთავად გამოიკვეთებოდა ცალკე რკალად და... მამ შეიძლებოდა, ადრე თუ გვიან ცალკე ნიგნადაც გამოცემულიყო, ოთარ ჩხეიძის შემოქმედების კვლევის ცენტრი რომ ითავებდა ნოველათა ამ რკალის შეკონვას ნიგნად შესაფერისი სახელწოდებით: „შესანდობარნი“.

20 ნიმუში მოიყრიდა თავს.

და ერთმანეთს შეენაცვლებოდნენ ნოველურ სიუჟეტურ ქარგაში: გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, გიორგი შატბერაშვილი, გერონტი ქიქოძე, ლეო ქიაჩელი, მიხეილ მრეველიშვილი, აკაკი ბელიაშვილი, შალვა დადიანი, პაოლო იაშვილი, სერგი მაკალათია, თედო ჟორდანიანი, სანდრო შანშიაშვილი, რევაზ ნათაძე, ტიტე სარიშვილი, ლადო ასათიანი, სერგო კლდიაშვილი...

არაერთისა მინანქრშივეა მოხსენიებული ის გვარ-სახელი, რომლის შესანდობრადაც მოქსოვილა ნამდვილ ამბავზე აგებული კომპოზიციური ქარგა.

ზოგჯერ მწერალი მარტოდენ ზოგად მინიშნებას ამჯობინებს: შესანდობარო.

ზოგჯერ არც არაფერია აღნიშნული, მაგრამ ნოველა მაინც ამავე რკალისაა, რაკილა რეალური პიროვნებანი არა პროტოტიპებად, არამედ თვითონვე შემოდიან თხრობაში. ასე რომ, ეს ნიმუშებიც შესანდობარადაა ნაგულისხმევი, ამ რკალის სრულყოფილებიან წევრებად.

და მამ ამ გარეკანში უნდა მოხვედრილიყო ნოველაც „ბორანი“, რომელსაც არაფერი წარწერია, მაგრამ იგულისხმება კი შესანდობრად.

ვისი? გიორგი არადელი-იშხნელის — თავისი დროის თვალსაჩინო მსახიობის.

მაგრამ... მხოლოდ ერთ პატარა აბზაცში რომ არის ჩანაწერი მისი ის თავგანწირული მოქმედება?

სხვა დანარჩენი ბორანის აღწერაა, მწერლის სიყმაწვილისა და სიჭაბუკის გახსენება, ბორანი ხომალდისაგან რომ არც განესხვავებოდა, ყელქცეულიდან ქარელში რომ გადადიოდა მინდორ-მინდორ ფეხით, მტკვარზე ბორანი გადაიყვანდა და... აგერ მატარებლის სადგურით არდადეგებზე სოფლად ჩამოსული კვლავ რომ უნდა დაბრუნებოდა დედაქალაქს.

მაშინდელი განცდებითა და განწყობილებებით აღვსილა ნოველა.

ხომალდთან შედარებაც იმდროინდელია.

და კიდევ ის ხილვანი, მზე რომ სცრიდა და თქორავდა, წყალი კრიალებდა და მოსარკულიყო თქორავი, და ისე დაიზრიალებდა, თითქოსდა მართლაც სარკე არისო, აშხფედებოდა და ამოსხლტებოდა თევზთა ქარავანი, აღმართებოდა პირამიდებად, ზოგან სვეტებად, გაიზნიქებოდა, გაიკლაკნებოდა, გაიზმორებოდა, გაიშვარებოდა და ჩაიპნეოდა ერთი მოსხეპით, ელვასავით თუ უფრო უმაღ

ელვაზედ, უფრო მომეტებულადაც, მზის სხივთა ნაფშვენებში კი გაიკიდებოდა ცისარტყელები ჭალიდან ჭალამდე, ფლატედან ფლატემდე, გადათადებოდა, შეენროდა, შეჯარვარდდებოდა და გაიბზოდა საქანელად, ზედ თევზები რომ ირწეოდნენ და ნანაობდნენ.

რა გააფერმკრთალებდა ამ და ამგვარ უმძაფრეს ხილვებს, გაუწელებლად რომ გამოჰყვებოდა მწერლის ცნობიერებას და აღწერისას ისე გადავიდოდა ფურცელზე, თითქოსდა აპა, აგერაც შეჰყურებს თვალდათვალ და ის სხივები, ის ცისარტყელა, ის თევზები, ის ბორანი კარნახობენ იდუმალ სიტყვებს, ექსპრესიულ სტრიქონებად რომ გადადნობილანო.

ბორანი მაინც სხვაგვარად ვახვიადებულა — თითქოს მას და სწორედაც მას მიეკვლიოს ამერიკისათვის.

აღსარული დაუდგებოდა თვით ბორანსაც.

ეს მაშინ, ხიდს რომ გადასდებდნენ და... მებორნე იძულებული შეიქნებოდა დაეხებოდა ბორანი, და ისიც თანდათან ჩაღვებოდა და ბაქანთან ერთად ჩაიწებოდა წყალში.

და ბაგირიც ჩავარდებოდა. და მეტ სიმძაფრისა და გამომსახველობისათვის ოთარ ჩხეიძე სინონიმს სინონიმზე დაახვავებდა: მოწყდა, დაიხ

როსტომ ჩხეიძე

ნუთი, როგელიც საუკუნედ გიღირს გიორგი არადელი-იშხნელის შესანდობარი



რევაზ მარგანი, ოთარ ჩხეიძე, ვახტანგ ჭელიძე, ტარიელ ჭანტურია

ლაკნა, დაიღვედა, ჩაქანდა, ჩაილამა, ჩაიფლო, ჩაიმარხაო.

მიგახვედრებს, რომ ბაგირს განსაკუთრებული დანიშნულება დაჰკისრებია ნოველაში.

და აპა, ის პატარა აბზაციც, დიდი დრამატიზმით გაჟღერებული:

— სწორედ ის ბაგირი, გიორგი იშხნელი რო ჩამოეკიდა ხელებითა, ბორანი რო ჩახერგილიყო, ბაგირს იმიტომაც რო ჩამოეკიდა, ეგრე ხელდახელ რო გასულიყო, იმ ცივ ზამთარშია, უმკაცრეს ზამთარში, გორში რო უნდა ჩასულიყო უსათუოდა, სპექტაკლი რო ელოდებოდა, მესამე ზარი რო ელოდებოდა, ოთარბეგი რო უნდა ეთამაშა, სწორედ ის ბაგირი...

ოთარბეგს ახსენებს და აღარც სჭირდება დამატება: ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის უიესა „ლალატიო“, მკითხველი ისედაც უნდა მიხვდეს.

სამი წერტილი კი გულისხმობდა, რომ ბაგირზე გადასვლით არ მოთავებოდა ის ამბავი.

არც მოთავებულა. ჩაასწრებდა სპექტაკლის დაწყებას მსახიობი და ჩვეული ოსტატობით განსახიერებდა ტრაგიკულ პიროვნებას, მინის ყივილს რომ უნდა გაეთანგა და მოენდომებინა ცოდვების ჩამორეცხვა დაკარგული სამშობლოსათვის თავის გადადებოდა... მაყურებელს არ მოწყინდებოდა ტაქსიმემა, არაერთხელ რომ გამოიძახებდ

ნენ სცენაზე გიორგი იშხნელს, მაგრამ ბაგირზე ის გასვლა უკვალოდ არ ჩაუვლიდა, გაცივდებოდა და თუმც ერთბაშად არაფერს დაიტყობდა, სულ უფრო გაუმიზნებდებოდა, გაუმიზნებდებოდა და... ველარც შემოაბრუნებდნენ სააქაოს.

მაგრამ — ხომ მაინც გადავიდა მეორე ნაპირზე.

ხომ მაინც არ ჩაშალა სპექტაკლი, განბილებული არ გაუშვა მისი გულისათვის თავშეყრილი მაყურებელი.

ვითომ ერთი პატარა აბზაცია?!

რამხელა განცდებსა და ვენებებს იტევს ორიოდ სტრიქონი.

მითუმეტეს, ნოველის ფინალი ღრმა სიმბოლიკით განმსჭვალულა და ის თევზი, მზეს რომ უნდა შეეთამაშოს და ავარდეს გალაღებული, მერე თუნდაც დაეცეს და ისე უღმერთოდ დაეცეს, შუაზედაც გადაიფრინოს, მაგრამ ჰპოვოს სიკვდილის შემდგომი სიცოცხლე ანუ ახალი ასპარეზი, დიახ, ის თევზი თითქოს გიორგი იშხნელის სულია, ან რაღა თითქოს, იმ სულის გამოხატულებაა, იმ წარუვალობის, ხიდი და ჯვბირები ვერაფრისდიდებით რომ ვერ ჩაკლავენ.

დაე თუნდ შეიკრას რიყე და ჭალებიც ჩაიქცეს, დაე დაირღვეს რაღაც უხილავი და კაცთათვის გაუგებარი, რაღაც აირიოს თუ მოიშალოს და აღარც თევზთა ქარა-

მაშინაც მოყვებოდა, ოღონდ მხოლოდ კი არ მოყვებოდა, სადღეგრძელოს დალევედა მოვალეობის შეგნებისა და თავგანწირვისა გიორგი იშხნელის თამაშობით, ეს იმ დღეს, „ცისკრელებს“ რომ მიწვევდა ლიტერატურულ საღამოზე გორის ინსტიტუტში, და ყველა რომ შეჩვიდებოდა და ალტაცდებოდა ამ ამბის მოსმენით, თამაზ ნივნივაძე არ დაახანებდა და სთხოვდა:

— იქნებ ნოველად დანეროთ და მომიტანოთ, ჟურნალში ახლა მე მამარია პროზის განყოფილება და უკეთესს რას დავებქვად.

— სხვათა შორის, ამ დღეებში ვაპირებდი მოსვლას. ერთი ახალი ნოველა მაქვს, „მხატვარი“, და ის მიწვდება, მომეტანა.

— ეგებ... ეგებ ესეც დაგემატებინათ და ორი ნოველა ყოფილიყო!.

— სულ მანუხებს კია ეს სიუჟეტი.

— ჰოდა, ბარემლა... — კეთილი, შევეცდები.

სუფრის დასასრულს თამაზის დღეგრძელობისას კი თამაზ ნივნივაძე მისთვის არცთუ ჩვეულ ენაწყლიანობას რომ გამოიჩინა, ზოგად ქებას არ იკმარებდა და ერთი-ორ ისეთ დაკვირვებას გამოთქვამდა ოთარ ჩხეიძის მწერლურ თავისებურებაზე, ტარიელ ჭანტურია ვერ მოითმენდა:

— ეს რა კარგ რამეებს ლაპარაკობ, თამაზ, იქნებ დაგენერა კიდევ... დასაბეჭდად სხვაგან წასვლა არ დაგჭირდება.

გაცივებდა ოთარ ჩხეიძე, ვითომდა შეშინებული გასასვსავებდა ხელებს:

— აჰ, არა, არა, არ მინდა თამაზის წერილი, სხვებმა რა მოიგეს რო?!

— მე მარტო პამფლეტებს კი არა ვწერ, საქებარი წერილებიც შემიძლია, — იუმორი არავისგან ეხსენებდა, მაგრამ მაინც მოვალედ მიიჩნევდა თავს, დაეზუსტებინა თამაზ ნივნივაძეს.

— აბა, თუ შეგიძლია და... — შეგაუღიანებდა ტარიელ ჭანტურია.

ოთარ ჩხეიძე არაერთხელ დაიჩივლებდა: მიმრჩა სიუჟეტი, ზოგი გადამქართულდება ხოლმე, ზოგსაც უკვე ველარ მოვიკიდებ ხელს, მაშინ უნდა დამწერა, გადაიდო და... ის ცეცხლიც განელდა, უიმისოდ კი აღარა ღირს დამუშავებაო.

შესაძლოა გიორგი არადელი-იშხნელის ცხოვრების ეს ეპიზოდიც უნებურად მიჩენილ სიუჟეტთა შორის აღმოჩენილიყო, ან ცეცხლგანელებულთა, ეს საბაბი რომ არა, ეს შეძახილი თუ შეგულიანება, თბილისში დაბრუნებული მეორე დღესვე რომ დაწერდა „ბორანს“, ერთი ჩაჯდომითვე, და კიდევ წარუდგენდა „ცისკრის“ რედაქციას „მხატვართან“ ერთად, თამაზ ნივნივაძე რომ გადაიბადრებოდა და იქვე შეუდგებოდა კითხვას, ნუთსაც ველარ გაუძლებდა გული.

მალევე გამოქვეყნდებოდა ორივე ნოველა ჟურნალში („ცისკარი“, 1980, 1) და „ჩემი სოფლის ეტიუდების“ 1980 წლის გამოცემული ნაგის ბოლოშიც მოესწრებოდა მათი დართვა, მოგვიანებით ამ გამოცემას ოთარ ჩხეიძის ნოველების პირველი ტომი რომ დაერქმეოდა პირობითად, რადგანაც „ჩემი სოფლის ეტიუდების“ კიდევ ორი ნაგიც ამოუდგებოდა გვერდით.

მე მარტო პამფლეტებს კი არა ვწერო... ვისთვის როგორ, მაგრამ ოთარ ჩხეიძეს მოსწონდა მისი კრიტიკული წერილები, თანაც სულ უფრო და უფრო რომ გახშირდებოდა, და იტყოდა ხოლმე: კარგია, რომ ამღელვარებს ჩვენს სამწერლო ცხოვრებას, ლიტერატურულ პროცესს ასეთი ამღელვარება ძალიან სჭირდებაო.

აპირებდა, მოწონებით გამოხმაურებოდა მის გარჯას, აბა, მარტო ვაკრიტიკებულ მწერალთა საპასუხო წერილები ხომ არ უნდა დაბეჭდილიყო.

ერთხელ კი, თამაზ ნივნივაძის კიდევ ერთი პოლემიკური სტატია რომ გამოქვეყნდებოდა რევაზ ჯაფარიძის ვებებ რომანის — „მძიმე ჯვარი“ — თაობაზე, გალაკტიონური სათაურით: „ჯვარს ეცვი, თუ გინდა, საშველი არ არის...“ იქ ერთი ადგილი მაინც ძალიან გააცინებდა ოთარ ჩხეიძეს, და ეს იმიტომ: განზრახული წერილის დასაწყისს რომ იპოვინდა.

ამ პასაჟს კრიტიკოსი მემუარულ ყაიდზე გააწყობდა:

— ვიდრე პატივცემული მწერალი ჩემს წერილს „მძიმე ჯვარი“ და ჯვარცმული მკითხველი“ წაიკითხავდა, ერთი-ორი დღის წინათ შევხვდი, ერთმანეთი პა-

ტივისცემით მოვიკითხეთ და ისე დავეშორეთ. ახლა თქმა მიჭირს, თორემ შემაქო კიდევ. განსაკუთრებით ჩემს ლიტერატურულ გამბედაობას გაუსვა ხაზი.

ეს შეპირებოდა: ამ კუთხით მუშაობას გავაგრძელებო.

და „მუშაობის გაგრძელების“ პირველი მსხვერპლი... რევან ჯაფარიძე აღმოჩნდება.

ოთარ ჩხეიძე აპირებდა, ეს ადგილი ამოენერა თამაზ წივნიკაძის სტატიიდან და დაერთო: ვინ იცის, ჩემზეც უდევს გამზადებული მძაფრი კრიტიკული წერილი, მაგრამ მაინც სურვილი მაქვს, შევაქო, განსაკუთრებით კი მისი ლიტერატურული გამბედაობა აღვნიშნო.

ხანი გავიდოდა და შევახსენებდი: რას აპირებ-მეთქი.

— ველარ მოვაბი თავი, — დაიჩვილებდა, — ამ რომანმა ძალიან გადამიყოლა, მაგრამ როგორ ვერ მოვიცილი ამისთვისაც... შენ მაინც ნუ წამოგცდება თამაზთან, ვითუ ვერ დავწერო და უხერხული იქნება...

— როგორ უნდა წამომცდეს, პირადად არ ვიცნობ და...

ხოლო იქ, ბორანთან თავშეყრილი გლეხები შეწუხებულნი რომ ჩოჩქოლობდნენ: ეჰ, რა საქმეები გვრჩება გაუქმებულნი, რა აუცილებელი იყო ახლა გორში ჩასვლა, ზოგი თბილისშიც რომ ეპირებოდა, უეცრად გიორგი იშხნელი გამოეყოფოდა დუნდგოს, ჩამოეკიდებოდა ბაგირს და გაჰყვებოდა მეორე ნაპირისაკენ.

თან წაიყოლებდა გაოგნებულ და შეშფოთებულ მზერასა და შეძახილებს.

ბაგირი ბოლომდე არ გრძელდებოდა, თავთხელში ფეხით უნდა გაგეტოპა, ვიდრე ბაქანზე ახვიდოდა. და როგორია გაყინულ წყალში გატოპვა!.. ჯერ მანამდეც ძალიან რომ რისკავდი — ხელი არ დაგცდებოდა, ან მალე დაღლილიყავი ბაგირის შუაში გარჩენილი და სუნთქვა აღარ გყოფნოდა.

რომელი ავთანდილი ის იყო. თუმცა... რატომაც არ იყო!..

ისე რომც არ ყოფილიყო, არაფერს დაგიდევდა გიორგი იშხნელი.

სპექტაკლი ეძახდა.

ოთარბეგი კიდევ ერთხელ გაცოცხლებას ნატრობდა.

მაყურებელი გულისფანცქალით მოელოდა იმ მსახიობის გამოჩენას, რომლისაც სჯეროდა, ძალიან სჯეროდა, და გიორგი იშხნელს სიკვდილი ერჩინვა მათი მოლოდინის გამტყუნებას.

და ყველაფრად უღირდა ის ნუთები, როდესაც აღფრთოვანებისაგან აღტაცებული მაყურებელი ნელ-ნელა დაიშლებოდა და აღარავის უკვირდა, რატომ გადაქცეულიყო „ღალატის“ პირველი დადგმა თავისებურ ეროვნულ დღესასწაულად და რაღაც სასიკეთოს მიმანიშნებლად ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში.

ჯერ საერთოდაც რამხელა ხელოვნებით ასრულებდა ოთარბეგის როლს და ახლა საკუთარ თავსაც გადააჭარბებდა, დარბაზი ტამისციემით ლამის რომ დაინგრეოდა და მაყურებელი სცენაზეც აიჭრებოდა, თითქოსდა შემობრუნებულია დრო და პრემიერა განმეორებულია.

დავით ერისთავის „სამშობლო“ აღმოჩნდებოდა დებიუტი გიორგი იშხნელისათვის სამსახიობო კარიერაში, „ღალატი“ ნაადრევად, ძალზე ნაადრევად შეჰკრავდა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქარვას, მაგრამ იმ ნუთებს არ გაცვლიდა არაფერში, თუნდ საუკუნო სიცოცხლეში, და თვალწინ ჩაუქროლებდა თავისი როლები, რაც მოესწრო და ჭეშმარიტი ოსტატობითაც მოესწრო, გელა იქნებოდა (აკაკი წერეთლის „პატარა კახი“) თუ არსენა (ალექსანდრე ყაზბეგის „არსენა“), გლახა ჭრიაშვილი (ილია ჭავჭავაძის „გლახა ჭრიაშვილი“) თუ მოურავი (ავესენტი ცაგარელის „რაც გინახავს, ველარ ნახავს“), დე სანტოსი (კარლ გუცოვის „ურიელ აკოსტა“) თუ ტირესია ანდა კრეონტი (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ და „ანტიგონე“), თუ... თუ... თუ...

მრავალფეროვანი გახლდათ გიორგი იშხნელის შემოქმედებითი პალიტრა, ცოტა არ მოესწრო 38 წლამდე, თუმცა ჯერაც წინ ედო ძალთა სრული სიმწიფის ხანა და ახალ-ახალი წარმატებანი.

თუმცა... ეგებ ასეც ერჩინა — საქართველოს დამოუკიდებლობის ხანა

ჰგონებოდა უსასრულო და სახელმწიფოებრიობა ერთხელ და სამუდამოდ ამოგებული, ისე გაცლოდა ნუთისოფელს. 1920 წლის შემოდგომა ზიმზიმებდა.

უკანასკნელი შემოდგომა გიორგი იშხნელისათვის.

მერე ჩალპებოდა ბორანი ბაქანანად. მონყვეტილი მერე ბაგირიც ჩაილაშქროდა და ჩაიმარხებოდა.

და გაქრებოდა ძველი შემოგარენი, აღარცსად რიყე, აღარცსად ჭალები.

მაგრამ ის ხატი შემორჩებოდა ბაგირზე გაკიდებული კაცისა, სპექტაკლისაკენ რომ მიიქაროდა, თავისი ვალის მოსახდელად თეატრალური ხელოვნებისა და ქვეყნის წინაშე.

და მიაცილებდა შემფოთებული და გაოგნებული მზერა.

და ეგებებოდა აღტაცებული თვალები, და არანაკლებად გაოგნებული: ეს რა სასწაულის შემსწრე გაგვხდა, უმღელვარესი მოვლენების შუაგულში რომ ამოგვყოფინა თავი და დაგვაფინყა, მაყურებლები რომ ვიყავითო.

ნოველად გარდასახულს უკვე სულ რაღა გააქრობს იმ აღმტაც სურათს მდინარის თავზე გადავლებული ხელოვანისა. თვეზების ქარავანი აღარ ტრიალებს ახლომახლო?

ველარც პირამიდებდა აღმართულან და ველარც სვეტებდა?

ერთი თვეზი ხომ მაინც აუცილებლად უნდა გამორჩედეს ხოლმე, საიდანაც გამომსხლტარი, მზისკენ რომ უნდა ავარდეს გალაღებული და მერე თუნდ უღმერთოდაც დაეცეს და შუაზეც გადაიფხინოს.

იგი ამისთვის აღარ დალონდესო, — სიტყვებს შემოგვაშველებს ნიკოლოზ ბარათაშვილი, თუ ჩვენი არ გვეყოფა. ნუთისოფელი მაინც მზესთან ასწრავდებოდა და შეთამაშებისა ყოფილა. ის გრძელი სოფელიც — მზით რომ აღავსებს ჩვენს იქაურ არსებობასაც.

დავეძებ „ბორანს“ შესანდობართა ციკლში და... ვერსად მიპოვნია.

არადა, თითქოს გამზადებული მიქონდა.

კორექტურაც გადაკითხული.

აგერ, სარჩევიც, წინასწარვე ჩამონერილი სათაურები ნოველებისა.

აქ არის „ბორანი“.

ნიგნში... აღარ.

არადა, გარდა თავისთავადი მხატვრული ღირებულებისა, კიდევ უფრო გაძლიერდებოდა შესანდობართა რკალის „თეატრალური ხაზი“, თამარ ჭავჭავაძისა და სანდრო ახმეტელისადმი მიძღვნილ ნოველებს („კვანკვლა“ და „ნუკრი“) „წერეთლის მწვადიც“ რომ ემატება და გორის თეატრის დასის რეჟისორ-მსახიობებიც შემოვლადებინან: შალვა ხერხეულიძე, პავლე ფრანგიშვილი და გედეონ ნავროზაშვილი, და „კუმურდოში“ კი სერგო ზაქარაიძეც გაიღვავებს... და რა მოხდენილად ჩაეწვნიოდა ამ სილუეტებს გიორგი არაღელი-იშხნელის სახებაც.

და... ბორანიც.

და... ბაგირიც.

მაინც სად მოხდა ის ისტორიული ამბავი, როგორ შეიძლება დავაზუსტოთ? როგორ და?

ავყვით მტკვარს ქარელის გზის შემოგარენში და... ნუთუ არ გაიღვავებს თვეზი, მზისაკენ ასწრავებული, ხილვად თუ ხელშესახებ გახსენებდა?

რა მოხდენილად ჩაეწვნიოდა...
თუმცა დაკარგვით სად დაიკარგება გიორგი იშხნელის კოლორიტული, თავისებურად სიმბოლური სახება — შესანდობართა ეს რკალიც გამოიცემა ხელახლა, „ჩემი სოფლის ეტიუდებიც“ — არაერთხელ, და „ბორანს“ მაშინ რაღა გამოტოვებს... შემთხვევითობა არა მეორდება, მითუმეტეს, უფრო გაფრთხილებით, ამ ერთხელ კი... ეჰ, რაც იყო, იყო...

კრებულის შედგენა მაინც რა უმადური საქმეა!..

რა არის ეს მარადიული სოფელი, ისიც მზით რომ აღვსილა და მზით გვანუგემებს იქაური არსებობისას.

დაბიუტი

- ექიმო, ისა მჭირს?
- ვნუხ...
- ვკვდები?
- ოპერაც...
- რამდენი დამრჩა?
- ხუთი, ექვსი...
- წელი?
- თვ...

კაბინეტი უხმოვ დატოვა. ჩახუთულ დერეფანში ნაბარბაცდა და კიბეზე დაემშვა. ქუჩა სწრაფად გადაკვეთა და იქვე, პატარა ბაღში შევიდა.

აპრილის მზიანი დღე იყო. ბალახი მწვანედ ბიბინებდა. აყვავებული ასკილის ძირში, სკამზე ჩამოჯდა. სახე მზეს მიუფიცხა და თვალები დახუჭა. მზის სხივებმა გაათბო და სულში ღრმად ჩაკირული შეუცნობელი იმედი ოდნავ შეუტოკა.

დიდხანს იჯდა მზეზე განაბული და გამწარებული. ფიქრები ჯერ პატარა ბიჭმა გაანწყვტინა, გაცვეთილი პალტოს ჩამოხეულ ჯიბეში რომ ჩაეყო ერთი ხელი, მეორეთი კი პურის ფულს ითხოვდა; მერე — ახალგაზრდა კაცმა, დაბეჭდილ ფურცლებს რომ არიგებდა და თან მეგობრისთვის დახმარებას ითხოვდა.

მზიარული ბავშვების რიგმაც ჩაუარა თვალწინ, წყვილ-წყვილად რომ ჩაეკიდათ ერთმანეთისთვის ხელები და ჟვილ-ხი-

ნესტან ეგეტაშვილი
ყვითელი ფოთლები



ვით მასწავლებლების თანხლებით სადღაც მიიქაროდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ კი მოხუცებული ქალი მიუახლოვდა და მშვიდად მიმართა:

— ახალგაზრდავ, დაგვეხმარე, თუ შეიძლება.

— ხურდა არ მაქვს, — უხეშად ჩაიბურღუნა.

— ფული არ გვჭირდება, ისე გვინდა დახმარება.

დააკვირდა. მის წინ ჭაღარა, კოპნიად გამოწყობილი მოხუცი იდგა და ცისფერი თვალებით უღიმოდა:

— ნუ ნუხარ, მარტო თქვენ კი არა, ყველას მათხოვარი ვგონივარ, დახმარება გვინდა მე და, აი, იმ ბაბუს.

ხელი მარცხნივ გაიშვირა, სკამზე მოხუცი კაცი იჯდა, ხელში ყავარჯენი ეჭირა და მათკენ იყურებოდა.

— სასიეროდ გამოვდივართ ხოლმე, თან პროდუქტებსაც ვყიდულობთ, მერე კი გვიჭირს სახლში დაბრუნება და ასე, ხან ვის ვანუხებთ, ხან — ვის. აქვე ვცხოვრობთ. შეგიძლია სახლამდე მიგვაცილო?

— კი, კი... როგორ არა, — დაბნეული და ცოტა დარცხვნილი წამოდგა, ბებოს ხელჩანთები გამოართვა და ბაბუსაკენ გაემშურა.

— ოხ, ოხ, — უხერხული ღიმილით გაიქნა თავი თერთნვერა მოხუცმა, — სულ ვეუბნები, ნუ ანუხებ ხალხს, ნუ აწვალვებ, სირცხვილია-მეთქი, მაგრამ თავისას მაინც არ იშლის, — ნელ-ნელა სკამიდან წამოდგომა დაიწყო.

— აქვე ვცხოვრობთ. როგორც კი გზას გადავალთ, პირველი კორპუსია. დილით სასიეროდ რომ გამოვიდვართ, ცოტა მანქანა დადის და გადმოსვლას როგორც ვასწრებთ. მაგრამ მერე საშინელებაა, გაიქროლებენ-გამოიქროლებენ მანქანები, გზას არავინ გვითმობს, ნახევარ საათსაც კი ვმდგარვართ გადასასვლელთან. რას ვიზამთ, ყველას ეჩქარება, ყველა

სადღაც გარბის... — დაიჩვილა ბებომ და ხელკავი გამოსდო, თან სახეზე შეხედა, ხომ არ გამიბრაზდებო, მერე კი თავისთვის ჩაიბურღუნა, — ცუდი ყოფილა სიბერე, ძალიან ცუდი.

„ნეტავ, რა აქვს საწუნწუნო? ბედნიერი ქალია, ცოლ-ქმარი ერთმანეთს შეებრებიან. არ იცის, რომ ზოგისთვის სიბერეც სანატრელია?“ — გაიფიქრა თავისი ნუხილით გულგალულმა...

— ნუ წუნწუნებ, რამდენჯერ უნდა გითხრა, — მკაცრი ხმით მიუტრიალდა ბაბუა მეუღლეს, თითქოს ახალგაზრდა მამაკაცის ფიქრები წაიკითხაო, — ღმერთს არ აწყენინო, ჩვენი ცხოვრების გზა განვლიეთ, ერთმანეთს შევაბერდით, ბევრი ცუდი ვნახეთ, უფრო ბევრი — კარგი. ახლა რაღა დავგვრჩენია, დავებრდით და სიკვდილს ველოდებით. აბა, ამ ქვეყანას ხომ არ გამოვეკერებთ?!

— კარგი, კარგი, ნუ მიბრაზდები, — განწყენდა ბებო და ახალგაზრდას მკვირცხლად გადაუჩურჩულა, — ცუდ მდგომარეობაში აქვს ნერვები, ყურადღებას ნუ მიაქცევ, — მერე კი ხმამაღლა მიუგო ბაბუს, — ყველას რომ სადღაც ეჩქარება, ამაზე ხომ მეთანხმები, გიჟებივით არ დაქრიან ეს მანქანები?

ბაბუამ ხელი ჩაიქნია და დინჯად განაგრძო სიარული.



სადარბაზოს რომ მიუახლოვდნენ, ბაბუა ხელზე დაეყრდნო და ასე ნელ-ნელა აიარეს კიბის საფეხურები.

— მორჩა, ხვალდან არსად აღარ მოგვყვები, — ქმენა-ქმენით ადგამდა მოხუცი ნაბიჯებს და თან ბებოს უწყებოდა, — ხომ ხედავ, აღარ შემოიძლია, ჩემი ხნის კაცები უნდა იხსდნენ სახლში და ფანჯრიდან ათვალიერებდნენ სამყაროს.

— უშენოდ აღარც მე გავადგამ ფეხს სახლიდან, ვისხდეთ ასე და რას შევჭამთ, იმასაც დავინახავთ, ნამლები ხომ მაინც დაგვჭირდება?

— ეჰ, — უიმედოდ იქნევა ცოლის სიტყვებზე ხელს ბაბუა და ახალგაზრდას მკლავზე ეყრდნობოდა...

— ესეც ასე. ბოროტი ჯადოქარი ვერაფერს დაგვაკლებს, სანამ ასეთი კეთილი ვაჟკაცები იქნებიან. მაღლობა, შვილო, — დამჭკნარ ხელს იდაყვზე უთათუნებდა ბაბუა ახალგაზრდას.

— ახლა მესამეა და მორჩება, გაგათავისუფლებთ ჩვენგან, — იცინოდა ბებო.

— გვაპატიე, ვინ იცის, შენი საქმე გქონდა ან სადმე გქჩქარებოდა? — ნუხდა ბაბუა...

მესამე დაბრკობებს მოხუციები ლიფტის კარს ეძახდნენ, რომელიც ისე სწრაფად იკეტებოდა, შიგნით შესვლას ვერ ასწრებდნენ. ახალგაზრდამ ლიფტის კარი ორივე ხელით შეაჩერა და მოხუციები ნელ-ნელა შევიდნენ — ჯერ ბებო, მერე ბაბუა.

სანამ კარი დაიკეტებოდა, ბაბუამ ხელჩანთები გამოართვა უცნობს, ხელი ჩამოართვა და ლიფტით უთხრა

— ყველაფერი კარგად იქნება, შვილო, ნუ დარდობ!

თავის გასაჭირთან მარტოდ დარჩენილმა ახალგაზრდამ მთელი დღე ხეტიალში გაატარა. გოგონებულმა და დაბნეულმა ვერც კი შეამჩნია, როგორ დაღამდა. ეძინებოდა სახლში მისვლა. მარტოობაში მყოფს ხომ არცერთ იმ კითხვაზე არ მოუწევდა პასუხის გაცემა, რომელიც თავადაც არ იცოდა. არარაობად გრძობდა თავს, ჭიანჭველაზე უფრო უსუსურ არსებად, ვისაც საკუთარი თავის დახმარებაც კი არ შეეძლო. „რა საცოდავები ვართ ადამიანები, ისიც კი არ შეგვიძლია, გავიგოთ, თუ რა ხდება ჩვენს საკუთარ სხეულში, ჩვენს მუცელში, ღვიძლში, გულში ან თავში...“

ამ წამებაში გაატარა ერთი კვირა. მერე ისევ იმ კაბინეტში აღმოჩნდა. თვითონ სავარძელში იჯდა, თეთრხალათიანი ექიმები კი თავს დასტრიალებდნენ:

— წარმოუდგენელია, ეს როგორ მოხდა...

— უამრავ ბოდიშს გიხდით...

— ვიცით, რასაც გადაიტანდით ამ ერთი კვირის მანძილზე...

— გვესმის, რომ ჩვენი ბოდიში ზღვაში წვეთია, მაგრამ...

— რალაც გაურკვეველი მიზეზით...

— თქვენი ანალიზის პასუხი ექთანს სხვა პაციენტის პასუხში არევიან...

— დაზღვევის მიზნით...

— განმეორებითი გამოკვლევა...

— სავარაუდოდ, თქვენ ჯანმრთელი ხართ...

ისევ რეტდასხმულივით გამოვიდა კაბინეტიდან. ფეხარეულმა გაიარა უსასრულო, უფანჯრო დერეფანი და კიბეზე დაემკვა. ქუჩა ბრმასავით გადაკვეთა. ბაბუა რომ შევიდა, მოჩუხჩუხე შადრევანისკენ გაემართა. დაიხარა, ჯერ ხარბად დაეწაფა ნყალს, შემდეგ სახე მიუშვირა. ცდილობდა, გაეგო, ხუთი წუთის წინ მომხდარი ამბავი სიზმარი იყო თუ ცხადი? ან იქნებ მანამდე რაც ხდებოდა, ის იყო სიზმარი?

მერე, რატომღაც, მოხუციები გაახსენდა. კარგად ახსოვდა, სანამ ლიფტის კარი დაიკეტებოდა, ბაბუამ ხელი ჩამოართვა და უთხრა: ყველაფერი კარგად იქნება, შვილო, ნუ დარდობო. რატომ? რატომ მაინცდამაინც ეს სიტყვები?

ერთი წუთით ისიც გაიფიქრა, იქნებ, ბაბუა კეთილი ჯადოქარი იყო — ან ბებია კეთილი ფერია? ამ ფიქრებზე მალევე გაეცინა, მაგრამ კარგად ახსოვდა, რა ხშირად იმეორებდნენ მოხუციები სიტყვა — „ჯადოქარს“.

თავში ყველაფერი აერ-დაერია, მაგრამ უხაროდა — ჯანმრთელი იყო, არ კვდებოდა!

„რა ბედნიერი განცდაა“, ფიქრობდა, „თითქოსდა თავიდან დავიბადე, თითქოსდა, ვილაცამ სიცოცხლე ხელახლა მაჩუ-

ნესტან ეგეტაშვილი

ყვითელი ფოთლები

ქა... თითქოსდა ღრმა ძილიდან გამომღვიძიდა და მხოლოდ ახალა მივხვდი, რომ სიცოცხლე დიდი, ძალიან დიდი საჩუქარია... მე კი ძილ-ბურანში მივლია ამდენი ხანი, ისე, რომ არც კი მცოდნია ყოველი დღე, ყოველი წამი. ყოველი ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა ღვთის საჩუქარია...“

წვიმდა, ქარი ბაღში ახლადგამონასკვეულ ფოთლებს მატყლივით პენტავდა. მშვენიერი ეჩვენებოდა ქუჩები, მაღაზიის ვიტრინები, კაფეები, სადაც წვიმისგან დამფრთხალ ხალხს შეეფარებინა თავი. ბედნიერი იყო — არც ქარი აშინებდა, არც წვიმა. აღარც კი ახსოვდა, ყოფილა კი ოდესმე ასეთი ბედნიერი? თანდათან ბედნიერდებოდა. „იქნებ მაშინ, მშობლების გარეშე პირველად რომ წავედი მეგობრებთან ერთად მატარებლით ზღვაზე... ან, იქნებ, იმ წამს, ლილი რომ ატირდა, ჩამეხუტა და მითხრა, სულ შენთან მივლიაო ყოფნა. მას შემდეგ ერთმანეთს აღარც დავშორებულვართ. მახსოვს, ბინდებოდა, ნანვიმარზე ქარს გზა აკაცის ყვავილებით მოფინა, მისი სურნელი იდგა ჰაერშიც... ან იქნებ, მაშინ, ტასიკო რომ გაჩნდა ამქვეყნად... სამშობლიაროში, როცა პირველად ვნახე მისი განითვლებულ-გასიებული ცხვირპირი — გამიკვირდა, ნუთუ ეს ჩემი შვილია, იქნებ შეეშალათ-მეთქი. დედა მაშინვე მიმიხვდა ნაფიქრალს. მითხრა, შენი გოგოა, სახვევებზე ვცნობო და გამიღიმა...“

ამ ფიქრებში გართულმა აიარა ხის კიბეები და სახლში შევიდა. პანანინა გოგონას თავისი თოჯინები ჩაემწკრივებინა ტახტზე და უმღეროდა. მამა რომ დაინახა, ბუნჩულა თითი ტუჩებზე მიიღო — ჩუუუუ, ბავშვები არ გააღვიძო, ჩაიჩურჩულა და ისევ გააგრძელა სიმღერა...

რამდენიმე თვე გავიდა. ერთ დღეს კი, როცა ახალგაზრდა მამაკაცი თავის გოგონასთან ერთად ბაღში სეირნობდა, მოულოდნელად ბებია დაინახა. კოპონად ჩაცმული ხის სკამზე ჩამოშვდარიყო, ჭაღარა თმა კოხტად დაეფარცხნა, ცალ ხელში ბაბუას ყავარჯენი ეჭირა და ჩაფიქრებული დასცქეროდა ყვითელი ფოთლებით მოფენილ ბილიკს.

მოხუცმა ვერ იცნო, მაგრამ მაინც თბილად შეხვდა:

— როგორ ხართ, ახალგაზრდავ? — გაუღიმა და ბავშვს მოეფერა.

— გათვალისწინებდით, მაგრამ ეტყობა, აღარ დადიხართ ხშირად სასეირნოდ.

— ჰო, რაც ბაბუამ დამტოვა, გარეთ თითქმის აღარ გამოვდივარ. ახლა ფანჯრიდან ვუშვებ სამყაროს. ძნელია უიმი-სობა, მაგრამ ფიქრებით სულ მასთან ვარ, ვესაუბრები, ვეკითხები, ვეხუმრები, თითქოს ისევ ერთად ვართ, ერთად ვწუ-

ნუნებთ, ერთად ვსეირნობთ, ერთად ვსაუზნობთ, ვსადილობთ და ერთმანეთს ნამლებს დაღვევას ვახსენებთ.

— ეს როდის მოხდა?

— გაზაფხულზე. ამ აზრთან შეგუებაც ვერ მოვასწარი, ისე უცბად გამისხლტა ხელიდან და გამეპარა. აი, იმ კლინიკაში ვიყავით, — ხელი გზის გადაღმა გაიშვირა, — ჯერ გვითხრეს, ყველაფერი კარგად იქნებაო, მერე და მერე გაირკვა, რომ მისი ანალიზის პასუხები ახალგაზრდა მამაკაცის პასუხებში არევიანო. საშიში არაფერი იყო კი არა და, ერთ თვეში დალია სული...

ამის გაგონებაზე მთელ ტანზე ჭრუანტელმა დაუარა — „მე? ნუთუ მე ვიყავი? ჩემი პასუხები? წარმოუდგ...“, ფიქრები მის თავში სწრაფად ჩნდებოდა და სწაფადვე ქრებოდა.

— რას იზამ, ასეთია ცხოვრება, სიკვდილიც ხომ ჩვენი გადასატანია. თვითონ ძალიან მშვიდად შეხვდა განუკურნებელს. როცა გაიგო, პასუხები აერიანო, ერთი წუთითაც არ უწერვილია. სულ იმას იძახდა, კარგია, რომ მე ვარ ავად, ცოდო არ იყო ახალგაზრდა ბიჭი, ვინ იცის, იქნებ, შვილები ჰყავდა გასაზრდელიო. ამ ამბით ძალიან კმაყოფილიც კი იყო. ხანდახან იმასაც ფიქრობდა, რომ მან გადაარჩინა ის ახალგაზრდა სიკვდილს, ეს რალაცნაირად უმსუბუქებდა ტკივილს, — ბებომ ჩაიციანა, — უცნაური კაცი იყო, ბედნიერების განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა. ყველაზე ცუდ მდგომარეობასაც კი რალაცნაირი კარგი მხარე მოუძებნა და ბედნიერი წავიდა იმქვეყნად.

„და მე?“ — ფიქრობდა ახალგაზრდა მამაკაცი. გაშეშებული იჯდა სკამზე. თვალები აწყლიანებოდა, ცრემლები გულში მორევივით უტრიალებდა, ახრჩობდა — „რა ბედნიერი ვიყავი მაშინ, თითქოს ხელახლა დავიბადე. სულაც არ მიფიქრია, რომ სწორედ იმ წუთს, იმ წამს, როცა გავიგე, რომ ისევ ვიცოცხლები, სხვამ შეიტყუა, რომ მისი დღეები დათვლილია... არც იმაზე მიფიქრია, თუ ვინ იყო ის სხვა, მოხუცი თუ ახალგაზრდა? მე ხომ მაშინ ყველაზე კარგად შემეძლო იმის გაგება, თუ რას იგრძნობდა, რა ფიქრები დაუტრიალდებოდა გულში? ხომ შეიძლებოდა, ჩემსავით ჰყოლოდა ოჯახი, შვილი... ბედნიერი ვიყავი და ადამიანს, ვინც შემთხვევით, ჩემს ადგილზე აღმოჩნდა, ფიქრებშიც კი ვერ დავუთმე ვერც ერთი წამი... რა უსუსურები ვართ თურმე, მხოლოდ საკუთარ თავზე, საკუთარ ცხოვრებაზე ვფიქრობთ... თითოეულ ჩვენგანს თავი სამყაროს ის ღერძი გვგონია, რომლის

ირგვლივაც დედამინა ბრუნავს... თუმცა, ღვთისგან გამორჩეულებიც ყოფილან... მძიმე წუთებში მე ჭიანჭველასავით უსუსურად ვგრძნობდი თავს და ასეთი ციყავი. გული კი უფრო იმაზე მწყდება, რომ ბედნიერებაშიც ასეთივე უსუსური ვყოფილვარ. ბაბუა კი... ბაბუა კაცურად წასულა ამ წუთისოფლიდან“.

ფიქრებიდან გოგონამ გამოარკვია. გვერდით ეჯდა და რალაცას ჩასძახოდა. გაიხედა, ბებია მარტოდმარტო მიაბიჯებდა ყვითელი ფოთლებით მოფენილ ბილიკზე — ჯოხი არ სჭირდებოდა, მაგრამ დროდადრო მაინც ეყრდნობოდა, ეს ხომ მისთვის მხოლოდ ჯოხი არ იყო.

მზე კაშკაშებდა. ყვითელი ფოთლები მის სხივებზე ქარვისფრად ბრჭყვიალებდა. დროდადრო სიო დაუბერავდა და ტრიალ-ბზრიალით მოაფრიალებდა ჰაერში ფოთლებს, არე-მარეს მისი სურნელებითა და სითბოთი ავსებდა...

— რატომ ყვითლდება ფოთლები? — ეკითხებოდა გოგონა მამას.

— ასეთია წესი, შემოდგომაზე ფოთოლი ჯერ ყვითლდება, მერე ხმება. როცა ქარი დაუბერავს, მაშინ ფოთოლცვენა იწყება. მაგრამ არ იდარდო, გაზაფხულზე ხეები ისევ გაიფოთლებს, ყვავილებით შემოსება.

— ჰო, მამა, მაგრამ ყვითელი ფოთლები სადღა მიდიან?

— მიწას ეფინებიან.

— მერე ხომ აივსება და სულ დაიფარება დედამინა ყვითელი ფოთლებით?

— არა, ყვითელი ფოთლები თანდათან ქრებიან, მიწად გადაიქცევიან.

— მეცოდებიან, მამა, ყვითელი ფოთლები. იქნებ, ისინიც დარჩნენ ხეზე. მერე მწვანე და ყვითელი ფოთლები ერთად იმრიალებენ.

ახალგაზრდა მამაკაცს გაეღიმა:

— და ამდენ ფოთოლს როგორღა დაიტევს ხე?

— ვერ დაიტევს?

— სამყაროში ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს. მაინც ვერაფერს შევცვლით... ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია, საკუთარი თავი შევცვალოთ, უსუსური არსებებიდან დევგმირებად გადავაქციოთ.

— ბაღში ხე დაეხატე ყვითელი ფოთლებით, ოღონდ იმ ხიდან ფოთლები არასოდეს დაცვივდება, სულ მასთან დარჩება.

— ჰო, შენს ნახატში არასდროს მოსწყდება ფოთლები ხეებს... — თავლისფერ ხეს ახედა. ყვითელი ფოთლები ცაცხვის გამხმარ ყვავილებთან ერთად პარაშუტებივით ეშვებოდა ძირს ტრიალ-ტრიალით, მზეზე ქარვისფრად გაკრთებოდა, მერე კი ნაზად ეფინებოდა ხასხასა ბალახს, შემოდგომის მზეს რომ ამოეტყუებინა...



ნანა ექვთიმიშვილი

ნანა ექვთიმიშვილი ძალზე დაკავებული ადამიანია. ერთმანეთს ინტერვიუსთვის ვერ შევხვდით, რადგან ახალ ფილმზე მუშაობს და დღედაღამ გადასაღებ მოედანზეა. არჩია, კითხვები გადავხედავ და ასეც მოვიქცევი. პასუხების მოლოდინში კიდევ ერთხელ გადავიკითხე მისი რომანი და პირველი წაკითხვასავით იმოქმედა; არა — კიდევ უფრო ძლიერად, უფრო ღრმა ემოცია დამიტოვა მსხლელების იმ ჭაობივით მინდორმა და ხალხმა, ვინც მის სიახლოვეს ცხოვრობს. პირველი რომანი და ასეთი დამუხტული, ცოცხალი, შეკრული, ზუსტი — იშვიათია ალბათ. და ამიტომ სრულებით ბუნებრივი და მოსალოდნელი იყო, მწერალთა სახლმა სახელმწიფო ლიტერატურული პრემია მის ამ დაუვიწყარ დებიუტს რომ მიანიჭა. „ლიტერას“ მალევე ილიაუნის აღიარება მოჰყვა — „მსხლელების მინდორი“ 2014-2015 წლების საუკეთესო ქართულ რომანად დაასახელეს. ნანა ექვთიმიშვილი კინოშიც ძალზე წარმატებულია. ფილმი „გრძელი ნათელი დღეები“, რომელიც რეჟისორ სიმონ გროსთან ერთად გადაიღო, ბერლინის, პარიზის, ჰონგ-კონგის, სარაევოს, ლოს-ანჯელესის, ტოკიოს საერთაშორისო ფესტივალების გამარჯვებულია. აღიარება რეჟისორსა და მწერალს არც ერთ სფეროში აკლია. ამიტომ სულ ახლახან, როცა „მსხლელების მინდორმა“ ილიაუნის კონკურსზე გამარჯვება მოიპოვა, მივწერე კიდევ, თქვენი კოლეგა ქართველი თანამედროვე ავტორების ნაწარმოებებს თუ ეცნობით და ლიტერატურულ პრემია „საბაზე“ საკუთარ შანსებს როგორ აფასებთ-მეთქი? მიპასუხა — „საბაზე“ ჯერ-ჯერობით არაფრის თქმა შემიძლიაო. მართლაც, იქამდე ჯერ დროა.

— გატაცებით ვკითხულობდი თქვენს რომანს. სანამ არ დავამთავრე, ვერ მოვეპვი. თითქოს კინოს ვუყურებდი, ტექსტი კადრებით გადიოდა თვალწინ. შეიძლება, ეს ჩემი ალქმა და არაფერ კავშირშია თქვენს საქმიანობასთან, კინოგამოცდილებასთან. მაინც მინტერესებს, რა პროცესია თუ რა გამოცდილებაა, როცა სცენარის ავტორი და რეჟისორი რომანს წერს. რამდენად რთული ან იოლი სამუშაოა კინოენისგან გათავისუფლება და სათქმელის ლიტერატურული ენით გადმოცემა, ახალ ფორმაში მისი მოქცევა?

— სიმართლე გითხრათ, იმავე კითხვას მისვამენ, როცა ჩემს სცენარებს კითხულობენ. ჰგონიათ, რომ უფრო ლიტერატურასთან აქვთ საქმე, ვიდრე კინოსთან. სხვათა შორის, მინდობა, პროზა ფსევდონიმით გამოქვეყნებინა, მაგრამ ჩვენს დროში ავტორის სახელი და იდენტობა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და ამიტომაც გადავიფიქრე. ყველაფერი ძალიან ინტერაქტიული გახდა, მკითხველს ავტორთან შეხვედრა სურს, ისევე როგორც მაყურებელს — რეჟისორთან.

მოთხრობებს სცენარებზე გაცილებით ადრე ვწერდი. არ ვიცი, როგორ ახდენს ეს ორი რამ ერთმანეთზე გავლენას, უბრალოდ, მე ერთი ვარ და ორივე ჩემი ნაწილია. სიტყვები ძალიან ახლოსაა ჩემთან. სიტყვებით შემიძლია ძალიან სწრაფად გამოვთქვა ის, რაც მინდა, კინოგამოსახულების შექმნამდე კი ძალიან დიდი და ხანგრძლივი გზის გავლა მიწევს; და თან — ბევრ ადამიანთან ერთად!


— არ ვიცი, როგორ ახერხებთ თითქოს მინიმალისტური ფორმებით, სხარტი, მოკლე წინადადებებით, ყოველდღიურობის დაუტვირთავი, რეალისტური აღწერით, ღარიბ მეტყველებაზე აგებული დიალოგებით ასეთ ეფექტს მიაღწით. ამ კუთხით რომანი ძალიან ჰგავს თქვენს ფილმს — „გრძელი, ნათელი დღეები“. ეს თქვენი შემოქმედებითი სტილია?

— არ ვიცი, რა არის ჩემი შემოქმედებითი სტილი, ამაზე არ ვფიქრობ. ფორმა თავისთავად იბადება. ყველა იდეა, ყველა ნაწარმოები დამოუკიდებლად ისხამს ხორცს. არ ვცდილობ, ისინი რაიმე კონკრეტული სტილის ქვეშ გავაერთიანო.

— „ლიტერას“ გადმოცემის დროს, თქვენი რომანის წარმდგენმა თონა ბექვილიმა თქვა, რომ თქვენი არჩევანი შეჩერდა ნიგნზე, რომელშიც მონიშნულია საწყისი წერტილი იმ შემკვიდრეობისა, რომელიც გვერგო და ძალიან ნატურალისტურადაა აღწერილი იმ ადამიანების ყოფა, რომელთა ხმა თითქმის ვერ აღწევს ჩვენამდე. თქვენამდე როგორ მოაღწია ამ ბავშვების ხმამ?

— მათ გვერდით ვცხოვრობდი. მათი მეზობელი ვიყავი. არავინ გრძობდა თავს დამნაშავედ მათი ასეთი ყოფის გამო. არავინ არასდროს მოვა ჩვენთან, არ გამოიშვერს თითოს, არ დაგვდებს ბრალს, არ გაგვასამართლებს... თავად ის ბავშვებიც კი არასდროს გვეტყვიან საყვედურს, მაგრამ არის რაღაც, რაც გაიძულეებს, არ დაივიწყო ის, რაც იცი, და საკუთარ თავს და სხვებს პასუხი მოსთხოვო იმის გამო, რისი მომსწრე და მხილველიც იყავი... არ ვიცი, იქნებ თანამონაწილაც.

— რატომ აირჩიეთ ანწყობი რომანისთვის? პირადად ჩემთვის ანწყობი თხრობამ გააჩინა განცდა, რომ ამბავი არ დასრულებულა, რომ სადღაც — ინტერ-



ნატები იქნება, ქუჩები თუ ნებისმიერი გარემო — სადაც ასეთი ბავშვები ცხოვრობენ, ტრაგედია გრძელდება, ის მსხლელების მინდორიც არსებობს და თუ განვსაზოგადებთ, ცოცხა არსადაც არ მიდის, ყველა შეიძლება, სადღაც ნამოენოს.

— ამ ამბის წარსულ დროში თხრობა ჩემთვის არასწორ განცდას იწვევდა. ამბავი აქ და ახლა ხდება და მკითხველს უჩნდება განცდა, რომ ავტორმაც არ იცის, რა მოხდება მერე, როგორ განვითარდება მოვლენები. თითქოს დისტანცია მცირდება ავტორსა და მკითხველს შორის.

— კიდევ ერთი რამ მინდა, ვთქვა ჩემი შთაბეჭდილებიდან — ცხადია, იქაური სურათი არის უმძიმესი, სრულებით დაუცველი ამდენი მსხვერპლი, მაგრამ, კიდევ უფრო შემზარავია, მათი დამოკიდებულება იმის მიმართ, რაც მათ თავს ხდება — იმავე წუთს რომ წამოღებოდა და აგრძელებენ თამაშს, ვითომ არაფერი მოხდარა. იმიტომ კი არა, რომ მათთვის სულერთია, უბრალოდ, მგონი, იმდენად არაბუნებრივი და სასტიკია ეს ყველაფერი, რომ ამ არშემჩნევით იცავენ თავს დიდი ტკივილისგან, უსასოობის-

გან. ეს ძალიან ადამიანური რეაქციაა მათი მხრიდან, კუთხეში მიმწყდებული მსხვერპლის მხრიდან და ამან განსაკუთრებით იმოქმედა.

— ხომ გინახავთ ველურ ბუნებაში ცხოველების ერთმანეთზე თავდასხმის კადრები? როცა ერთი მეორეს მისდევს, იჭერს, კბილებს ასობს... და შემდეგ ვხედავთ, რომ უცებ მსხვერპლი სასწაულებრივად იხსნის თავს თავდამსხმელისგან, პირდაპირ მტრის ხახიდან ახერხებს სამშვიდობო გავლას, მაგრამ ამ გათავისუფლების შემდეგ მას არაფერი სწყინს. და არც მომხდარს ანალიზებს. ჩემი რომანის გმირებსაც აღარ სწყინთ ასეთი თავდასხმები და არც საკუთარი თავის ჩაგვრის ანალიზით არიან დაკავებული. ისინი იღებენ იმ რეალობას, რომელშიც ცხოვრობენ და ყველა დაცემის შემდეგ პირველადი ინსტინქტით ცდილობენ ფეხზე წამოდგომას. ამ პირობებში ისინი სხვანაირად ვერ გადაარჩებიან.

— დიდხანს იმუშავეთ რომანზე? მახსოვს, „ლიტერას“ დაჯილდოების დღეს ისაუბრეთ წერის სირთულეზე, შემო-



ქმედებით პროცესის სირთულეზე და შემდეგ იმ გზაზე, რომელსაც დაწერილი წიგნი გაივლის. თითქოს ის აღარ ეკუთვნის ავტორს, დამოუკიდებელ სიცოცხლეს იწყებს მკითხველთან ერთად. ვფიქრობ, „მსხლელების მინდორს“, როგორც რეჟისორი, აღარ მიუბრუნდებოთ. ყოველ შემთხვევაში, მასთან მიბრუნება ადვილი ალბათ არ იქნება, რადგან ის უკვე დაწერილია, უკვე გაშვებულია თავის გზაზე.

— რომანს დიდი ხანი არ ვწერდი, დრო უფრო ტექსტის გასწორება-გადაკითხვას მიაქვს. არა მგონია, ჩემი რომანის ეკრანიზაციით დაკავდე. ძალიან რთული იქნება „მსხლელების მინდორის“ გადაღება. თუმცა არ ვიცი, არაფერია გამორიცხული. ისე, წერის დროს ეს იდეა აბსურდულად მეჩვენებოდა.

— ბევრი ამბობს, რომ მხატვრული ნაწარმოების ეკრანიზაცია თითქმის არასოდეს ამართლებს. თქვენც ასე ფიქრობთ?

— ნაწილობრივ მართალია. უმეტეს შემთხვევაში, კარგი წიგნისგან კარგი ფილმი არ გამოდის, საშუალო წიგნისგან უფრო კეთდება კარგი ფილმი. ჩემის

აზრით, ეს იმასთან არის დაკავშირებული, რომ ხშირად რეჟისორი თავს ვერ აღწევს „დიდი წიგნის“ ტყვეობას, ვერ ახერხებს წიგნის უარყოფას. ამ დროს, მგონია, რომ თუ ნაწარმოები გარკვეულწილად არ უარყავი, ისე ვერ შეძლებ დამოუკიდებელი, სხვა ნაწარმოების შექმნას. უარყოფა არ ნიშნავს დამახინჯებას, და არც ნაწარმოებისადმი უდიერად მოპყრობას... უბრალოდ, თუ წიგნს მიყვებით და მისხალ-მისხალ იმას გადავიღებთ, რაც იქ წერია, საშინლად მომაბეზრებელ ფილმს მივიღებთ. აქ გაბედულებაა საჭირო და ლიტერატურული ენისა და მოქმედების კინოენად ტრანსფორმირება. როცა აკეთებ წიგნის ეკრანიზაციას, წიგნი უნდა დაივიწყო, უნდა წარმოიდგინო, რომ ის აღარ არსებობს და ამბავი, რაც წიგნშია, უბრალოდ ვილაცამ მოგიყვა. ამის მერე თავიდან უნდა გამოიგონო და შექმნა ამბავი ეკრანისთვის, თავისი დრამატურგითა და შინაგანი რიტმით.

— შეგიძლიათ, გავისვენოთ, როგორ დაიწყეთ წერა? თქვენი მოთხრობები ხომ პირველად 1999 წელს გამოქვეყნდა „არილში“.

— ძალიან პატარა ვიყავი. ამას ალბათ წერა არც ერქვა. როცა ნაწერები მოინონეს, არ მჯეროდა, რომ ეს იქნებოდა ჩემი გაქანება ან მომავალი. იმ გადმოსახედიდან არანაირი მონაცემი არ მქონდა, რაც მწერალს სჭირდება, ან რასაც სტერეოტიპულად ჰქვია, რომ მწერალს სჭირდება: ვიყავი გოგო... და ასე შემდეგ. მერე რამდენჯერმე ჩემი მოთხრობები რომ წაკითხეს და მოეწონათ, მიხვდები, ეს ორი სხვადასხვა რამეა: ერთი — რაღაც ალგიტვამენ, და მეორე — რაც ხარ. ფურცელთან თავს აბსოლუტურად თავისუფლად ვგრძობდი და ის შემქმლო ვყოფილიყავი, ვინც ნამდვილად ვიყავი.

— იმ მოთხრობების შემდეგ, რომანამდე, არაფერი დაგინერიათ? რატომ აღარ გააგრძელეთ ლიტერატურული საქმიანობა, სხვა ინტერესები გაჩნდა? კინო?

— წერა არასდროს შემიწყვეტია. უბრალოდ, აქ აღარ ვცხოვრობდი. სხვა ინტერესებს წერის სურვილი არ გადაუფარავს.

— ზოგადად, წერა ვიყავით? ჩანანერების, ჩანახატების, დღიურების.


— კი, მიყვარს. მაგრამ წერა ჩემთვის მუშაობაა. როცა საწერად ვჯდები, იმას ვწერ, რისი დაწერაც უკვე დიდი ხანია, მინდობდა. სპონტანური წერისათვის დრო არ მრჩება, თუმცა ხანდახან შეიძლება ასეც მოხდეს.

დღიურს არ ვწერ. არ მაქვს დღიურისთვის დრო — არც ჩანანერებისა და ჩანახატებისთვის... ისეთი შეგრძნება მაქვს, ამის კეთება რომ დავიწყო, ძალიან ბევრი დაგროვდება, ვერ შევანერებ და სხვას ველარაფერს გავაკეთებ-მეთქი. ამიტომ ასეთ რამეებს ვერიდები.

— ვიცი, რომ ახალ ფილმზე მუშაობთ. ლიტერატურული გეგმებიც გაქვთ?

— ახლა ფილმის გადაღებით ვარ დაკავებული და დავამთავრებ თუ არა, ჩემს შემდეგ რომანზე გავაგრძელებ მუშაობას.

ესაუბრა თამარ ჭურული



„და გაიგებენ დიდი ხნის შემდეგ,
რა ცეცხლი მწვავდა და რა ვიყავი!“
ტერენტი გრანელი


ერთ დროს, პეტრე-პავლეზე, ტერენტი გრანელის გაძარცვულ საფლავთან უიღბლო პოეტის საიმედო ჭირისუფალმა ირიბად გადატყუებული გრანელის ქვა აღმართა მარადუამიერი წარწერით:

არა სიცოცხლე
არა სიკვდილი
არამედ რაღაც სხვა...

დროთა განმავლობაში „უხიაგი განდგომილის“ შემოქმედება, ლეგენდარული ბიოგრაფიის წყალობით, საჯილდაო ქვას დაემსგავსა. ტერენტი გრანელის ტრაგიკული ცხოვრება უღმერთო რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული მარტოკაცის დაუმორჩილებელი გაბრძოლების დასტურია. სწორედ ამგვარი ბრძოლა ზრდის მის დამფასებელთა რიცხვს და ყველა დროის ფილისტერებს მკაცრად აფრთხილებს — ადრე თუ გვიან დუმილის დიდოსტატა უსამართლო სუსხი მარადისობასთან ჭიდილში უცილობელი მარცხისთვისაა განწირული. ცნობილი მკვლევარი და მთარგმნელი ლერი ალიმონაკი, რომლის სახელსაც ტერენტი გრანელის ლიტერატურული სახელის „მკვდრეთით აღდგენა“ უკავშირდება, ამ შემზარავი დუმილის მრავალხანაგოვანი სურეების გაშიშვლებისას მიუდგომელ დასკვნას გვთავაზობს: „*წლების განმავლობაში მისი (ტერენტი გრანელი იგულისხმება — ი.ქ.) სახელის ირგვლივ სიჩუმე იყო ჩამორთლილი. ეს სიჩუმე, ერთი მხრივ, ეპოქისეულ ტოტალიტარული განწყობილებებითაც იყო განპირობებული (30-იანი წლების სასტიკი რეპრესიები, შემდეგ ომისა და გადასახლებების უმძიმესი წლები), მეორე მხრივ, მრავლისმეტყველ ამ სიჩუმეს ბოლშევიკური იდეოლოგიით შეპყრობილ არაკაცთა ფარისევლობა და ობივატორიზმი ედო საფუძვლად, რამაც ნახევარ საუკუნეზე მეტი გასტანა.*“

ბუნებრივია, ამ დანაშაულებრივ დუმილს გრანელისათვის ესოდენ მახლობელ, გამაზრანებულ კოსმიურ სიჩუმესთან არაფერი ესაქმებოდა — შემოქმედის თანმდევი ნეტარი სიჩუმე რჩეულთათვის შემორჩენილია, მას უწყვეტი ქმნადობის პროცესი ასაზრდოებს, წინასწარ შემუშავებულ მტრულ დუმილთან შეუთავსებელია და, ვაი მას, ვინც ეპოქალური კონტექსტიდან ამოვარდნილია და თანამედროვეების „მიღწევებს“ საპირსონედ სრულიად სხვა განზომილებისკენ მიიღწევს. სიკვდილ-სიცოცხლისგან განყენებული „რაღაც სხვა“ უცნობი სიდიდის სახით დაუკითხავად შემოდის, სიტყვიერ ქსოვილს მიღმა არსებული იდეალური ძალა ავბედით ბედისწერად განზოგადდება და პოეტური შემოქმედების ელვარე დასაწყისს დრამატულ ფინალს უშზადებს.

შუქ-ჩრდილის უსასრულო გარდატეხის ფონზე ტერენტის სიჭაბუკისდროინდელი აღიარება აქ უჩვეულოდ აღიქმება. არადა, თავის დროზე ქართულ სამწერლო სივრცეს ახალბედა მგოსნის გამორჩეული დებიუტი შეუჩვენებელი ნამდვილად არ დარჩენია. ვისაც გაცხელი საუკუნის ლიტერატურული პერიოდიკა გულდასმით შეუსწავლია (წიგნის ავტორი იმჟამინდელ ლიტერატურულ ცხოვრებას ოსტატურად აცოცხლებს), გრანელის მისამართით გამოთქმული მოსაზრებების შეჯერებისას მკაფიოდ წარმოიდგენს, რა ასულდგმულებდა XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ მწერლობას, მსოფლიო გარდატეხის კვალდაკვალ რა გამოხატებები ასაზრდოებდა მის წიაღს. ნითელი ემისი ძალადობრივმა პოლიტიკამ ქვეყნის სამომავლო განვითარების სადინარი სასტიკად დაახშო, რამაც აურაცხელ უბედურებასთან ერთად, სახელმწიფოებრიობადაკარგულ საქართველოში მწერლის დამოუკიდებელი არჩევანი „ვინტოკის“ ძალით გააუქმა და ანტისაბჭოთა ელემენტების (მწერლობაში საეჭვო მონაწილის კალმოსნებს თანამგზავრებს უწოდებდნენ) გამოაშკარავების საბაბით, იდეოლოგიური მტერი — ჯანსაღად მოაზროვნე ეროვნული ინტელიგენცია — ფიზიკურად გაანადგურა. ზოგჯერ ცდუნება მერევა, შუბლმაგარ მედროვეთა გაცვეთილი რიტორიკის გასაქარწყლებლად, საშვილ-



ბრანელის ლანდის გამოხმობა
ლერი ალიმონაკის
„გრანელის ლანდის“ შესახებ

იშვილოდ ჩაბეტონებული კონფორმიზმის მიზეზის წვდომას შემზარავი სტატისტიკური მაჩვენებლები დროულად დავახმარო. მაღლობა ღმერთს, ამ მხრივ, რა ხანია ყინული დაიძრა — რეპრესიების ისტორიებით დაინტერესებულ პირთათვის საჭირო მონაცემების მოპოვება აშკარად ხელმისაწვდომია. კონფორმიზმის მიზეზთა მიზეზი კომუნისტური იდეოლოგიის მთავარსარდლის — ყოვლისმომცველი შიშის — შიგთავსშია საძიებელი, რომელიც გაუთავებელი დახვრეტებისა და რეპრესიების მეშვეობით უკიდვანოდ განივრცო და ჰომო სოვიეტის მსოფლმხედველობის ქვაკუთხედად ჩამოყალიბდა. შიშის გავრცელებული ნაირსახეობა — ჩურჩული — გამრუდებული-დათრგუნული აზროვნების კულტად „მშვიდობიანად“ დაკანონდა. უწყვეტი დაძაბულობის მიღმა განოლილი, ცოცხლადგადარჩენილი ინტელიგენციის თავდაცვითი „სამკაული“ — ჩურჩული — შინაგან კვდომას რომ მოასწავებდა, ძალადობრივი რეჟიმის სავიზიტო ბარათად იქცა.

ლეგენდარული მეამბოხისა და ერისკაცის, ალექსანდრე ორბელიანის დახასიათებისას აკაკი წერეთელი ერთგან აღნიშნავს — ახალგაზრდებთან საუბრისას ალექსანდრე უნებურად ხმას უწევდა, დარაბებს გულდაფული ამონებდა, რათა საეჭვო ჩქამს მტრის ყურამდე არ მიეღწია. ეს „დეტალი“ იმპერიული პოლიტიკის მიერ ჩანერგილ შიშსა და სიფრთხილეს ააშკარავებს და იქ, სადაც უტეხი და დაუშოშინებელი ალექსანდრე ორბელიანი, მწარე გამოცდილების გათვალისწინებით, იძულებული იყო, ეროვნულად მოაზროვნე ახალგაზრდების დასაზღვევად სამშობლოს სიყვარულის აუცილებლობაზე ხმადაბლა ექადაგა, ადვილი წარმოსადგენია, ჩეკა რაოდენ გაუსაძლის საზღაურს გადაახდევინებდა საბჭოთა რეპრესიებით განამებულ ხელოვანებს.

ტერენტი გრანელის ადრეული პუბლი-

ცისტიკა კოსმიურ ზმანებებში ჩაძირული არამქვეყნიური მგოსნის მძლავრ პატრიოტულ იმპულსს ავლენს. ტერენტი გრანელი — თხემით ტერფამდე ქართველი პოეტი (აქ ეროვნულ ცნობიერებაზეა საუბარი) — სამშობლოს განითლებას უკიდურესი სიმძაფრით განიცდის. მისი მგრძნობიარე ნატურა ჩავგვრას ვერ ეგუება და დგება ჟამი, ოდეს გულში დაგროვილი პროტესტმა შიშის ჯვბირი უნდა გაარღვიოს. ამიერიდან შიშთან ბრძოლა გრანელის ცხოვრების წესის შემადგენელი ნაწილია, რაც უმრავლესობას აღიზიანებს, რადგან უკომპრომისობა მცირედს მოსდგამს, არასასურველი მოწმის თანდასწრებით კი სინდისი სხვაგვარად ბორგავს. სწორედ ეს „წვრილმანი“ განაპირობებს ტერენტის გრანელის მოკვეთას და მისადმი შეუთავსებლობაც აქედან იღებს სათავეს. შიშის ძლევის სახიერი გამოვლენაა, ერთი შეხედვით, არაეთიკური შესტიც — ახალი რეჟიმის მესვეურთაგან ათვალწუნებული გრანელი მედროვეების ფალავანს, გამორჩეული პოეტების ცნობილ ავ ზედამხედველს, ირაკლი აბაშიძეს კონიუნქტურული ხარკის გაღებისთვის საჯაროდ სილას გაანაწავს. ავბედითი ეპოქის წყლულს აშიშვლებს ფრაზა: „საბჭოთა თოვლი ვის გაუგონია!“ პირში მიხლილი სიმართლის წყალობით რუბიკონი გადალახულია, არჩევანი — გამოკვეთილი. დუმილის სარტყლის გაუფალობა კანონზომიერია, მის მიღმა პოეზიის „მონაწივე კადრი“ ჩასაფრებულა და არასასურველ ხალხს მეთოდურად ცხრილავს.

წყვიდადში სხივის ტოლფასია თანალობის ის მაგალითი, მონათესავე სულების უმანძილობას რომ ცხადყოფს. ლადო ასათიანის ლექსს ვგულისხმობ, რომლითაც უთვისტომი წინამორბედს თანავგრძნობით ეხმინება და რომელიც სვეგამწარებული, ეფროოდ დაღუპული უნიჭიერესი პოეტის უმძაფრესი ტკივილის გამოძახილია. აი,



ეს არის საბჭოთა სინამდვილის ფონზე კონტრასტული სიმბოლო:

„თოვს და თოვაში გიგონებ, ძმობო,
ვინ გაგიყურებს დარდას და ვარაშს?
მჭკნარი ფოთოლი დახვალ ამაოდ,
აქამდის არვინ არ შეგიყვარა!“

რომ არა ლერი ალიმონაკის კეთილსინდისიერება, ვინ იცის, ამ უსამართლოდ მიჩქმალულ ლექსს, რომლისთვისაც ლადოს არცერთ კრებულში „ადგილი ვერ გამოიძებნა“, როდის გავეცნობოდი. გრანელის ტრაგიკული ხვედრით გამონვეული ნუხილი ჭაბუკი პოეტის მხრიდან თანამობისა და სოლიდარობის უპირველეს აქტად იქცა. ლადომდე შერისხული პოეტის სსოვნის პატივსაცემად ნავსი ვერავინ გატეხა, რადგან სიკვდილის ცელით მოსხეპილი საუკეთესო ხელოვანები უმონყალოდ გაეჟლიტათ. უკუღმართი იღბლის გამოისობით მსხვერპლთა ავანგარდში ლადო ასათიანიც გამწვანებულიყო. კომუნისტური აპოლოგიით შეზარხოშებული ნაფიცო კრიტიკოსები სწორედ იმისთვის იწრთობდნენ, რომ გამორჩეული პოეტები გაუხარულ ყოფას ნაადრევად გამოსთხოვებოდნენ.

ზამთრის რეკვიემის თანმდევი აისბერგი დაიმსხვრა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ სამარცხვინო ფაქტს, მავანმა ლადოს ერთ-ერთი შედევრი „მკვდრად-შობილ ლექსად“ რომ გამოაცხადა. და მაინც — ის, რომ ზემოხსენებულ ლექსი ლადო ასათიანის არცერთ პოეტურ კრებულში ჯერაც არ შეუტანიათ, კიდევ ერთხელ მოწმობს, პოსტსაბჭოთა ხანა საბჭოური ცნობიერების დაძლევის გარანტიად ნამდვილად არ გამოდგება. თავისუფალი არჩევანი კვლავ სათუთა და ბრძოლითაა გასატანი, რაც ჩვენს მინადად უპასუხისმგებლობაზე მიუთითებს. რაოდენ სიმბოლურია, რომ ტერენტის გარდაცვალების შემდეგ ეს მისდამი მიძღვნილი პირველი გულწრფელი ლექსია, რომელმაც შავბენილი დუმილის სამანი დაარღვია და უშიშარი, პატიოსანი მწერლების მონაწივეთა გამოწვეული სევდა (პატიოსანი მწერლების დეფიციტზე ლადო უნიჭიერეს თანატოლსა და მწერალს, კოტე ხიმშიაშვილს შესჩივის, კომუნისტებმა 1942 წლის შეთქმულების წინამძღოლობის ბრალდებით 16 თანამოაზრესთან ერთად უყუყუანდნენ რომ დახვრიტეს) გულისშემძვრელ პოეტურ სტრიქონებში ჩააქსოვა.

აქვე გავამახვილებ ყურადღებას კიდევ ერთ კონტრასტზე, რომელსაც ავტორი (ლერი ალიმონაკი) პირადი მოგონების სახით გვთავაზობს და რაც ესოდენ საინტერესო წიგნს მშრალი აკადემიურობისა და კანცელარული სტერეოტიპისგან საიმედოდ იცავს. კოლაუ ნადირაძესთან უნებლო შეხვედრისას გრანელის ხსენება მცოვანი პოეტის მუხსიერებაში უსიამო მოგონებას აღვიძებს. კოლორიტული ცისფერყანწელის აღმფოთებული რეპლიკა ადრინდელ ჭრილობას უხსნის პირს. კოლაუ ნადირაძე თმააბურძგნულ, უძილო, მოუვლელი გრანელის საქციელს გამოუყვანია მწყობრიდან და მას, წლების შემდეგაც კი, სიმონ ჩიქოვანისადმი გამოვლენილ ამრეზილობას ვერ პატიობს.

ძველი კადრი შეუსვენებლად ბრუნავს — სიმონ ჩიქოვანი სვეგამწარებულ გრანელს საღმის სათქმელად გადაუდგანინ და კეთილგანწყობის ნიშნად ხელი გაუწოდა. საღამო ღვთისააო, ალბათ, ეს სიბრძნე თუ ამოძრავებდა. ზუსტად ამ დროს ტერენტის საპასუხო ფრაზამ მათრახის შუილი გამოცხა: „სიმონ, ხომ ხედავ, რა ჭუჭყიანი ხელი მაქვს, მაგრამ მაინც არ გავისვრი შენი ხელის ჩამორთმევით.“

„— ჰაერში შეატოვა, კაცო, ხელი სიმონს, ჰაერში... წარმოვიდგენიათ?! ეს როგორ გაბედა, თფუ!“ — წარსულის მოგონებებთან მობობოქრე კოლაუ რეაქცია დროგამძლე განცდების ყავლგაუსვლელობას ადასტურებს. მოკლედ, პატრუქს მთელი ძალით ცეცხლი უკიდია, რომლის სიმხურვალე გრანელის ერთგულ ჭირისუფალსაც თანაბრად სწვდება და მსჭვალავს!

ცოდეა გამხელილი სჯობს, კოლაუ ნადირაძის ექსცენტრულობა, უპირველესად, გალაკტიონის პოეზიის არაადეკვატურ შეფასებაში რომ გამომჟღავნდა, ხელს მიშლის, ეს კოლორიტული ცისფერყანწელი გულწრფელად შევიყვარო. თუმცა, ამ

ფონზე, უპატრონობა, მისი შემოქმედება დავაკინო. სიმონ ჩიქოვანის გამოსარჩლებისას კოლაუ ნადირაძე შეურაცხყოფილი კოლეგის ღირსებას იცავს, მაგრამ ამავდროულად გრანელის საყოველთაო დაუცველობა საჯაროდ არ (ვერ) აღიზიანებს. ეგებ, გულის სიღრმეში, დანარჩენების მსგავსად, აცნობიერებს ტერენტის გამომწვევქცევას, უფრო მასშტაბურად კი, გრანელის ერთსულოვან მიუღებლობასა და შერისხვას, რა უდევს სარჩულად, მის ამგვარ ქმედებას სინამდვილეში რა განაპირობებს. შეუძლებელია, გასაბჭოების თემაზე შექმნილი სულისშემძვრელი ლექსის ავტორს ეპოქალური ქართველების სუსხი მხედველობიდან გამორჩენოდა. ერთი ეგ არის, გრანელისგან განსხვავებით, მან თვითგამოხატვის სხვა გზა აირჩია.

ლერი ალიმონაკთან შემთხვევითი შეხვედრისას ცისფერყანწილი რწმუნდება, რომ მრავალი წლის შემდეგ უსამართლოდ ტაბუდადებული „საწყალი ტერენტის“ სახელის აღსადგენად წყვილიაძი ჩირაღდანი იჭრება, რამაც, წესით, თავდაპირველი შეხედულებების გადასინჯვა თუ არა, თანაგრძნობა მაინც უნდა ჩაუსახოს. თუმცა, გრანელთან მიმართებაში ჯადოსნური წრე კვლავ ჩაკეტილია. მზაკვარი იბლისის განჩინებით მაქსიმალური დაძაბულობის გარეშე მასთან მიახლება გამორიცხულია. ტერენტისა არ იყოს, მის ლანდად ადევნებული ბედისწერაც ბოლომდე დაუზოგავად იხარჯება...

ჩემთვის ორმაგად სასიხარულო გამოდგა ის ფაქტი, რომ ამ შესანიშნავ ნიგნში ტერენტი გრანელის ერთგული მეგობრისა და მისი შემოქმედების დაუღალავი პოპულიზატორის, კონსტანტინე გაჩეჩილაძის სახელი შესაბამისი კონტექსტში ჩნდება. 11 წლის წინათ ამ ღირსეული პიროვნების შვილიშვილმა, პროფესიით ისტორიკოსმა მარინა ქადაგიძემ თავისი ნაშრომი — „სივრცეში დარჩენილი ფრაზები“ — მისახსოვრა, რომელიც ბაბუის გამოუქვეყნებელ მოგონებებზეა აგებული და ტერენტი გრანელისა და მისი მეგობრის, კონსტანტინე გაჩეჩილაძის ლიტერატურულ საქმიანობაზე მნიშვნელოვან ცნობებს გვანდის. ნიგნში თანამოაზრეების მიერ დაარსებულ ჟურნალ „კრონოსის სახე“-სა და გაზეთ „ია“-ს (რომლის ერთადერთი ნომერი გამოიცა) შექმნის ისტორიას ნამყვანი ადგილი უჭირავს. ზემოთ-დასახელებულ ნაშრომს მაშინვე გამოვეხმაურე. ჩემი პუბლიკაცია — „კრონოსის სარკის ანარეკლი — კონნე სპერელი — ტერენტი გრანელის მივიწყებული მეგობარი“ — თავდაპირველად გაზეთ „რადიოში“ დაიბეჭდა, ხოლო მოგვიანებით ჩემს პირველ კრიტიკულ-ესეისტურ კრებულში „ვის მივყიდით ქართულ მწერლობას?!“ (2009) შევიდა: „ერთგული მეგობრის ღვანლის წარმოსახენად, კეთილსინდისიერად შესრულებული პუბლიკაციებით, სადაც ტერენტი გრანელის ცხოვრების ამსახველი მნიშვნელოვანი ცნობები გამოჰქონდა სააშკარაოზე, კონნე სპერელი ქაჯეთის აუღებელ ციხესიმაგრეებად ქცეულ რედაქციებს თავს ყოველწლიურად ახსენებდა. სიკვდილამდე არ გადაუხვევია ამ გზისთვის. ის არც სათავისო აღიარებას ესწრაფოდა და არც მომგებანი პონორარს ითხოვდა...“ ჩემი წერილის ამონარიდში ქაჯეთის აუღებელ ციხესიმაგრეებად ქცეული რედაქციები შემთხვევით არ მიხსენებია. მოგვიანებით, როდესაც ლერი ალიმონაკმა ტერენტი გრანელის სახელის აღმოდინების ურთულესი საქმე გადაიბარა, რედაქციული პოლიტიკის შერჩევითი სისტემის ხარვეზებს არაერთხელ შეეჯახა. „ტერენტის ლანდი“ ამ გაუცხადებელი ბატალიების უტყუარი მატყინება, რომელიც სასიკეთო საქმის მოთავისგან არნახული ენერჯის საპირსონედ მედროვნების ლეგიონთან შერკინებისას ძლიერ ნებისყოფასა და ამტანობას მოითხოვს, რათა მრავალთა უმადურობისა და გესლის საპასუხოდ მადლის მარაგი ნაადრევად არ ამოიწეროს. მით უფრო, თუ ფრონტის ხაზზე გასულს ჯავშნად რეგალიებისა და ცენზის ნაცვლად მართლოდ უფლის რწმენა და სიმართლის ძალა გიმადრებს ზურგს.

ლერი ალიმონაკის მოსაზრება ცენზიანი მალაჩინოსნებისა და უსულგულო „ობივატელების“ სულიერ სიმწირეს ამხელს, რომლებიც მეცნიერს, კომპეტენციის დასტურად, ქედმაღლურად მიუ-



თითებდნენ დიპლომის წარდგენას. ეს რუტინული შინაგანანესი დღესაც იგივე სიმწვავით დგას. მეტიც — ყოველი ღობის ძირში გახსნილი „აკადემიის აკადემიკოსთა“ ფუჭი ფახიფუხი ამ მოურჩენელი სენის ქრესტომათიული ილუსტრაციაა, რომლის მეშვეობითაც თვითმარქვია „მოღვაწეები“ ნამდვილ მკვლევარებს გაუვალ წინაღობებს უქმნიან. ამ ფონზე ლერი ალიმონაკის აღსარება გულახდილობის მუხტს ასხივებს — რეგალიების მოძულე გრანელის ლანდს სევდიანად ებოდებება, რადგან მიზნის მისაღწევად იძულებულია, გარკვეული ცენზი მოიპოვოს, რაც, უწინარესად, მის მიერ წამოწყებული საქმის დასრულებას განაპირობებს. დიპლომიანების ქვეყანაში „უღებლობა“ პოეტის გენიის დასაცავად სხვა კანონიერი გზა უღალატაკოდ მოჭრილია. შეუფერებელი სამსახურითა და მწირი ხელფასით განამებული მეცნიერი ფარ-ხმალს არ ყრის და ქაჯეთის ციხის მესვეურებს შეუპოვრობით განაცვიფრებს. საქმეში ჩეკასდროინდელი ვეტერანი კრიტიკოსები ერთვებიან, რომელთაც სახელოვანი მოღვაწეების „გაშავებით“ კომუნისტური სამოთხე ბედნიერად „დამისახურეს“ და უცებ, ვიღაც „არამპითხე“ ალიმონაკის წყალობით კვლავ გრანელის ლანდს შეეჯახნენ. არადა, თავის დროზე ამ ნაფიცმა, გავლენიანმა ჯალათმა კრიტიკოსებმა სათანადოდ იზრუნეს, ურჩი ტერენტი გრანელის გარდაცვალების ცნობა არსად გაჭაჭანებულყო! არაბიური ნეკროლოგი, თუნდაც მოკლე, სახელდახელო სამგლოვიარო განცხადება... თითქოს პოეტის დაღუპვის ტრაგიკული ამბავი არსაიდან მოვლენილი შემზარავი დუმილის შიგთავსში უსახელიოდ დათქმულიყო! სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ პროზექტურაში ამოცნობილი ნატანჯი პოეტის ნეშტი რამდენიმე ადამიანის ძალისხმევით საავადმყოფოს გადაღმა, იქვე, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე ფარულად გადაასვენეს. მწერალთა ფედერაციის მრავალმეტყველი დუმილის ფონზე, პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილის ხელმძღვანელობით, დამკრძალავი კომისია მაინც შეიქმნა. ნიგნის ავტორი დასძენს, რომ ვასო გორგოდის მოგონების თანახმად, პროცესიას გალაკტიონი, გერონტი ქიქოძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ტიცვიან ტაბიძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე და ალექსანდრე წერეთელი მიჰყვებოდნენ... სიმბოლურია, რომ სიცოცხლეში გაუხარულ მეამბოხე პოეტს უკანასკნელ გზაზე რჩეულთა დასი მიაცილებდა. მიაგეთ კეისარს კეისრისა! მედროვეთა ავბედითი დუმილის ფონზე მაინც აღსრულებულიყო... ჩეკას კრიტიკოსებიც არ თვლემდნენ და ბუნებრივი აღმოჩნდა „მნათობის“ რედაქციის განაჩენიც — ირაკლი აბაშიძის, ბესო ჟღენტისა და გიორგი ჯიბლაძის ინიციატივით (მათ სიტყვას მაშინ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა), ლერი ალიმონაკის წერილი გრანელზე ჟურნალში არ დაიბეჭდა. მოგვიანებით, ამ უსამართლო ვერდიქტის მომსწრე მურმან ლებანიძე „მნათობში“ გამართულ ბატალიას ლექსის მეშვეობით გამოეხმაურა; იმჟამინდელი გნებათაღელვა ლექსის სტრიქონების მეშვეობით აღადგინა, რაც ამ ფაქტის პოეტური რემინისცენციაა. ეს ყურადსაღები ლექსი ეპოქალური უსამართლობის „დამატებითი“ დოკუმენტია:

„გაჩნდნაო ამდენი სიკვდილებით!“ — ტერენტი გრანელზე იტყვიან პოეტები —

ბობს ალტაცებით დამუხტული, ხორციანი, მხნე პოეტები...

(დამსმენს მაკინტოში ეცვა „ინდიგოსი“) ზურგსუკან, დასმენით,

წერდა კრიტიკოსი: „ნუ შეხვდებით ალიმონაკს „მნათობში“ ვარდებით!“ ნუ დაუბეჭდავთ ტერენტიზე წურაფრს დადებითს!“

ფრაგმენტი ცალსახად ავლენს ნამყვანი ჟურნალის რედაქციაში გამეფებულ ჩახუთულ ატმოსფეროს, სადაც „მთავარ დირიჟორებად“ კვლავ მახეზარა ნაფიცი მსაჯულები მოიაზრებიან და მათ ურყევ ნებას კვლავ ეახლება (უკვე მერამდენედ!) გრანელის სიფრთხიანა, კოსმიურ უწონობაში გადასული, მარადიული ლანდი. და, აი, არნახული ძალისხმევით, უამრავი წინაღობის დაძლევისა და გულისხმიერი კალმოსნების მხარდაჭერით 1972 წელს გრანელის ლირიკა სამზეოზე გამოდის. მავყდიანი ნიგნი უმოწყალოდ გამეტებული უიბბლო მგოსნის ზღაპრულ ნიაღვრებს უცნობი განზომილების ნილიდან აპირქვევებს. გამარჯვებას თან ახლავს „კურიოზი“, მწერალთა ყრილობაზე სიტყვით გამოსული ბესო ჟღენტის მრავლისმთქმელ რეპლიკად გაცხადებული სიმართლე: „რამდენი ვერძოლო, კაცო, ალიმონაკს. „მნათობში“ წერილი არ დაუბეჭდე! მაინც თავისი ქნა, კაცო! ნავიდა და ნიგნი გამოუცა ამ ჩვენს საწყალ ტერენტის! ხომ ღირს ეს ერთ ცხოვრებად?“

ნამდვილად ღირს, რადგან გრანელის მონინაღმდეგე პროლეტმწერლები დღეს არქივის ფსკერზე ჭიკაძელებით უსახელოდ იკლანკნებიან, რომელი ერთი ჩამოვთვალთ? მაშაშვილი, კალაძე თუ ძმანი მისნი, რომელთა ბრალდებებსა და გესლიან გამოთქმებს (ამ მხრივ, მაშაშვილის პოემა ამ სამარცხვინო კამპანიის სახიერი ნიმუშია) ტერენტიმ წინასწარმეტყველური ფუნაგორით უპასუხა:

„თუ პოეზია მოიკრებს ძალას, შთამომავლობა რამდენს იცინებს, როცა დახედავს ეულის კალამს და მაშაშვილის ლექსის წინილებს!“

ტრიუმფამდე წამების ეკლიანი გზა გასავლელი, სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებითი, ოთხწლიანი სიმარტოვის გაუსაძლისი ხანა. აქ, უნებლიედ, გალაკტიონის ფრაზა ინსკვება, თავის უბის სიგნაკს რომ გაანდობს: ხუთი წელია, ჩემთან მეგობარს კარი არ შემოუღიაო. რა მნიშვნელობა აქვს, საავადმყოფოში იტანჯები მარტოდმარტო თუ შინ, რომელიც ერთდროულად საპატიმროცაა და ლაზარეთიც, ახალმა რეჟიმმა ნილად რომ გარეუდა.

„ცისკრის“ რედაქციაში მოპოვებული გამარჯვების კვალდაკვალ მწერლის დაკვირვებულ თვალს აქაურთა საჭადრაკო ტურნირებიც არ გამოპარვია, რაც შედარებით თავისუფალი გარემოს მაუწყებელია, თუმცა სპორტულ აზარტში დანთქმულ ცნობილ მწერლებს გრანელის კრებულისთვის ნაკლებად სცხელათ, სანამ მისი ჭირისუფლის უდრეკობა კვლავ თავს არ იჩენს. ამ დროს ცხოვრება თავისი გზით მიედინება, მკვლევარს უმძიმესი განსაცდელი — საყვარელი შვილის უდროო გარდაცვალება — სიცოცხლის

ძალას ართმევს. ტერენტის თანმდევი უიღბლობა მასზე ლამის ფიზიკურად აისახება. თითქოს წყალმა წაიღო მრავალწლიანი დაძაბული შრომა, არქივში სკრუპულოზური გარჯის გარდა, გრანელის ნაკვალევზე მისი ოჯახისა და ნაცნობ-მეგობრების მონახულებას რომ მოიცავს, რათა მათი მოგონებების წყალობით გრანელსა და მომავალ თაობებს შორის ტოტალიტარული რეჟიმის მიერ საგანგებოდ დარღვეული კავშირი სრულფასოვნად აღდგეს, გამოთლდეს, სამარადჟამოდ გაძლიერდეს. ტიტანური ძალისხმევით საპასუხოდ აუნონავი დანაკარგი ირვალემა, მაგრამ ღმერთი მოწყალეა და ელადის შვილს დანებების უფლებას არ აძლევს. „კვირის ნორვების“ პარალელურად, ლერი ალიმონაკი უმნიშვნელოვანეს საქმეს ეჭიდება და „დაო დე ძინის“ თარგმნით ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას მსოფლიო რანგის ძეგლს სძენს, ძველწინურ სიბრძნეში ჩაბრუნებით გაუქარვებელ ნაღველთან გამკლავებას კვლავ ხელოვნების მეოხებით ცდილობს. ორი სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო ქმნილების სურნელით აღსავსე ალიმონაკი ტერენტი გრანელის უცნობი განზომილებისკენ სვლას არ ანელებს. სათაყვანო მგოსნის ხატი საკუთარი ლექსების დასაწერად უბიძგებს, ჟურნალ-გაზეთებში თანამედროვე ლიტერატურულ ცხოვრების ამსახველ პუბლიკაციებს ინტენსიურად აქვეყნებს. დროის მსვლელობა ცხადყოფს, რომ უტყუარი ალლო უკვალოდ არ იკარგება და ერთ დროს მორიდებული, უცენზო ახალგაზრდა ცნობილი მწერალი და მთარგმნელია, თუმცა ეს გარემოება „დანოსჩიკოვებთან“ დაძაბულ ურთიერთობას ოდნავაც ვერ განმუხტავს. ტერენტი გრანელის პოპულარიზაციით ხელის მოთბობა ჭკუაში გასჯდომოდათ იმათაც, ვინც „საწყალ ტერენტის“ სიცოცხლეს უშხამავდა და დროის განაჩენით შემძრუნებულს საკუთარი ტყავის გადასარჩენად ხვსვის ღვანლის მითვისებას სასურველ აუცილებლობად დაესახათ. ლერი ალიმონაკის აქტუალური წერილი — „კრიტიკა და ექსპერიმენტი“ — დახავსებული სტერეოტიპების მხილების გამო მედროვეებს ყელზე დაადგათ და საგაზეთო ბატალიამაც არ დააყოვნა. ძველუბო სულისკვეთება რომ შენარჩუნებულიყო, ავტორის ციმბირის გზას გაუყენებდნენ:

„30-იანი წლები რომ ყოფილიყო, ამ შეჩვენების გამო (რომელსაც ჩემთვის ხობტის ფახი აქვს) გადასახლება არ ამცდებოდა... და დღეს ამ ბატონ-დანოსჩიკოვებს ისე ურცხვად მოურგიათ ტანზე დისიდენტ-ეროვნულობის მანტია, ხელში ისე ურცხვად ჩაუბღუჯავთ ქრისტეს ჯვარი, თითქოს კაციშვილი არ დაესმინოთ მაშინდელ სუკში. ერთმა უნივერსიტეტელმა ბატონ-დანოსჩიკოვმა, პრესტიჟულმა მეცნიერმა, პარტიულითების მასობრივი გადაყრის დროს ტელევიზიით გვამცნო: პარტიაში იმიტომ ვიყავი, ეროვნულ საქმეს ვაკეთებდით! ამგვარ იეზუიტურ, უტიფარ განცხადებებს იმხანად ხშირად გაიგონებდით. თქვე დალოცვილებო, პარტიაში რომ არ ყოფილან პავლე ინგოროყვა და პოლიკარპე კაკაბაძე, რა, ანტიეროვნულ საქმეს აკეთებდნენ?!“





იკა ქადაგიძე

ბრანელის ლანდის გამოხეობა

სწორედ ამგვარ ორგანოზე „სწავლულთა“ მეცადინეობით ტერენტი ბრანელის საიუბილეო საღამო ჩაიშალა, მოგვიანებით გამართულ იუბილეზე კი ხუტა ბერულავას მცდელობით ლერი ალიმონაკს ხალხმრავალ ღონისძიებაზე სიტყვა არ მისცეს! წიგნში პატიოსანი მწერლის წინ აღმართული სიძნელეების მთელი წყება იშლება, სადაც „დანოსჩიკოვების“ დაუსრულებელ ინტრიგებს ბოლო არ უჩანს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, კიდევ უფრო დასაფასებელია ღვაწლმოსილი მკვლევარისა და მწერლის შემართება, დანებების ნაცვლად მედროვეების საპასუხოდ, ქართული კულტურის წინსვლის მიზნით, მნიშვნელოვანი ნაშრომების შემომატებით რომ დაგვირგვინდა. „უპანიშადები“ ამ დაუღალავი ღვაწლის სამაგალითო ნიმუშია.

წიგნში ტერენტი ბრანელის დების — ზოზიასა და მამოს — პორტრეტები პოეტური საბურველის მიღმა რეალურ ფონზე იკვეთება. მწერლის კეთილსინდისიერი თვალი საჩოთირო „წვრილმანს“ გვერდს ვერ აუვლის და რამდენადაც სათუთ ზოზიას ძმის შემოქმედების უანგარო ქომაგთან ახლობლობა აკავშირებს, მეორე დის პირქუშობა უიღბლო მგოსნის ლექსებთან მიმართებაშიც საცნაურია. მამო მხოლოდ 1947წელს ლიტერატურის მუზეუმის დამაარსებლისა და სახელოვანი პოეტის, გიორგი ლეონიძის დაფინანსებული თხოვნის საფუძველზე თმობს ძვირფას ხელნაწერებს. ბრანელის ჯვარცმული ცხოვრების გზამ თავად პატრიარქ ილია II-ს ათქმევინა, ამდენი წამების დამთმენი კაცი წინდანი ყოფილა და უცებ, ესოდენ მძიმე ბრალდების საჯარო გაჟღერება პოპულიზმის ჩრდილქვეშ შენიღბულ უკეთურებაზე მიუთითებს. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც მედროვეები მის სახელს აყენებდნენ და ვინც ეპიგონურ გზას ნებაყოფლობით დაადგება, ადრე თუ გვიან კუთვნილ საზღაურს აუცილებლად მოიმკის.

გაუნლებელ ინტერესს აღძრავს ლერი ალიმონაკის შეხვედრა ცოცხალ კლასიკოსებთან, რაც ძალზე საინტერესოა და მოთხრობილი. ლადო გუდიაშვილის მიერ შექმნილი ტერენტის სამი პორტრეტი, რომელიც მის ქორისუფალს სამახსოვროდ გადაეცა; სახელმწიფო მწერლებსა და მეცნიერებთან გამართული დიალოგი... მკითხველის თვალწინ ქართული კულტურის მოამაგეთა მრავალფეროვანი გალერეა გაიხსნება, რომლის დახასიათებისას მკვლევარის წამახულ მეხსიერებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აკისრია — „მწერლის გული მემატინა... გულსაც თავისი მახსოვრობა აქვს, კომპიუტერზე

უკეთ იმახსოვრებს ავსაც და კარგაც, და რომელი როდის იჩენს თავს, კაცმა არ იცის...“ წიგნის ავტორის უაღრესად საგულისხმო შეხედულება მუდმივ საფიქრალს აღძრავს და ამიტომ აღარ გვეხამუშება შეულამაზებელი ტკივილით დაფერილი ფრაზა, მომაკვდავი ზოზიას უკანასკნელ სურვილს რომ აისხლეს. ბრანელის დას სიკვდილის წინ ბატონ ლერი ალიმონაკთან შეხვედრა დაჟინებით უთხოვია, რასაც სამსუბაროდ ასრულება არ ენერა. ბრანელის ერთგული ჭირისუფლის სინანულნარევი ტკივილით გაჟღერებული რეპლიკა: ვინ იცის, რისი თქმა სურდა? შეუხორციებელ იარად გარდაიქმნა. მისი სიმძაფრე უამთავლამ ვერ გაანელა. უნებლიე უგულისყურობა ამიტომ ვერ აპატივა პოეტის ახლობლებს, რადგან მწერლის გული მემატინა, რომელმაც ყველაფერი უტყუარად უნდა აღწესოს...

ახლაც თვალწინ მიდგას უღვივი ხალხის ნაკადი, ძველმოდური შენობის შესასვლელთან რომ გუბდება, დაუთრგუნავი სტიქიასავით ბოზოქრობს, ტერენტი ბრანელის გრაფიკული პორტრეტით წინ მიიწევს... მღელვარებისგან გათანგულები ხალხით გადაჭედოილ დარბაზში მოზრდილ ტექსტს ვკითხულობთ, სადაც საზოგადოებას მოვუწოდებთ, ტერენტი ბრანელის ნეშტი დიდუბიდან მთაწმინდის პანთეონში გადავასვენოთ. 1997 წელია. ახალგაზრდული ლიტერატურული სალონის — „დიაოხი“ — მოწოდებას უამრავი ადამიანის (მათ შორის ცნობილი ხელოვანებიც ურევია) ხელმოწერა ერთვის. ბრანელის ხსოვნისადმი გამართულ ღონისძიებაზე დასწრების მსურველებს არა თუ „კავკასიური სახლის“ ძველი შენობა (იმჟამად „დიაოხი“ შეკრებებს იქ მართავდა), გალაკტიონის მთელი ქუჩაც ძლივს იტევს...

არა სიციცხლე
არა სიკვდილი
არავე რაღაც სხვა...

მაგიურად გაისმის... გაცისკროვნებულ სახეები მოწმობს, რომ ჭეშმარიტი პოეტის მოკვდინება შეუძლებელია. ჩვენ, „კვირის წირვებზე“ გაზრდილი თაობა, ბრანელის ზესვლას წრფელი სიხარულით ვეგებებით. ამ დროს მისი ერთგული ჭირისუფალი „ბრანელის ლანდს“ წერს, რათა ძვირფასი მგოსნის სახელის უკვდავსაყოფად წარმოებული ძღვევამოსილი ომი საბოლოოდ დაავკვირვინოს. მედროვეებთან ჭიდილში პოეტი და მისი ერთგული მესაჭურველი იმარჯვებენ, რადგან უფლის მოწყალე თვალი გულით სუფთა და მართალ შემოქმედს არაამქვეყნიურ სიმაღლეს ანიჭებს!..

ბექა ქურხული

უპანასკნელი ჩანაწერები

საოცარი იყო ისიც, რომ რამდენადაც გარეგნობით ვგავდით ერთმანეთს, ასევე არ ვგავდით შინაგანი ბუნებით და ასევე, სრულიად არა ვაგვს ჩვენი ნაწერები ერთმანეთს. ჩემი ნაწერები შეიძლება მიახლოვდეს როგორც ინანიშვილის, გურამ რჩეულიშვილს, მიგელ ოტერო სილვას, უზარმაზარი გავლენა იქონია ქართულმა ფოლკლორმა, ცალკე მცირე პროზის გავლენები, პრიშვინიდან და ზოშენკოვდან დაწყებული, დოვლატოვით დამთავრებული, მაგრამ დედას ნაწერებს კი არაფრით ჰგავს ჩემი ნაწერები. რა უცნაურია არა, ე?..

უნიჭიერესი მწერალი იყო და აქ მისი სცენარით გადაღებული ცნობილი, ყველასთვის საყვარელი ფილმი — „სიყვარული ყველას უნდა“ — ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი ჩემთვის. არც ეს სათაური მომწონს, თუმცა მთელს ქვეყანას უკვე ყური აქვს მიჩვეული და ამ კომედიის ფრაზებით დღემდე ლაპარაკობენ. ციცი ამ სცენარს, თავდაპირველად, „ცაზე მთვარე მიცურავდა“ ერქვა და მე ეს სათაური გაცილებით უფრო მომწონს. თვითონაც არ უყვარდა ამ ფილმის ყურება. როგორც კი ამღერდებოდნენ, გადართეო, მეჩხუბებოდა. გაცილებით უფრო მაგარი რაღაცები აქვს დაწერილი... შევეცდები, თავიდან გამოვცე მისი მოთხრობები და ჩანაწერების სრული კრებული, რომელსაც სამი წელი ამოდ ელოდა გამომცემლობა „ინტელექტი“ და არაფრით აღირსა. დარწმუნებული ვარ, უმაგრესი წიგნები გამოვა. დარწა „სიყვარული ყველას უნდა“-ს გაგრძელების სცენარიც, რომელიც შეუკვეთეს და მერე ფილმის გადაღება ჩაიშალა თუ რაღაცა. აღარ ვფიქრობდი აღარც იმაზე, რამდენი რამის რამე გაკეთება შეეძლო და, ალბათ, კიდევ რამდენ რამეს ვაკეთებდა. დედას გარდაცვალებამდე, ერთი კვირით ადრე, თამაზ ჭილაძე მუუხნებოდა, თავისი მონაცემებით პირველი მწერალი უნდა ყოფილიყო. იქნება, იყო და არის კიდევ ვინც, ჯერ გამოვიდეს, აბა, მისი წიგნები... ამას ნამდვილად არ ვამბობ იმიტომ, რომ ჩემი დედა. ხომ არ ვამბობ არა, ჭკვიანი იყო-მეთქი!.. მაგარი ჩურჩული იყო და ცხრაჭყუა, როგორც ბებიამისი ევა ეძახდა. საოცრად უხდებოდა წერა, ღიმილი, ამბების მოყოლა, ფანტასტიურ საქმეებს აკეთებდა და მაინცდამაინც წერა და საქმლის კეთება ეზარებოდა და იშვიათად იღიმოდა.

მე არ ვიცნობ სხვა დედა-შვილს, რომელსაც ამდენი თავგადასავლები გადახდენოდა ერთად — გერმანიიდან მოყოლებული, თბილისით და კახეთით დამთავრებული. სულ შარში მხვევდა, ტოო, თან აქეთ... მე კი არა ვარ შენი შვილი, შენ ხარ ჩემი შვილი, მაფიზიებს რომ რთული, კაპარჩხინა და განებეიერებული ქალიშვილები ჰყავთ და ისხლს უშრობდეს, ისე ვართ-მეთქი. 1997 წელს მანქანა რომ ვიყიდეთ, წელიწადზე მეტი მართვის მოწმობა არ მქონდა და პოლიცია როცა გვაჩერებდა, არ ვუჩერებდი, გტყდებოდი. ვერც გვეწვდნენ. ერთხელაც ვერ დაგვიჭირეს. „მხოლოდ სამი რამე მაფიქრებინებს, რომ სრული დეგენერატი არა ხარ,“ — მეუბნებოდა, — „ის, რომ კარგად ცურავ, ძალიან მაგრად დაგყავს მანქანა და კარგი იუმორის გრძობა გაქვს“. თუმცა ამ იმედისმომცემი არგუმენტების მიუხედავად ვერ მიყურებდა მაინცდამაინც კარგი თვალთ და იმედიანად...

გავცქეროდით ფანჯრიდან ღამის ქალაქს, ჩემდა გასაკვირად სრულიად საღ გონებაზე მყოფი, ვცდილობდი, აღარაფერზე მეფიქრა და ყველაფერზე ვფიქრობდი. ვფიქრობდი სანდრიკაზე და ეფემიაზე. განსაკუთრებით სანდროზე, რომელიც 3 თებერვალს ბაკურიანში „სბორებზე“ წავიდა, 10 დღეში ჩამოდიოდა და არ იცოდა, რომ ბებო აღარ ყავდა. რა უნდა მეთქვა? გიჟდებოდნენ ერთმანეთზე. ციცი სულ ვეუბნებოდი — დე, ადამიანებს საერთოდ ისე უნდა ელაპარაკო, როგორც სანდროს ელაპარაკები-მეთქი... თუმცა სანდროსაც კარგად აქოთაქებდა. ერთადერთი ეფემიას ვერ ერეოდა,

რომელიც საოცრად ჰგავს ბებოს და მასავით მაგარი ხასიათი აქვს.

მარტყოფის დედათა მონასტერში, პატრიარქის ერთ-ერთ რეზიდენციაში დავკრძალეთ. ირაკლი ლომოური შემეყვასაპატრიარქოში. ციცი მარტყოფის სახლიდან ორ კილომეტრზე ეს მონასტერი. ზაფხულში ბავშვებს ფეხითაც შეუძლიათ, ჩაირბინონ ბებოს საფლავის მოსახსენებლად.

და მე იმის სულელი დედა ვატირე, ვინც პირველად თქვა, დრო ყველაფრის მკურნალიაო. მამაჩემი 16 წლის წინ გარდაიცვალა, 2000 წლის პირველ ივლისს და რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მენატრება, მჭირდება და მაკლია. ახლა დედაჩემიც წავიდა...

საერთოდ ვეღარაფერი გავიგე. მართლა, სულ ახლახანს, I კლასში, I ექსპერიმენტალური სკოლის დერეფანში მოუთმენლად ველოდებოდი. როცა მოდიოდა, კედელზე აკრული ჩრდილით ვცნობდი და გახარებული კისრისტეხით გავრბოდი მისკენ. რა ბედნიერი ვიყავი, როცა თავისთან მივყავდი სამსახურში, გამომცემლობა „ნაკადული“, სადაც ქალბატონ ელიკოს ბიბლიოთეკაში ვიჯექი, რომელიც ჩემს გარდა არავის უშვებდა იქ. ერთხელ საერთოდ დავავიწყდი, გარედან ჩამკეტა, მერე გავახსენდი და გულგახებთილი მობრუნდა, მაგრამ მე ის ვიყავი კითხვით გართული, არაფერი გამიგია.

ახლა კი 41 წლისა ვარ. ცხოვრებანანახი, ბიტი, გაჭლარავებული ხვადაგი, მაგრამ ზუსტად ისეთივე მარტობას და მიუსაფრობას ვგრძნობ, როგორც მაშინ ვგრძნობდი, როცა 6 წლისა სკოლის დერეფანში ველოდებოდი და ერთი სული მქონდა, როდის აიღანდებოდა მისი ნაცნობი ჩრდილი კედელზე; როდის გამოჩნდებოდა დედაჩემი, ჩამკიდებდა თავის თბილ მშვენიერ ხელს და ნამიყვანდა ჩვენს სახლში, საბურთალოს ქუჩაზე.

მთელი ამ 16 წლის განმავლობაში, რაც მამაჩემი გარდაიცვალა, წელიწადში რამდენჯერმე ეგეთი უცნაური რამე მემართება — ტელეფონს ვიღებ და ჯეშალასთან ვრეკავ. მერე მოვდივარ აზრზე, რომ ვერ დავრეკავ, არ არის მამაჩემი აქ და სადაც არის, იქ ტელეფონი არ იჭერს. ყველაზე უცნაური და საინტერესო ის არის, რომ ეს არც ერთხელ მთვრალს არ დამმართნია. არც ერთხელ. ყოველთვის ფხიზელი ვარ. სრულიად ფხიზელი ვიღებ ყურმილს და ვრეკავ. ციციზე კი, იგივე, დღეში რამდენჯერმე მემართება. დღეში რამდენჯერმე ვეძახი, ველოდები, როდის გამოვა ოთახიდან ხმაურზე, ცარიელ ოთახს ვეკითხები, რამე ხო არ უნდა. ღამით გვიან, ბოლომდე ვუწევ ტელევიზორს, რომ არ გამომივარდეს და არ მეჩხუბოს: „ტელევიზორს ჩაუნიო!“

არ გინდა ამ ყველაფრის გაძლება? მაგარი ხარ და გაუძლებო. უნდა გაუძლო. რამდენსა გაუძლო, ტო? მე ადამიანი არა ვარ, შე ჩემისა? რკინისა ვარ? „სვარკით“ ამანყვეს? არ გინდა, ყოველ დღით, სარკეში, ვიღაც ჭალარა, უცხო, წვერგასასარსი, შეშლილთვალეობის მასტის ყურება, რომლის სხეულში რაღაც უზედურებებით შენი სული ჩასახლებულა?! იმ ბავშვის სული, რომელიც სულ ახლახანს, ერთი წუთის წინ, I ექსპერიმენტალური სკოლის „პატარების“ კორპუსის დერეფანში, შეშინებული და გახარებული გარბოდა დედამისისკენ და სხაპასუხით, გაუჩერებლად უყვებოდა თავის იმდევანდელ თავგადასავალს, დედა კი ღიმილით უსმენდა თავგამოდებულ ტრამბას.

ვის მოუყვები, როგორი უცხო გახდი საკუთარი თავისთვის, როგორ გაგიუცხოვდა საკუთარი სხეული და როგორ არაფერი გესაქმებია იმ ყველაფერთან, რაც შენი და მხოლოდ შენი გასაკეთებელი და მოსაგვარებელია?!

მოვალეობები, მოვალეობები, მოვალეობები!..

ძლიერი უნდა იყო, ძლიერი უნდა იყო, ძლიერი უნდა იყო!..

რატომ?... აი, რატომ?... და თქვენ იყავ-

ით, აბა, მაგრები და ძლიერები. თუნდაც ცოტა ხნით. თუ ვერა? ვერა ქაჩავთ? ძნელია?..

ზუსტად ლამის ორ საათზე ჩემპიონთა ლიგის, „იუვენტუსი“ — „ბაიერის“, თამაშის შემდეგ ნახცოვან მოვდიოდი. ჭავჭავაძის პროსპექტზე მხედებოდნენ პოლიციელები, მთვრალეები, ვილაცები, რაღაცები... მოვდიოდი ზუსტად ისე, როგორც მაშინ, როცა დედაჩემი სახლში მელიოდებოდა და როცა გვიან მივიდოდი, ჩემს დანახვაზე, პროტესტის ნიშნად, კედლისკენ გადაბრუნდებოდა ხოლმე.

ზუსტად ისევე მოვდიოდი. ზუსტად ისევე მხედებოდნენ ვილაც მურტალი როუბები, რომლებიც ჩემს დანახვაზე თავის მხრივ ფიქრობდნენ, ეს ვინაა უბედურობა მოდისო და რომლებსაც ასე ეშინოდა ციციის და რომლებიც საერთოდ არ არიან საშინებები. რა უცნაურია ადამიანი, მთელი ცხოვრება ხედავს ყველას და ყველაფერს, ერთადერთი არსება, ვისაც ვერ ხედავს, თვითონ არის. საკუთარ თავს ვერაფერს ხედავს და სინამდვილეში თვითონ როგორ გამოიყურება, არავინ იცის და სარკე და ანარეკლი კიდევ მაგარი სიაფანდია, ბლეფია. თუ არადა, რომ მოძრაობს, დადიხარ, იცინი, ტირი, ომობ, ცხოვრობს, სულ სარკეში ხომ არ იყურები, არა? ჩვენ არა მარტო ის არ ვიცით, ვინ ვართ, ისიც კი არ ვიცით, სინამდვილეში როგორ გამოვიყურებით.

ცალკე კიდევ სინამდვილე და რეალური... რაღა ეგა და რაღა სარკე და ანარეკლი.

მოვედი, შემოვალე კარი, რომელსაც არასოდეს ვკეტავ, მაგრამ დედაჩემი აღარ დამხვედრია სახლში. აღარ დამხვედა დედაჩემი, რომელიც ჩემს დანახვაზე შეგებით ამოისუნთქავდა და მერე გაბრაზებული, პროტესტის ნიშნად, კედლისკენ გადაბრუნდებოდა.

25 თებერვალი

როგორც არასოდეს, ისე ველოდები გაზაფხულს. რაღაცნაირი იმედით, თითქოს რაღაც მართლაც შეიცვლება. თითქოს მართლაც ყველაფერი კარგად იქნება. ყოველ შემთხვევაში, დათბება მაინც.

ველოდები გაზაფხულს და კიდევ რაღაცას. რაღაც კარგს, მაგრამ რას, არ ვიცი.

მზეს — ალბათ. ჰო, მზეს, სიცხეს, აყვავებულ ხეებს, დამთბარ თბილისს...

და ილუზიას, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

29 თებერვალი

ალბათ არ არსებობს წელიწადის დღეებიდან უფრო უცნაური დღე, ვიდრე 29 თებერვალია. ოთხ წელიწადში ერთხელ იჩინება, დანარჩენი წლები სადაც ქრება. სადაც კოსმოსში...

ეს კოსმოსი კიდევ ცალკე იდუმალი ამბავია, თავისი უსასრულობებით, სიმორით და, ამავე დროს, სიახლოვებით, მთვარეზე გაფრენით და თითქოს არც გაფრენით. ვერსიებით, რომ 1969 წლის 20 ივლისს ამერიკული „აპოლონი“ მთვარეზე დაჯდომა დიდი აფიორა იყო. რომ იქ ამერიკის დროშა არ ფრიალებდა. იმიტომ, რომ მთვარეზე ქარი არ ქრის. ნილ არმსტრონგის ნაფეხურები მთვარის ზედაპირზე თუ ნიუმეხიკოს უდაბნოს ქვიშაზე. ისე, მართლა, ე, ეგენი თუ არ სიაფანდობენ, 1969 წელს თუ დასხდნენ მთვარეზე, ახლა რატომ ვეღარ მიფრინავენ? 1969 წლიდან 2016 წლამდე ხომ საოცრად შეუდარებლად განვითარდა ტექნოლოგიები? ან იქნება მთვარეზე მართლა დასხდნენ და იქ ისეთი ვინმეები და რამერუმები დახვდნენ, რომლებმაც უთხრეს: ბიძიკოებო, აქ ანნი ნულარ მოფრინდებითო?..

ისიც ხომ ძალიან მაგარი ფაქტია, რომ კაცობრობა 4000 წლის განმავლობაში, ჩვენ წელთაღრიცხვამდე 1910 წლიდან ქრისტეშობიდან 1910 წლამდე, ცხენზე გადამჯდარი გადადიოდა საკავალერიო შეტევებზე. 1910 წლიდან 1960 წლისთვის კი, სულ რაღაც 50 წელიწადში, კოსმოსში გაფრინდა. რა უცნაური და ამოუხსნელი გარდატეხა მოხდა ასე უცებ ამ 50 წელიწადში, მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში?

სულ ოცდაცხრა თებერვლის ამბებია ეგა. ეს კალენდარიც მაგარი პირობითი რამეა. „ბეთი შერვუდში“, ჩემს ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ მოთხრობაში, მაქვს ასეთი რაღაცა მორტყმული: 29 თებერვა-

ლი, 30 თებერვალი, 31 თებერვალი, 32 თებერვალი, 33 თებერვალი, 34 თებერვალი, ორშაბათი, ორშაბათი, ორშაბათი...

29 თებერვალი!..

5 მარტი

დედის გარდაცვალებისას პანაშვიდებზე ჩამოსულმა ჩემმა კლასელებმა შეკრება გადაწყვიტეს. ჯერ 12 მარტი დათქვეს, მერე 6 მარტი. ბოლოს 5 მარტზე შეთანხმდნენ: იყო ბჭობა, კამათი, ბარების და რესტორნების არჩევა. ამ ამბებში მაინცდამაინც დიდ მონაწილეობას ვერ ვიღებდი, მაგის გული ნაღდი არ მქონდა, თან ძალიან ბევრ საქმეში ვიყავი გახლართული. ეგ კი არა, წასვლაზეც ფეხს ვითრევდი, მაგრამ ტეხავდა, რომ მოვმტყდარიყავი და თან ყველანი მაგრად მომენატრნენ. სასმელსაც ვერიდები, 10 თებერვლიდან აღარ დამილევია, მაგრად ვურიკინებ უკვე... ვიფიქრე, ჩემთვის მივჯდები კუთხეში და ვიქნები-მეთქი. არ გამომივიდა...

შევიყარეთ ბოლოს, სკოლის დამთავრებიდან 25 წლის შემდეგ, ეს გაჭაღარავებული, გამელოტებული, გასუქებული, ლიპიანი ბიძები და დაქალებული, ოჯახის გოგოები...



ასპინძელაშვილი, ლუდუშაური, გვა-რამია, კერესელიძე, სიგუა, გოგია, ხანთაძე, ხანუშა თამადად, ბეჟანიშვილი, ვაშაკიძე, გოგოები — ხათუნა მადურაშვილი, გიორგობიანი, ცერცვაძე, თეა ჩანადირი, რომელმაც მთელი 10 წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ მიიღო ოთხიანი და ორჯერვე ხმით იტირა. თეა ჩემს წინ იჯდა, ენეოდა. შევჭამე — ჩანადირი, სიგარეტს ენევი-მეთქი, ბიჭოო, ტოო!.. ირმა გაბისონია, ნინო ღრუბელაშვილი, ნინო ჭიჭინაძე, გურგენიძე, ნათია აზარაშვილი, ქაცარავა და დაიწყო ხანუშამ თამადაობა, მაგრამ რა დაიწყოო... ხო ეგრევე დავარდვი „სუხოი ზაკონი“ და სულ ორი ჭიქით ვსვი არაყი და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ადამიანები არ ვიცვლებით და სინამდვილეში ძირითადად სულ 12 და 14 წლისანი ვართ. მერე... მერე უბრალოდ რაღაცები ხდება.

სუფრის დაწყებიდან ზუსტად ნახევარ საათში ვინ ვის ელაპარაკებოდა, უქიმიუნჯებდა, თმაზე ექაჩებოდა და ჩქმეტდა, ვეღარ გაიგებდი. ერთი, „ტრუპკები“ ვერ მოვიფიქრეთ, რომ წამოგველო, თორემ უეჭველი ვისროდით. ნავიდა, ვინ ვის უყვარდა, როდის, რატომ, ეჭვიანობის სცენები და ძველი ამბების ახალ-ახალი ინტერპრეტაციებით გახსენება.

ხანუშა გამირულად ცდილობდა, ეს ანარქია და არეულობა როგორმე კალაპოტში მოექცია: „მე მიყვარს დემოკრატია და კონსენსუსი“, გვამცნობდა და დროდადრო სვამდა რიტორიკულ კითხვას: „გვიყვარს თუ არა ჩვენ ერთმანეთი?“ რასაც არანაკლებ გამაყრუებელი ყიჟინა და და შეძახილები მოჰყვებოდა...

ყველაზე უცნაური და მაგარი ის არის, რომ ამ დღემ რაღაც უცნაურად გამომიყვანა. აქამდე თავი მეჭირა იმიტომ, რომ

სხვა გზა არ მქონდა. ხომ არ გავნებოდი და ნავიქცეოდი? არჩევანიც კი არ მქონდა. ამ დღის შემდეგ კი თითქოს სადაღაც მინავლული სასიცოცხლო ენერგია მობრუნდა და რაღაცნაირად მოვიქცეე. ყოველ შემთხვევაში, თავის ხელში ასაყვანად და ფეხზე წამოსადგომად ამდენი ძალისხმევა აღარ მჭირდება...

თითქოს!..

თითქოს ხო რა!..

თითქოს ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ, მე ვიყო შპროტის ბანკა...

P.S. ჩვენი კლასიდან სამი ბიჭი დაგველუბა, სამი ძმა: გელა ხაჩიძე — იგივე „გელორდა“, „ხაჩიკა“; გიორგი ვერულაშვილი — იგივე „ველურა“, „რიჟა“ და ირაკლი სულავა.

ღმერთმა სული გაუნათლოთ!..

7 მარტი

ციციის ჩანანერების კრებულს ვასწორებ.

თუმცა ვერაფერსაც ვერ ვასწორებ.

მართლა ძალიან მაგარი ნიგნია, მაგრამ მაინც მეჩვენება, რომ რაღაცები შესაცვლელია, რაღაცებში ძალიან რადიკალურია, რაღაცებში კატეგორიუ-

ახლა, როდესაც ციციის ნიგნე ვემუშაობ, როგორც კი რამის შეცვლას დავაპირებ, იმ წუთში ეგ მახსენდება და ყველაფერს სწორედ ისე ვტოვებ, როგორც დედანშია...

ეს დედას ჩანანერებია... მისი ფიქრები, მოგონებები, დამოკიდებულებები და სევენი მისი ტკივილები.

12 მარტი

დედს მარტყოფის დედათა მონასტერში დედას საფლავზე ქვა დავდეთ. ვერცხლისფერი ბაზალტის ქვა, ზედ ამოტვიფრული ბოლნური ჯვრით, სახელით და გვარით — ლეილა ბეროშვილი (ციცი) 1949-2016...

უმძიმესი აღმოჩნდა ეს ქვა. ორი მანქანით ვიყავით წასულები, შვიდი მუტრუკი ვეჯავრეთ და ძლივს დავდეთ ქვა სამარეზე. მანამდე შემადრწუნებლად წამომართული საფლავის მიწის გორა მოვასწორეთ. ქვა დავდეთ თუ არა, წვიმა წამოვიდა. რაღაცნაირად თბილად მომეჩამა. ვიდეკით შვიდივე მტვერში ამოგანგულელები — მინაში ამოთხვრილები, ხელებდაქლემილები, ჩემი ძმა ლექსო, გიორგი პატაშვილი, სოსო თეთრაული, გოგა ჭყონია, გოგია ნაბიაშვილი, მახო მეძმარიაშვილი, მე. და გვანვიმდა. გვანვიმდა ციციის ვერცხლისფერ საფლავის ქვასთან ერთად.

15 მარტი

უცებ ისევ აცივდა. ქარი ამოვარდა და ეს ჩემი ნანატრი და ძლივს მოსული გაზაფხული, ამ გოთვერანმა მარტმა ისევ ზამთრისკენ შეაბრუნა.

დედს დილას ფანჯრიდან გადავიხედე — სახლის წინ, მთელი ეზო, ეს ჭუჭყიანი ასფალტი, სულ ახლად აკვირებული ხეების თეთრი ყვავილებით იყო მოფენილი.

ყვავილების ბედი საერთოდ ეგრეა. დაუბერავს ქარი და მოაბნევს ქუჩურ, მტვრიან ასფალტზე.

თემურ ბაბლუანის „ბელურების გადაფრენა“ გამახსენდა. ტურტლიან „პლაცკ-არტი“ სმოკინგში გამონყობილი მალიარი ტრიფონა ცნობილ ოპერის მომღერლად რომ ასაღებს თავს და აღარ ჩუმდება.

რამდენჯერ მაქვს ნანახი და ვერაფრით დავიჭირე, გუჯა ბურდულს საბოლოოდ როდის გადაეკეტება და აუკრიფავს, როდის წაუსტვენს: „დამუნე რა პირი, ბოლო-ბოლო!..“

იქაც ეგეთ რაღაცებს ყვება ტრიფონა, ვითომ როგორ ნახა მილანში აყვავებული ხეები და როგორ მოანვა ხმა, როგორ იმღერა გასაოცრად ჰეროციკის პარტია ვერდის ოპერიდან, დილით კი როგორ დახვდა ქარისგან შემოძარცვული შავი ხის შიშველი ტოტები და როგორ ჩაუნყდა ხმა.

და რო ჩხუბობენ, რას ჩხუბობენ — მე რომ ჩემი საკუთარი და გააფიებული კეთილები!.. და ბელურა, გუჯა ბურდულის გაცვეთილი ტყავის ქურთუკის გულისჯიბში ჩაბუდებული ბელურა. მაგრად ჩხუბობენ. მე ვიცი, ჩხუბი რაც არის და ძალიან მძიმე და საშინელ ამბავს ატრიალებენ...

უბედურად ჩხუბობენ! მაგ ფილმიდან რამდენიმე ფრაზა მაქვს ცხოვრებაში წამოღებული:

„მალიარი ხარ, ბიჭო? მოდი ააქ, მოდი!.. მოდი, შენი შალიაპინი სისხლი გაშრა!..“

„შენა ტრიფონა არ ხარ?.. რავა სულ ნაცემი და ჩამოფლეთილი უნდა დადიოდე, შე უბედურო!..“

და: „ჩემს საქმეში, საქმე რომ ჰქვია?.. პირველი ტენორი ვარ, ძმაო!..“

ბოლოს კრასნოდარში რომ მიდიან ფერმის ასაშენებლად.

აუ, ეგენი ერთად რას იბათქავებენ კრასნოდარში?

გადააფშვნიან პიატიგორსკელ სპეცნახელ თერგის კაზაკებს თავზე ლუდის კათხებს უეჭველი!..

და ივლიან ეგრე სულ ნაცემები და ჩამოფლეთილები, ვიდრე მათი სიმამაცით და სიგიჟით თავმოებურებულ და გულაჩუყებულ ღმერთს არ შეპბრალდება, იმ მოუსვენარ სულელებს სხეულებიდან არ ამოართმევს და თავისთან არ წაიყვანს...

იქ კი გადაცვეთილ ტყავის ქურთუკში ჩაბუდებული ბელურა დაუდგებათ ჭირისუფლად და ცხარე ცრემლით დაიტირებს...



რეების გამოვლენას, ანალიზსა და კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავებას...

ალსანიშნავია პროექტი, რომელიც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ფესტივალის ფარგლებში განახლდა...

150-ლარიანი, 100-ლარიანი და 50-ლარიანი ვაუჩერები გადაეცა, ასევე, ბლოგერების კონკურსის ფინალისტებსაც

ქალაქის ისტორიის ნაწილი



მათ, ვინც ყველაზე საინტერესოდ გამოეხმაურა 2015-2016 წლებში ქართულ ენაზე გამოცემულ წიგნებს...

ფესტივალის მთავარი ძალა (გამომცემლები) ბევრი სიახლით წარდგა მკითხველის წინაშე. მთელი წლის ნამუშევარი გამოფინეს და გაივსო კიდევ წიგნებითა და დამთავლიერებლებით...

ლარიანი, 2-ლარიანი, 5-ლარიანი წიგნები და 70-80 პროცენტია ფასდაკლება თითქმის ყველა გამოცემულ წიგნს...

მთავარი მანძი ახალი წიგნები იყო. ათწლეულების შემდეგ პარპერ ლის რომანმა „მიდი, დაყენე დარაჯი“ თბილისამდეც ჩამოაღწია, ნაწარმოებს, რომელიც 50 წლის განმავლობაში დაკარგული ეგონათ...

ზა“ — გადაანალიზა. ასეთ მრავალფეროვნებაში რომელიმე ახალი წიგნის გამორჩევა ძნელია. თუმცა, მსოფლიო ბესტსელერები — მეთიუ ქუიქის „იმედის სხივთა კრებული“, ჯენიფერ ნივენის „ყველა ნათელი ადგილი“ და ჯეფ კინის „წრის ბიჭის დღიურები“...

გამომცემლობა „დიოგენეს“ შეთავაზებდაც არანაკლებ მსუყვედ გამოიყურებოდა — ახალი სერიით „ET CETERA“ რამდენიმე ახალი წიგნი გამოუშვა: სტივენ კინგის „კუჯო“, მარტინ ემისის „ლამის მატარებელი“...



ლის „რძის ფოსტა“ — გრაფიკული რომანი ოთხ ლექსად, რომლის პრეზენტაციაც ფესტივალზე შედგა. ფესტივალზევე წარადგინეს გრიგოლ რობაქიძის „წერილები შტეტინაში“...

„ბაკმა“ თანამედროვე ლიტერატურასთან ერთად, მაღალ დონეზე გამოცემული კლასიკა შემოგვთავაზა — „ვეფხისტყაოსანი“, ომარ ხაიამის „რობაიები“, ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელი“...

შედარებით ახალგაზრდა გამოცემლობამ „წიგნები ბათუმში“ თხუთმეტამდე ახალი წიგნი გამოიტანა ფესტივალზე. რეი ბრედბერის „მარსის ქრონიკები“, ფრენკ შერბერტის „დიუნა“, ჯენი ოსტინის „ემა“ — „უკვდავი ბიბლიოთეკის“ სერიის პირველი წიგნი, რიუ მურაკამის „პირსინგი“, სერგეი დოვგოპოვის „ჩემო დანი. უცხოელი ქალი“...

მასშტაბური საგამომცემლო პროექტებით გამოირჩეოდა გამოცემლობა „პალიტრა L“. „ლიბერთისის“, „ლიბერტიდისისა“ და „მსოფლიო ბესტსელერის“ პოპულარულმა სერიებმა დამთავალირებელი გახსნის ნუთიდან მიიზიდა და დადგა კიდევ გრძელი რიგები გამოცემლობის დახლებთან...

განსაკუთრებული გამოხმაურება ჰპოვა ახალმა პროექტმა „ქართული მონეტების ოქროს კოლექცია“. მართალია, წიგნი-ალბომის გაყიდვა, ფესტივალის დასრულების მეორე დღეს, 30 ივნისიდან დაიწყო, მაგრამ უძველესი ქართული მონეტების სპილენძში, ვერცხლსა და ოქროში ჩამოსხმული ასლების შეგროვების შესაძლებლობამ საზოგადოება იმდენად მოხიბლა, რომ ალბომის გამოქვეყნება რიცხვებზე მაშინვე აღემატებოდა...

ფესტივალის გრანდიოზული კარნავალით დასრულდა.

მომზადდა თამარ ქურულმა

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალს ქალაქის კულტურულ და ბიზნესცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

გაზაფხულობით, მაისის თვეში, წიგნებით გადაჭედებულ საგამოფენო სივრცეში მთელი ქალაქის, მთელი ქვეყნის თავმოყრა, გამომცემლობების, გამაგრ-ცელებლების, ავტორების, მთარგმნელებისა და მკითხველის დიდი შეხვედრა, ფუს-ფუსი, ხმაური, ფურცლის შრიალი, ავტოგრაფები, შთაბეჭდილებების გაცვლა, სასურველი მწერლების მოსმენა, რადიოსა თუ ტელევიზიის მთავარ გადაცემებში წიგნებზე საუბარი, გაზეთების პირველ გვერდებზე ლიტერატურაზე წერა და ოთხდღიანი ცხოვრება წიგნებით — უკვე ქალაქის ისტორიის ნაწილია.

წელსაც, 26-29 მაისს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ქალაქის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხარდაჭერითა და წიგნის გამომცემლობა და გამაგრ-ცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით, თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის მეთვრამეტედი გაიმართა, რომელშიც სამოცამდე ორგანიზაცია — გამომცემლები, გამაგრ-ცელებლები, საელჩოები, სამეცნიერო, კულტურული და რელიგიური ცენტრები მონაწილეობდნენ.

ოთხი დღის განმავლობაში „ექსპო-ჯორჯიას“ მე-11 პავილიონი ეთმობოდა ლიტერატურულ თუ საგამომცემლო ღონისძიებებს — წიგნების პრეზენტაციას, შეხვედრებს ავტორებთან, დისკუსიებს, საჯარო კითხვას, პროფესიულ სემინარებს, დაჯილდოებას. წელს პირველად ფესტივალზე საბავშვო მუსიკალური ჯგუფებიც გამოვიდნენ. ტრადიციულ ღონისძიებებს დიდი გათამაშება და ლიტერატურული კარნავალი შეემატა. ორგანიზატორებმა წინა წლის მკითხველისთვისაც განსაკუთრებულად იზრუნეს და სპეციალური კუთხე მოაწყვეს, რომელიც დიდიდან საღამომდე გასართობი და ინტელექტუალური ღონისძიებებით იყო დატვირთული. ფესტივალს, როგორც ყოველთვის, მთავარი სტუმარები ჰყავდა — ამჟღავნებდა თბილისის ენვია ცნობილი მწერალი და ჟურნალისტი დიმიტრი გლუხოვსკი, რომელიც ქართულენოვან მკითხველს ცნობილმა ბათუმურმა გამომცემლობამ გააცნო, როცა სუპერპოპულარული „მეტროს“ სერიის სამი რომანი თარგმნა და გამოსცა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება წლებანდელ ფესტივალზე „ქართული წიგნის ბაზრის კვლევის“ პრეზენტაცია იყო. კვლევა 2013-2015 წლებში წიგნის სექტორში არსებული ვითარების შესწავლას, არსებული პრობლემებისა და სუსტი მხა-

იყო ჩარლზ ბუკოვსკის „ფოსტასა“ და დიმიტრი უფილას „თათრების უდაბნოზე“. ახალი ყუბებით გამოვიდა „პრალის სასაფლაო“ და „ვარდის სახელი“.

სიახლეებით წარდგა მკითხველის წინაშე გამომცემელი გია ქარჩხაძე, რომელმაც საზოგადოებას, როგორც ყოველთვის, ერთ-ერთი საუკეთესო არჩევანი შესთავაზა: „ქართული ალტერნატიული პროზის“ სერიით გამოცემული გურამ რჩელიშვილის, სოსო პაიჭაძისა და ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობათა კრებულები, ნობელიანტ ჯონ სტეინბეკის ვრცელი რომანი „ედემის აღმოსავლეთით“ და ხელოვნებისა და კულტურის მინისტრის სულ ახლახან გამოცემული წიგნი-ალბომი „ძველი ქართული სამკაული“, რომელშიც ავტორი ნინო ლორთქიფანიძე, მაღალი ხარისხის ფოტომასალის ფონზე, დაწვრილებით განიხილავს სამკაულის განვითარების გზას ქვის ხანიდან ქრისტიანობის შემოსვლამდე. ასევე სიახლე — ჰაგიოგრაფიული ნიმუშების გათანამედროვეებული ქართულით გამოცემული წიგნი, რომელიც ბევრად გაუადვილებს მოზარდებს ამ ტექსტების აღქმას.

ალბათ მთარგმნელ ლანა კალანდიას დამსახურებაც არის, რომ სამხრეთ ამერიკელი ნობელიანტების წიგნები — მარია ვარგას ლიოსას „ვაცის ნადიმი“, „ცუდი გოგოს ოინები“ და გაბრიელ გარსია მარკესის „იცხოვრო, რომ მოჰყვე“ წლის ბესტსელერებად იქცა და ფესტივალზეც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. გამომცემლობა „ინტელექტისა“ და „არტანუჯის“ სტენდები მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა — მარსელ პრუსტის „სოლომი და გომორი“, ხალიდ ჰოსეინის ახალი ბესტსელერი „მთებზე მთებს უთხრეს“, სერგეი ყადანის გახმაურებული რომანი „მეგობრობა“, საგანგებოდ ფესტივალისთვის გამოცემული მაქს ფრიშის ცნობილი თხზულება „ლურჯწვერა“ და რაც მთავარია, ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები: თამაზ ჭილაძის დიალოგების წიგნი „სასიცოცხლო სივრცე“ და ბესიკ ხარანაუ-

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ფურნალისტი თამარ ყურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004